ზაქკავკასიის
[illegible]
[illegible]

კომკავშირის 10 ყრილობას



ნოემბერი

21 | 22

სახელგამი

1930

# პიონერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა საქმისათვის: იყავ მზად!

# პიონერი

პიონერების და მოსწავლეთა საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი.

საქართველოს ა. კ. ლ. ცენტრალური ბიუროს და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ჟურნალი — ბავშვთათვის.

№ 21-22

ნოემბერი 1930

წელიწადი მე-5

რედაქციის მისამართი
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 22,
სა`ელგამ`, საბავშო სექცია.

## შინაარსი:

— პიონერთა მონაწილეობა საბჭოების გადარჩევაში — **ფ. საათაშვილი**
— ენტუზიასტები — **შალვა შამფრიანი.**
— შემოდგომა — **შალვა შაველაშვილი.**
— ამხანაგო პიონერებო — **კოტე ბუჯიაშვილი.**
— ნორჩო პიონერებო — **აკ. მახათაძე.**
— წითელი გუთნეულები — **გრიგოლ იკოშვილი.**
— ოქტომბრის ზეიმი ჩვენში და საზღვარ - გარედ — **ია ჯიბლაძე.**
— ბავშთა კომმოძრაობა — **ა.გ-ი.**
— საპროტესტო მიტინგები მოითხოვენ კონტრ-რევოლიუციონერის დახვრეტას — **ა. გველესიანი.**
— მზად ვართ კომკავშირის მე-10 წლისთავისათვის — **ლ. კუპატაძე.**
— კოლხეთი — **ირაკლი აბაშიძე.**
— ყოფა - ცხოვრების საკითხებზე — **არიო.**
— ბავშვები ამხ. ბლიუხერთან — **ნ. ბ-ე.**
— გუნის თავგადასავალი — **სიმონ წვერავა.**
— იყავ მზად (ანუ ცანცარა) — **სეზმან ერთაწმინდელი.**

მზად ვართ!!!



# საქმოსნობა საშიში მტერია

**მას წარმოშობს** — პიონერთა სუსტი პოლიტიკური განათლება, ინიციატივისა და თვითმოქმედების უქონლობა, დავალებათა მექანიკური შესრულება.

**მას მოჰკლავს** — თვითეული საქმ ს მთელი სოციალისტური მეურნეობის ამოცანებთან დაკავშირების უნარი, მთელი ორგანიზაციის წინაშე პასუხისმგებლობა გაკეთებულ საქმეში, ყველა პიონერის მონაწილეობა სოციალისტურ აღმშენებლობაში.

329·15 3(05)
3-47.

# პიონერთა მონაწილეობა საბჭოების გადარჩევაში

საბჭოების საანგარიშო - საარჩევნო კამპანიას, რომლის მოსამზადებელი მუშაობაც უკვე დაწყებულია, უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. პიონერ - ორგანიზაციამ, როგორც ყოველთვის, ისე ამ კამპანიაშიც უნდა მიიღოს აქტიური, მხურვალე მონაწილეობა პარტიისა და კომკავშირის დასახმარებლად. რითი შეუძლია პ.-ო. დახმარება, რა უნდა გააკეთოს მან? სანამ ამ საკითხს შევეხებოდეთ, საჭიროა ვიცოდეთ რა მიზნებსა და ამოცანებს ისახავს ეს კამპანია და რა განსხვავებაა წარსულ წლებთან შედარებით და რათ აძლევს მას პარტია და ხელისუფლება ასეთ დიდ მნიშვნელობას.



**ამხ. ლ. ქართველიშვილი**

საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი.

მსოფლიო და სამოქალაქო ომის შემდეგ ჩვენ მემკვიდრეობად მივიღეთ დანგრეული მეურნეობა, დაბალი ტეხნიკა და აქედან გამომდინარე საერთო გაჭირვება. ჩვენ განვლეთ ამის შემდეგ მეორე პერიოდი — ეგრედწოდებული აღდგენის პერიოდი და გადავედით მესამე, ე.წ. რეკონსტრუქციის პერიოდში. რეკონსტრუქციული პერიოდი ჰგულისხმობს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განვითარებას, ამის საფუძველზე სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას და კულტურულ რევოლიუციას.

ამ საქმის შესრულება მოითხოვს ძალების დაჭიმვას, უდიდეს ენერგიას და აღფრთოვანებას, მუშათა, მოჯამაგირეთა, კოლმეურნე ღარიბ და საშუალო გლეხობის ფართო მასის დარაზმვას პარტიის გენერალურ ხაზის გარშემო, და პარტიის და ხელისუფლების ყველა ღონისძიებათა და გადაწყვეტილებათა ფართო პოპულიარიზაციას მასებში. ახლანდელი საგადარჩევო - საანგარიშო კამპანიის ამოცანა შემდეგში მდგომარეობს:

ეს ერთი ფორმათაგანია ქვეყნის მმართველობაში და სოც. მშენებლობაში ფართო მშრომელი მასების ჩაბმისა. ეს ფორმაა პროლეტარიატის დიქტატურის აპარატის, ე.ი. სახელმწიფო მართველობის გამაგრებისა. ეს საშუალებაა ქალაქად და სოფლად ჩვენი ძალების მობილიზაციისა, კლასიური მტრის, კულაკების, ნეპმანებისა და სხვათა წინაალმდეგ. ეს საშუალებაა სხვადასხვა ჯიშის ოპორტუნისტების გამომჟღავნებისა, რომელნიც აშკარად თუ ფარულად გამოდიან პარტიის წინაალმდეგ და სინამდვილეში კი ჩვენი კლასიური მტრის მეგობრები არიან და, ბოლოს, თუ რითი განსხვავდება ეს კამპანია წარსულ კამპანიებისაგან, ამაზე ნათელ პასუხს გვაძლევს ამხ. ს. მამულია, რომელიც თავის მოხსენებაში რესპუბლიკანურ თათბირზე საბჭოთა არჩევნების შესახებ ამბობს:

„..... ამ კამპანიის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომლითაც ის განსხვავდება სხვა, წინედ ჩატარებულ საანგარიშო - საარჩევნო კამპანიებისაგან, იმაში მდგომარეობს, რომ ეს არის პირველი კამპანია, რომელსაც ჩვენ ვატარებთ რეკონსტრუქტიული პერიოდის ახალ ეტაპზე".

როგორი უნდა იყოს ამ კამპანიაში პ.-ორგანიზაციის მონაწილეობა პარტიის, კომკავშირისა და ხელისუფ-

## ენტუზიასტები

სანამ ზეიადობს რკინა-კუნთები
და ვიწოდებით ენტუზიასტად,
დროთა დინებით არ მოვდუნდებით
შეხორცებულნი ინდუსტრიასთან.

—:—

ვიცით: მედგარი შრომით სულ მალე
სოციალიზმიც დავაჟკაცდება,
ამიტომ გვინდა არ შევანელოთ
წინ სვლის ტემპები და ალტაცება!

—:—

მარჯვნივ და „მარცხნივ" ცეცხლურ
შეტევით
წინ! დამკვრელური ავიგანტებით!..
გვახლავს ხალისი დაუშრეტელი
და სიმტკიცე კი—ბარიკადების.

—:—

წინ! არსად იყოს დაუდევრობა,
წინ!—მიღწევები გასაკვირველი!
უკან დავტოვოთ მალე ევროპა,
მრეწველობაშიც ვიყოთ პირველი!

**შალვა შამფრიანი.**

**მხურვალე სალამი ჩვენს უფროს ძმებს — კომკავშირელებს!**

ლების დასახმარებლად: რა უნდა გააკეთონ მათ კონკრეტიულად?

1. რათა მივაღწიოთ ამომრჩევლების სრულ 100 პროც. დასწრებას საანგარიშო - საგადარჩევო კრებებზე, ამისათვის საჭიროა:

ა) პ.-ო. საშუალებით დარიგდეს საარჩევნო უწყებები მოსახლეობას შორის, გავწიოთ აგიტაცია ოჯახში მშობლებთან და ამ მუშაობაში ჩავაბათ შეუკავშირებელი ბავშები.

ბ) საბჭოთა აღმშენებლობის მიღწევათა პოპულიარიზაციის მიზნით კრებების ადგილას მოვაწყოთ ლოზუნგების, დიაგრამების, კედლის გაზეთების გამოფენები, საღამო - წარმოდგენები ცოცხალი გაზეთის გამოსვლით, რომელნიც მხატვრულად ასახავენ ამ კამპანიის მნიშვნელობას, მოეწყოს კოლექტიური და ინდივიდუალური საუბრები მშრომელ მოსახლეობასთან.

გ) ვინაიდან შემჩნეულია, რომ ქალთა რიცხვი კრებებზე მუდამ ნაკლებია, ამიტომ არჩევნების დროს პიონერებმა უნდა მოაწყონ ბაგები, სადაც მშობლებს შესაძლებლობა ექნებათ დასტოვონ თავიანთი ბავშები, წავიდენ კრებაზე. ამ ბავშების მოვლა თავს უნდა იდონ უფროსმა პიონერმა გოგონებმა.

2. რათა მოსახლეობისათვის ნათელი გახდეს ამ კამპანიის მნიშვნელობა, ქოხ-სამკითხველოებში უნდა მოეწყოს სპეციალური მაგიდები და მორიგეობა, სადაც იწარმოებს გაზეთის ხმამაღალი კითხვა და კონსულტაცია არჩევნების შესახებ.

ვინაიდან ხშირი შემთხვევაა, რომ პიონერებმა თვითონაც არ იციან ამა თუ იმ კამპანიის მნიშვნელობა და ამის გამო ვერ ატარებენ სათანადო ახსნა-განმარტებას მოსახლეობაში, ამიტომ საჭიროა:

ა) კოლექტივის, ბაზის, საერთო კრებებზე მოეწყოს საუბრები ამ თემაზე, საუბარი უნდა დაევალოს ისეთ პირს, რომელიც კარგად იცნობს ამ საქმეს, მოეწყოს საარჩევნო ინსტრუქციების განხილვა-დამუშავება და ნაკაზების შედგენა საბჭოთა ახალ შედგენილობისათვის.

ბ) შედგენილ იქნეს ბრიგადები, რომელნიც გამოარკვევენ თუ რამდენად არის ცხოვრებაში გატარებული ძველი ნაკაზები და როგორი იყო საერთოდ ძველი საბჭოს მუშაობა, ხომ არ ყოფილა შემთხვევა უკანონოდ მოწმობის გაცემისა და სხვა.

ამ კამპანიის დროს ქალაქის პ.-კოლექტივებმა უნდა მოაწყონ სოფლის პ.-კოლექტივებში ბრიგადების გაგზავნა.

და, ბოლოს, ფართოდ გამოყენებული უნდა იქნეს სოც.-შეჯიბრება ცალკე კოლექტივებს, მაზრებსა და რაიონებს შორის მუშაობის სწორი აღრიცხვით და ხელშეკრულებათა ხშირი შემოწმებით.

ფ. საათაშვილი.



ამხ. მიხა ცხაკაია ტრიბუნაზე—ოქტომბრის 13 წლის თავზე

# შემოდგომა

ქარი აქროლდა ცივად,
მთიდან მოვარდა ღვარი,
ხიდან ფოთლები ცვივა,
გატიტვლდა მთა და ბარი.

გლეხები მიწას ხნავენ
და პურს სთესავენ სუფთას,
გამოყრუებულ ხრამებს
ნისლები დაეუფლა.

ზოგი ზამთრისთვის ურმით
ტყიდან ხმელ შეშას ზიდავს,
ზოგი საქონელს უვლის,
ყიჟინა ისმის გზიდან.

და შრომა გვმატებს სიცილს,
სარჩოს მივეცით ბინა,
ზამთარმა სუსხი იცის,
შრომის სიმარჯვე გვინდა.

ნამქერი მოვა მთიბად,
სუსხი მოგვიჭერს ცხარე,
ბუხარი აინთება,
ყინვა გათოშავს მხარეს.

და ვეშურებით სარჩო
ღროზე შევზიდოთ შინა,
პიონერს გაუმარჯოს,
შრომისთვის გამოზრდილა!

შალვა შავილაშვილი.

# ამხანაგო პიონერებო!



**ს.ა.ლ.კ.კ. ცენტრალური კომიტეტის პ.-მგ. მდივანი ამხ. კოტე ბუჯიაშვილი.**

სრულიად საქართველოს ლენინური კომკავშირის მე-10 ყრილობას, რომელიც მოწვეულია ა. წ. 5 დეკემბრისათვის — აუცილებლად დიდი ისტორიული მნიშვნელობა ექნება საქ. ა. ლ. კ. კ. ყველა ჩატარებულ ყრილობებთან შედარებით. ეს ყრილობა იწვევა ყველა ფრონტზე სოციალისტური შეტევის გადამწყვეტ მომენტში, პროლეტარიატის დიქტატურის კლასიური მტრების—კულაკების, ნეპმანების, მავნებლების წინააღმდეგობის გამწვავების მომენტში. ეს ყრილობა იწვევა სოციალისტური აღმშენებლობის ფრონტზე პარტიისა და მუშათა კლასის დიადი გამარჯვების და ამ დიდი აღმშენებლობის ყველა შინაური და გარეშე მტრის მტკიცე გამომჟღავნების მომენტში.

საქ. ა. ლ. კომკავშირი, საბჭოთა კავშირის სამმილიონიანი ახალგაზრდა ბოლშევიკების ერთერთი რაზმი, ყოველთვის ერთგული და თავდადებული ლენინური პარტიისა და მისი გენერალური ხაზისათვის, თავის მე-10 ყრილობას ხვდება ბრძოლაში უდიდესი გამარჯვებებით. სრულიად საქართველოს მე-9 ყრილობის შემდეგ, საქ. ა. ლ. კ. კ. გაიზარდა, როგორც რიცხობრივ, ისე იდეურად და პოლიტიკურად. ეს გამარჯვებები მიღწეულია პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით, ორ ფრონტზე დაუნდობელი ბრძოლით, მემარჯვენე გადახრის — მოცემულ ეტაპზე მთავარი საშიშროების — და „მემარცხენე" ბლოკისტების და მათდამი შემარიგებლური განწყობილების წინააღმდეგ ბრძოლით. გარდა ამისა ყველა ეს მიღწევა ლენინურმა კომკავშირმა, კომკავშირის და მუშათა და გლეხთა მთელი ახალგაზრდობის პოლიტიკური აქტიურობის უდიდესი ზრდით მოიპოვა. კომკავშირთან ერთად გაიზარდა და გაიშალა პიონერმოძრაობაც საქართველოში: პიონერები არიან არა მხოლოდ აქტიური თანაშემწენი საქ. ა. ლ. კ. კ. და პარტიისა მათ ბრძოლასა და შემოქმედებით მუშაობაში, პიონერები ახლა უდიდეს ძალას წარმოადგენენ პროლეტარული დიქტატურის ხელში, სოციალიზმის მშენებელთა ახალი კადრებისათვის ბრძოლაში. პიონერორგანიზაციები ახალა უკვე იწყებენ ლენინური კომკავშირის მიხედვით თავისი რიგების გარდაქმნას, ჩვენი მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქციის პირობებსა და მოთხოვნებთან შეფარდებით. პიონერები კომკავშირლებთან ერთად უკვე გვიჩვენებენ საფინანსო - საწარმოო გეგმისათვის მართლაც დამკვრელი, თავდადებული მუშაობის მაგალითს, შრომის ნაყოფიერების აწევისათვის, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის ბრძოლის მაგალითს. მაგრამ ეს მხოლოდ მაგალითებია. პიონერორგანიზაცია ჯერ კიდევ მძიმედ ბრუნდება წარმოებისაკენ, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობისკენ. ამ შემთხვევაში მთავარი ჯერ კიდევ წინ არის.

მე-10 ყრილობაზე სპეციალურად დგას ბავშთა შორის მუშაობის საკითხი. ყრილობა შეაჯამებს ორნახევარი წლის განმავლობაში პროლეტარულ ბავშთა შორის კომკავშირის მუშაობას და მისცემს თავის ორგანიზაციებს პროლეტარული ბავშების შემდგომი დაპყრობისა და კომუნისტურად მათი აღზრდის ახალ გაფართოებულ გეგმას.

მე-10 ყრილობა ჩატარდება ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ აღმშენებლობაში კომკავშირისა და პიონერორგანიზაციის ხვედრითი წონის ამაღლების, სოციალისტური ზრდის სიძნელეებთან და სოციალისტური მშენებლობის ყოველგვარ მტერთან და გამცემთან ბრძოლის ლოზუნგებით.

ეს ყრილობა ჩატარდება კომკავშირლებისა და პიონერების ძალღონისა და ენერგიის უფრო მეტი მობილიზაციით —ხუთწლედის 4 წელში შესასრულებლად, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. გენერალური ხაზისათვის საბრძოლველად ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ, მემარჯვენეთა და „მემარცხენეთა" წინააღმდეგ, ყველა იმათ წინააღმდეგ, რომლებიც აღიარებენ, რომ პარტიის ხაზი სწორია, საქმით კი აფერხებენ მას.

კომკავშირლებო და პიონერებო, მტკიცედ შევკავშირდეთ სრულიად საქართველოს მე-10 ყრილობის მეტად მნიშვნელოვანი დირექტივების ბოლშევიკურად განხორციელებისათვის.



მოვდივართ

უფროს

მებრძოლთა

შეცვლად.



# ნორჩო პიონერებო!



ს.ა.ლ.კ.კ. ც.კ. პროპაგანდისა და თეორიული სწავლების განყ. გამგე ამხ.
აკ. მახათაძე.

საქართველოს ლენინური კომკავშირი საკავშირო კომკავშირის გამობრძმედილი რაზმი, პარტიის გენერალური ხაზისათვის მებრძოლი წარმოებაში და სასოფლო-მეურნეობაში დამკვრელობის პირველი ავტორი, ურყევათ მებრძოლი კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, კულტურული რევოლუციის შეფი, შეუნელებელი მებრძოლი მემარჯვენეებთან, „მემარცხენეებთან“, მათთან შემარიგებლობასთან, საზიზღარ ორპირობასთან და ყოველგვარ იდეოლოგიურ მერყეობასთან უდიდესი მიღწევებით წარსდგება თავის მეათე ყრილობის წინაშე.

მიღწევებთან ერთად უდიდეს საქმიანობაში ჩვენ გვაქვს ნაკლიც, ამიტომ ჩვენი ორგანიზაციები გაფაციცებით ემზადებიან, რომ ყრილობას წარუდგენ ნაკლთა აღმოფხვრით და რაც გვექნება მისთვის ღონისძიებები ამ საქმეში, მას თქვენც უდიდესი დახმარება უნდა გაუწიოთ, რადგან სოციალისტურ მშენებლობაში ხომ თქვენც ნორჩი ხელებით ეზიდებით აგურებს.

მეათე ყრილობისათვის თქვენც უნდა ჯამი გაუკეთოთ თქვენს მუშაობას და გადაუშალოთ მას, როგორ იზრდებით, როგორ მონაწილეობას ღებულობთ წარმოებაში და კოლმეურნეობებში, რას აკეთებთ კულტურულ რევოლუციის ფრონტზე, როგორ ზრდით მებრძოლ ინტერნაციონალისტებს, რელიგიასთან მებრძოლებს, თეორიისა და ტეხნიკისათვის მოლაშქრეებს და რაც მთავარია, როგორ აწარმოებთ კომკავშირთან ერთად მუშაობის გარდაქმნას; უნდა გამოამჟღავნოთ ისიც, რომ ჩვენ კომკავშირელები, თქვენი უფროსი ძმები, სათანადოთ ხშირად ვერ გიწევთ ხელმძღვანელობას და სხვ.

განამტკიცეთ ბრძოლა ჩვენი წარმატებისათვის და მიეჩვიეთ რევოლუციონური თეორიის დაპყრობას.

## წითელი გუთნეულები

სადაც გაშლილა გულუხვად
გადაუხნავი მიწები —
გავსულვართ კომუნარებთან
კუნთლონიერი ბიჭებიც.
და დღე — ნიადაგ მომიზნულ
საქმის კეთებას ვუნდებით.
შრომაში შეჯიბრებულან
„წითელი გუთნეულები“.
გაზრდილა ერთი ათასად
მშრომელ გლეხობის იმედი
ტრაქტორს რომ მისდევს ტრაქტორი
რომ იწვევს ტრიერს ტრიერი.
მინდვრისთვის უნდა ივარგოს
ნარკვევ ხვავებმა თესლისამ
რომ გვალალებდეს შედეგი
საშემოდგომო თესვისა.
საბჭოთა მოსახლეობას
რომ მოუზღვავდეს საკვები
არ დაგვრჩეს დაუთესევად
მიწის მცირედი ნაკვეთიც.
არტელის გარედ დარჩენილ
ღარიბთაც დავეხმარებით,
თუ ვერ მოასწრო ხვან-თესვა
ჯანგატეხილი ხარებით.
ხმაურს ასკდება ხმაური,
მძაფრი მხნეობის მტვერია,
ინდუსტრიალურ ჰანგებში
მანქანებიც კი მღერიან.
ირღვევა მკვრივი ყამირი
ხნულებს მისდევენ ხნულები
საშემოდგომოდ მხნეობენ
წითელი გუთნეულები.

გრიგოლ იკოშვილი.

პიონერული „მზად ვართ“ საქართველოს ლენინური კომკავშირის მე-10 ყრილობას!



პიონერები იღებენ პარადს
ოქტომბრის დღეებში





# ოქტომბრის ზეიმი ჩვენში და საზღვარ-გარედ



13 წლის თავი ვიდღესასწაულეთ ოქტომბრის რევოლიუციისა. მთელმა მსოფლიოს მშრომელებმა მე-13-ჯერ დავანახეთ ჩვენს მტრებს მძიმე ინდუსტრია და დიადი მშენებლობა. შევამოწმეთ რამდენი და რა სახის მიღწევები გვაქვს საბჭოების ხელმძღვანელობით.

1 ნოემბრიდან დაიწყო სამზადისი დღესასწაულების ჩატარებისათვის. მთელი რიგი წითელი კუთხეები წარმოება-დაწესებულებებში და ქარხნებში საუკეთესოდ იყო მოწყობილი. კლუბებსა და კოლტურულ დაწესებულებებში კეთდება მოხსენებები და მოგონებათა საუბრები ძველი რევოლიუციონერების მიერ.

საწარმოო და სამეურნეო დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა მე-13-ჯერ შეაჯამეს მშრომელებთან ერთად მთელი რიგი მიღწევები.

წარმოებებში აუარებელი საუკეთესო მუშებმა გამოაცხადეს თავისი თავი დამკვრელებად და ხუთწლედის ოთხწელში დამთავრებისა და სწორად შესრულების მიზნით მიემაგრენ წარმოებებს და დაწესებულებებს ხუთწლედის დამთავრებამდე.

აღვნიშნეთ რა თუ როგორ შეხვდენ მე-13 წლის თავს საბჭოთა კავშირის მშრომელთა და მუშა-მოსამსახურეთა მილიონები, უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე კომკავშირელთა და პიონერ-ოქტომბრელთა ენტუზიაზისტობა და სიხარული ამ დღესასწაულის ჩატარებაში.

როგორ შეხვდა ამ დღეებს ოქტომბრის რევოლიუციის ერთგული დარაჯი წითელი არმია?

ის რაზმები, რომლებიც სამხედრო ტანსაცმელით ერთნაირად მწყობრად ამშვენებდენ დროშებით წითლად შეღებილ ქუჩებს და მიუძღოდენ მშრომელებს წინ, იყო დიადი ოქტომბრის მონაპოვართა დარაჯი, წითელი არმია. არა ნაკლები ენტუზიაზმი და მხიარულება გამოიწვია ამ დღემ წითელ ლაშქარში. სამხედრო სარევოლიუციო და საზღვაო-საჰაერო დეპუტატთა საბჭოს მეთაურობით და სწორი ხელმძღვანელობით განსაკუთრებულად მომზადებული შეხვდა წითელი არმია მე-13 წელს.

სამხედრო ორგანოებმაც მოახდინეს თავისი მზადებისა და მიღწევების გასინჯვა-დათვალიერება.

ჩვენს წითელ არმიას კარგად ესმის იმპერიალისტური სახელმწიფოების პოლიტიკა, რომელიც მთელი მისი სიძლიერით და შეგნებით მომართულია საბჭოთა მშენებლობის ხელის შესაშლელად და სურს ჩაგვითრიოს ომში. ეს კარგად ესმის ჩვენი წითელი არმიის ნაწილებს და აღრმავებენ ცოდნას, როგორც სამხედრო ისე სხვა აკადემიურ მომზადებაში.

დათვალიერება მოხდა მშრომელების მიერ, რომლებიც მხიარულად და ვაშას ძახილით ილებდენ სამხედრო ალლუმს.

ეს სიხარულს იწვევდა დემონსტრანტ მშრომელებში...

აგრეთვე დიდი ნასიამოვნები დარჩენ მშრომელები საჰაერო ტეხნიკისა და მომზადების ნახვით.

აგრეთვე მოხდა საზღვაო სამხედრო ფლოტის დათვალიერება. მუშა-მოსამსახურეებმა და მშრომელებმა მოაწყვეს მასიური დათვალიერება სამხედრო გემებისა.

ამ დღისათვის მოხდა ელექტრო-სადგურებისა და სხვა მიღწევათა საზეიმო გახსნა რასაც დაესწრენ მთავრობის წარმომადგენლები და მილიონი მშრომელები.

სულ სხვა იყო იმპერიალისტურ ქვეყნებში.

## ცნობები იმპერიალისტური ქვეყნებიდან

ყველასათვის ცხადია, თუ როგორი დემონსტრაცია მოხდებოდა მშრომელების მიერ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში.

შედარება ჩვენსა და მათ სახელმწიფოებს შორის ყოვლად შეუძლებელია.

მთელ რიგ დიდ ევროპიულ სახელმწიფოებში გაიმართა ოქტომბრის დღესასწაული! აღსანიშნავი დემონსტრაციები და ადგილობრივი მთავრობის საწინააღმდეგო მიტინგები.

იმ სახელმწიფოებში, სადაც მეტად არის კომუნისტური მოძრაობა გაღრმავებული კომუნისტურმა პარტიებმა შესძლეს თავიანთი ორგანოებში დაებეჭდათ სამზადისი და ლოზუნგები, მაგ. გერმანიაში ცენტრალურმა და პროვინციალურმა კომუნისტურმა გაზეთებმა ამ დღისათვის გამოუშვეს სპეციალურად დღესასწაულისათვის მიძღვნილი ნომრები, სადაც ჩაგრული მშრომელები და ფაბრიკა-ქარხნის მუშები კითხულობდენ შემდეგს:

— მთელი მსოფლიოს მშრომელებს: „გავშალოთ და ავაფრიალოთ მსოფლიო ოქტომბრის წითელი დროშა“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მთლიანობას და მსოფლიო მშრომელების მიმართ საბჭოების ხელმძღვანელობას“.

მთელი რიგი დემონსტრაციები და საზეიმო სალამოები იყო მოწყობილი, სადაც კეთდებოდა მოხსენებები შემდეგ თემაზე:

ჩვენთანაც მოახლოვებულია ოქტომბერი დედამიწის ერთ მეექვსედზე თუ ფრიალებს თავისუფლების დროშა და მშრომელებს აშენებენ ჩამორჩენილ ქვეყანას, დღეს, საბჭოთა დროშა აფრიალდეს ჩვენთანაც. გაუმარჯოს საბჭოებს და მსოფლიო ოქტომბერს

ასეთი იყო მთავარი შინაარსი მოხსენებათა, ასევე იმეორებდა ამ სიტყვებს ლოზუნგებად დემონსტრაციაში მონაწილე მშრომელები.

ბერლინის ყველა მუშათა რაიონებში იყო საზეიმო ტრიბუნა, რომელზედაც ადიოდენ მუშები და ასეთი სიტყვებით მიმართავდენ ალლუმში მონაწილეთ: ზიზღი იმპერიალისტურ ჩაგვრას. ჩვენ დავიცავთ საბჭოთა კავშირს და სხვ.

7 ნოემბერმა დემონსტრაციის ჩატარების მიზნით დარაზმა მილიონები მშრომელებისა, რომელთა მთავარ ლოზუნგებს წარმოადგენდა „მზადა ვართ ვიბრძოლოთ საბჭოთა გერმანიისათვის“.

ასეთი ლოზუნგები და დემონსტრაციების მოწყობა იყო მშრომელთა დარაზმვა და ზეიმი 13 წლის თავისათვის, მაგრამ ამავე დროს იყო გალიზიანება ადგილობრივი ხელისუფლებისა და პოლიციის.

ყველა რაიონებში დემონსტრაციების მსვლელობას ხელს უშლიდა პოლიცია და ადგილობრივი მთავრობა. მთელ რიგ რაიონებში მოხდა მასიური ჩხრეკა და მოთავეთა დაპატიმრება. პოლიცია არ დაერიდა არც იარაღის ხმარებას და მოხდა მრავალ რაიონებში სისხლისმღვრელი შეტაკებანი. დემონსტრანტი მუშები და ხელმძღვანელები არ იშლებოდენ პოლიციის გათრთხილებაზე. მოწინააღმდეგეებს ასე უპასუხებდენ:

— რაც უნდა შეუშალოთ ხელი ჩვენს დარაზმვას წითელი დროშის ქვეშ, მაინც მოახლოვებულია მსოფლიო ოქტომბერი!

ყველასათვის ადვილი გასაგებია თუ რა პასუხს მიიღებდენ ასეთ სიტყვებზე მუშები.

მრავალი მოთავე მუშა და მშრომელი დააპატიმრეს.

მტრები კი არაფის იზრალებდენ. დემონსტრაციებში მონაწილე ბავშვების მეთაურები და კომკავშირელ-პიონერთა რაზმებიც კი დაატუსაღეს და გაჩხრიკეს.

ვარშავის (პოლონეთში) მშრომელთა დემონსტრაციის დროს მოხდა პოლიციასთან შეტაკება და წითელი დროშების ჩამორთმევა; მთავრობამ ყოველგვარი ზომები იხმარა დემონსტრანტების ასალაგმავად.

ასეთივე მდგომარეობა იყო დღესასწაულის ჩატარების დროს ვენაშიც, (ავსტრია), სადაც მუშები ასეთი ლოზუნგებით გამოვიდნენ: „ძირს ფაშისტური მთავრობა და მოღალატე ფაშისტი ლიდერები“. „გაუმარჯოს საბჭოებს მთელ ქვეყანაზე!“.

ასეთი ლოზუნგებით ჩაიარეს მთელი რიგი ქუჩები. სალამოს მოეწყო საზეიმო სალამოები და მიტინგები, სადაც იწონებდნენ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას მსოფლიო მუშათა მოძრაობისადმი.

საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოებები ადგილობრივ აწყობდენ სალამო მოხსენებებს, საბჭოთა მშრომელებთან მეგობრობისა და სოლიდარობის აღსანიშნავად.

ასეთი მიტინგებისა და დემონსტრაციების მოწყობამ მთელ დასავლეთ ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოებში დიდი შეშფოთება და წინააღმდეგობა გამოიწვია.

ასეთივე მდგომარეობა იყო ისეთ სახელმწიფოებში, როგორიცაა ჩეხო-სლოვაკია, ესპანეთი, ჰოლანდია, შვეცია, რუმინია, ბელგია და სხვ.

საბჭოთა კავშირის მშრომელთა მაგალითები იმის დასაყრდენია, რომ მოახლოვებულია მსოფლიო დიდი რევოლიუცია, რომელიც გაანთავისუფლებს მშრომელებს დედამიწის ხუთ მეექვსედ ნაწილზედაც ისე, როგორც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

ია ჯიბლაძე.

# ბავშთა კომმოძრაობა



ამხ. ფ. მახარაძე პიონერ-მომუშავეთა დელეგატებში

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პიონერთა ორგანიზაციის მუშაობაში დამახასიათებელ მომენტად ითვლება ძირითად მასის ორგანიზაციის პირით მობრუნება ქვეყნის სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანებისაკენ, რომელიც მიზნად ისახავს ჩვენში სოციალიზმის მშენებლობას, ბრძოლას საწარმოო-საფინანსო გეგმის შესასრულებლად, მონაწილეობას კოლმშენებლობაში, წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა.

ამასთან ერთად, ამ ამოცანათა შესასრულებლად ორგანიზაციამ თავისი მუშაობა გადაახალისა პიონ.-თა ახალ ფორმებზე და მეთოდებზე, მთავარი ყურადღება მიექცა სოცშეჯიბრებას, როგორც პიონერთა შორის მუშაობის ძირითად მეთოდს. ეს ხასიათდება, მაგალითად, შემდეგი ფაქტებით: მრეწველობის სფეროში პიონერთა ლაშქრობის დროს ხუთწლედის წარმატებით შესასრულებლათ ლენრაიონის პიონერებმა შეფობა აიღეს 75 დაზგაზე, 1000 შეუკავშირებელი ბავში ჩააბეს საფინანსო გეგმის შესრულების საქმეში. პიონერთა ძალებით აყვანილია აღრიცხვაზე სასწავლებლად 1700 წერა-კითხვის უცოდინარი (ტფილისის ქალაქის ორგანიზაცია).

ბორჯომის პიონერებმა შეაგროვეს 1.500 ფუთი უტილნედლეული, დავალებას 500 ფუთით გადააჭარბეს.

დასდეს 97 ინდივიდუალური ხელშეკრულება, თავიანთ მშობლებთან, აიღეს შეფობა 25 დაზგაზე და ჩაატარეს 5 კრება მშობელთა მონაწილეობით. ჩაატარეს კრებები აგრეთვე ხუთწლედის შესასრულებლად პიონერთა საწარმოო ლაშქრობის ჩატარებასთან დაკავშირებით.

აჭარისტანის პიონერებმა წარმოებებთან დასდეს 83 სოცხელშეკრულება და შეაგროვეს 5.000 ფუთი უტილნედლეული.

ქუთაისის პიონერთა ორგანიზაციამ შეაგროვა 2200 ფუთი უტილნედლეული.

ხაშურის, ბორჯომის და კასპის პიონერებმა 210 მუშა ჩააბეს დამკვრელ ბრიგადებში.

აი ყველაფერი ის, რაც გაკეთებულია საქ. პიონერ-ორგანიზაციის მიერ, რომელიც იმას მოწმობს, რომ ის არ ზოგავს თავის ენერგიას, რათა თავისი წვლილი შეიტანოს ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობაში.

## სასოფლო მეურნეობის დარგში

სოფლის პიონერთა ორგანიზაციის ნაწილს დიდი მიღწევები აქვს კოლმეურნეობების მოძრაობაში, საგაზაფხულო თესვაში, აკრეფის კამპანიაში და სხვ. ღონისძიებათა შესრულებაში პარტიის და კომკავშირის მიერ მოცემული ხაზით, როგორც მაგალითად:

სენაკის მაზრის პიონერებმა დარგეს 1000 თუთის ხე და დაამუშავეს 55 პიონერთა ბოსტანი. მხოლოდ ქუთაისის ორგანიზაციამ სოფლად გაგზავნა პიონერთა 15 ბრიგადა, რომელთაც გაავრცელეს ლიტერატურა და ატარებდენ აგიტაცია - პროპაგანდას გლეხობაში.

მაშველის რაიონის 30 პიონერმა შეჰქმნა ამხანაგობა, რომელთაც დაამუშავეს 4 ჰექტარი მიწა.

ხონის რაიონის ბავშვებმა შეაგროვეს 114 ფუთი სათესლე სიმინდი და 60 მანეთი ფულად, რითაც უნდა შეეძინათ სახნისები. მთლიანად რაიონში ჩატარებულია 27 შაბათობა, არხის გაწმენდისათვის, და გაასუფთავეს 10 ჰექტარი მიწა, სიმინდის ძირკვებისაგან და ქვებისაგან.

სვირში დაამუშავეს 10 ჰექტარი სავაზე ადგილი და შეჰქმნეს ჯგუფი სოფლის მეურნეობაში მავნებელთა წინააღმდეგ.

ბოლრი: კასპის რაიონში პიონერებმა გასწმინდეს 250 ფუთი ხორბალი.

სოფ. ქვემო ჭალაში შეაგროვეს 150 ურემი უტილნედლეული.

სენაკი: სოფელ ხორშში პიონერებმა დარგეს 70 ძირი ჩაის ბუჩქი.

ბორჯომის რაიონის პიონერებმა სოფლად გაგზავნეს პიონერთა 10 ბრიგადა, რომელთა მიერაც გამოშვებული იყო 35 ც. კედლის გაზეთი და დასდგეს 40 საღამო-წარმოდგენა.

ოზურგეთის (ყოფ. მაზრის) პიონერებმა მოაწყვეს 33 შაბათობა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, და მეურნეობებს გადასცეს 22,000 ნერგი ჩაის პლანტაციისათვის.

სამხრეთ-ოსეთის პიონერთა ორგანიზაციამ გააკეთა 44 პიონერთა ბაღბოსტანი, მოაწყვეს აგრეთვე 2 მეფუტკრეთა საბავშო სოფლის მეურნეობის კოლექტივი.

მხოლოდ აფხაზეთის პიონერთა ორგანიზაციამ საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით დაგზავნა სოფლად 205 პიონერთა ბრიგადა. შემოდგომაზე მოაწყვეს 47 შაბათობა თამბაქოს აკრეფისათვის, სადაც მონაწილეობას ღებულობდა 1.000 პიონერი.

მინდვრად პიონერებმა დარგეს 561 ხე და 2000 ძირი ნაძვის ხე და სხვ.

ყოფ. ქუთაისის ოლქში ა.-წ. გაზაფხულზე დარგეს 427 ძირი ხე.

გორში პიონერებმა დასთესეს 4 ნახ. ჰექტ. ეკლის ხის თესლი.

ამავე დროს ახალქალაქის მაზრაში პიონერებმა დარგეს 900 ძირი ხე.

ანალოგიური ფაქტები არის აგრეთვე დანარჩენ ორგანიზაციებში, მხოლოდ ზემოდმოყვანილი ფაქტები იმას გვიჩვენებს, რომ პიონერთა ორგანიზაციას თავის მუშაობაში აქვს დიდი მიღწევები ხუთ წლიანი გეგმის ოთხ წელში და უფრო ადრე შესრულებისათვის.

მიუხედავად ამისა, მუშაობა პიონერთა ორგანიზაციისა სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის კიდევ ვერ არის დამაკმაყოფილებელი, მთავარი ის არის, რომ ადგილებზე გეგმიურ სახეს არ ატარებს.

უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტულ ფაქტებზე სოციალისტურ აღმშენებლობაში ჯერ კიდევ არასაკმაოდ იზრდება ბავშობა. ნაწილობრივ ზოგიერთ ორგანიზაციებში მისდევენ რიცხობრივად საქმის ზრდას და ამ დროს კი ხანდახან იკარგება საერთო პერსპექტივები სოციალისტურ აღმშენებლობაში. პიონერთა ზოგიერთი მუშაკები არასაკმაოდ უხსნიან და განუმარტავენ ბავშებს სოციალისტურ აღმშენებლობას და არ მიუთითებენ ცალკე, კონკრეტიულ საკითხებზე.

## ზრდა

საქართველოს კომკავშირის მე-3-ე კონფერენციაზე აღიარებული იქნა პიონერთა ორგანიზაციის ზრდის ჩამორჩენა საერთო სოციალისტურ მშენებლობის ტემპიდან, ამავე კონფერენციამ მოგვცა საბრძოლველი ამოცანა პიონერთა ზრდის და გაორკეცების შესახებ უახლოეს ხანში.

კომკავშირის მე-9-ე ყრილობისათვის პ.-ორგანიზაცია თავის რიგებში ითვლიდა 60.083 პიონერს და 24,950 ოქტომბრელს, სულ 85.754 ორგანიზაციულად შეკავშირებულ ბავშს.

საქართველოს კომკავშირის მე-3 კონფერენციისათვის პ.-ორგანიზაცია გაიზარდა 82.900 პიონერით და 34.821 ოქტომბრელით. სულ ითვლიდა 117.521 ორგანიზაციულად შეკავშირებულ ბავშს. მხოლოდ 1930 წ. აპრილისათვის ორგანიზაცია გაიზარდა 104,551 პიონერით და 44.362 ოქტომბრელით, სულ კი აერთიანებდა 148.813 ორგანიზაციულად შეკავშირებულ ბავშვს. იმის გამო, რომ ზრდა ნელი ტემპით მიმდინარეობდა, კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა ამა წლის მაისში გამოაცხადა ერთთვიური, რათა შეუკავშირებელი ბავშები ჩაბმულიყვენ პ.-რიგებში, რის



პიონერთა თათბირი 7 ნოემბრის წინა დღეს

შემდეგ ორგანიზაცია გაიზარდა დაახლოებით 40.000 ბავშით.

ზრდასთან ერთად საგრძნობლად იმატა მუშებისა და მოჯამაგირეების პროცენტმა. მაგალითად, 15,2 პროცენტით, აგრეთვე გაიზარდა კომკავშირის ბირთვი, მაგალითად: ოზურგეთის მაზრაში 15 -ით, ე. ი. 1057 წინაალმდეგ 9,7 პროცენტის. აგრეთვე გაიზარდა კომკავშირის მე-9-ე ყრილობის შემდეგ პ.-გოგონათა ზრდა, მაგალითად:

გორისა და სენაკის მაზრაში გოგონებმა ვაჟებს რიცხვობრივად გადააჭარბეს. გორში 4538 გოგონა არის, ვაჟები კი 4104. სენაკში 3407 წინაალმდეგ 3280 ვაჟისა, აგრეთვე ტფილისის ორგანიზაციაში გაიზარდა გოგონების რიცხვი 42,7 პროც. წინაალმდეგ 32,6 პროც., კომკავშირის მე-9 ყრილობისათვის.

აგრეთვე გვაქვს რამდენიმე **მიღწევები მუშაობის გადახალისების კოლექტივების საწარმოო პრინციპზე, მაგალითად:** არსებობს 15 პ.-კოლექტივი ტფილისში, შექმნილია 21 ბაზა, რომელიც აერთიანებს 78 კოლექტივს. პ.-ორგანიზაციის ზრდა კიდევ არ არის უზრუნველყოფილი მინიმალური მატერიალური ბაზით, როგორც ფულით, ისე ბინებით.

შემდეგისათვის პ.-ორგანიზაციის ზრდის საქმეში აუცილებელია სისტემატიური მუშაობა, რათა მუშათა კოლმეურნეთა, მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშვალო გლეხთა ბავშები 100 პროც. იქნეს ჩაბმული ორგანიზაციაში. მაგრამ რიცხობრივ ზრდასთან ერთად უნდა გაიზარდოს კადრები პიონერთა შორის მომუშავეებისა.

## მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები

პიონერ ორგანიზაციის უკანასკნელი წლების მუშაობაში ფართოდაა გამოყენებული მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები. ამიტომ ჩატარებული მუშაობა ახალ-და ახალ შედეგებს გვაძლევს. მათ შორის უფრო დამახასიათებელია სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის განვითარება პიონერ-ორგანიზაციაში.

ამჟამად პიონერ-ორგანიზაცია დიდ მუშაობას აწარმოებს იმ ხელშეკრულების შესასრულებლად, რომელიც დადებული აქვს მას მეფრინველეობის კავშირთან, რადიო-ცენტრთან და ა.-კ. წყალთა მეურნეობასთან. სოც.-შეჯიბრების ფორმებისა და მეთოდების ფართოდ გამოყენების წყალობით, პიონერ-ორგანიზაციის მუშაობამ გარკვეული და გეგმიანი ხასიათი მიიღო; ის მთელ თავის მუშაობას ამყარებს დამკვრელობაზე და მიაღწია მთელი რიგი მიღწევები, მაგალითად: სოციალისტურ შეჯიბრების გამოყენებით გორის მაზრის სოფ. ტყვიავის პიონერებმა შეაგროვეს 650 ფუთი ნედლი მასალა. საერთოდ მთელ საქართველოში ჩამოყალიბებულია მეფრინველეობის 35, მეაბრეშუმეობის—2 და მეფუტკრეობის —2 ამხანაგობა. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პიონერ-ორგანიზაცია მუშაობდა მთელ რიგ სხვა დავალებათა შესასრულებლად, —15.000 გალიის გაკეთება, 50.000 ძირი მცენარის დარგვა, უტილ-ნედლეულის და სათესი მასალების შეგროვება, რადიოფიკაციის განვითარება და სხვა.

თუ რამდენადაა შესრულებული ეს დავალებანი, ამას შემდეგი ფაქტები ადასტურებს: ბორჯომის პიონერებმა პიონერ-კოლექტივების რადიოფიკაციისათვის შეაგროვეს 300

მანეთი, მოაწყვეს 6 რადიო-წრე, მთელი საქართველოს მასშტაბით შეგროვებულია 30.100 ფუთი უტილნედლეული, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ პიონერ-ორგანიზაციის მუშაობაში აღნიშნულ დავალებათა შესრულებამ სათანადო ყურადღება ვერ დაიმსახურა.

მუშაობის ახალ ფორმებზე და მეთოდებზე გადასვლის სფეროში ჰქონდა და ახლაც აქვს ადგილი ახალი ფორმებისა და მეთოდების დამახინჯებას, რაც იმით აიხსნება, რომ ზოგიერთ პიონერს მუშაობის ახალი სისტემის მნიშვნელობა არ ესმოდა.

ზოგიერთ ორგანიზაციაში მუშაობის მეთოდები და შინაარსი დღესაც შელახულია ყოველგვარ აღრიცხვასა და სხვა.

ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პიონერ-კოლექტივების საბჭოში შეყვანილ იქნენ პედაგოგები და მშობლები (კახეთი); არსებითად ისინი უნდა გაერთიანდენ ბ.კ.ო. დამხმარე ჯგუფებში. პიონერ ორგანიზაციის მუშაობაში თვითკრიტიკის განვითარებას და გაშლას დიდით შეუწყო ხელი პიონერთა „მს. კავალერიამ“. მაგალითისათვის საკმარისია ავიღოთ ტფილისის ორგანიზაცია, სადაც მუშაობდა „მსუბუქი კავალერიის“ 90 ჯგუფი.

საერთოდ, მასიური წრეების მუშაობის ფართოთ გაშლამ, პიონერთა დამკვრელმა ბრიგადამ და სხ. ხელი შეუწყო პიონერ ჯგუფებს შორის აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას. მაგრამ მიუხედავად ამისა, დღემდე არ არის აღმოფხვრილი ის ნაკლი, რომ პიონერ-ორგანიზაციის მუშაობის შინაარსი და ბავშვთა შორის მოთხოვნილებანი ერთმანეთს ვერ ეთანაბრებიან. ხშირად პიონერ-ორგანიზაციის მუშაობის შინაარსი და მეთოდები სუსტად უწყობს ხელს ბავშვთა ინიციატივისა და თვით მოქმედების განვითარებას. უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვთა თვითმოქმედებისა და ინიციატივის გაშლა ერთერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს პიონერ-ორგანიზაციის მუშაობაში.

### სკოლა და ბ. კ.ო.

სკოლების მუშაობის სფეროში შესამჩნევად მოგვეპოვება მიღწევები. ამ მიღწევათა შორის აღსანიშნავია ბრძოლა ორწლიანობის და ჩამორჩენილობის წინააღმდეგ, განათლების სისტემის გარდაქმნა აგრონომიზაციისა და პოლიტეხნიზაციის საფუძველზე. ჩატარებულმა პრაქტიკულმა მუშაობამ საგრძნობლად აამაღლა პიონერ-ორგანიზაციის როლი და გავლენა იქონია მოსწავლე ახალგაზრდობაზე. საგზაო პირობების განვითარებაში საქ. ორგანიზაციამ პრაქტიკულად (ტფილისი, ქუთაისი) ჩაატარა პრაქტიკული მუშაობა 200 საუკეთესო პიონერთა მოსაწვევად საქარხნოსაფაბრიკო სკოლებში.

ბრძოლა წარმატებისათვის და სწავლის საუკეთესო ხარისხისათვის ვითარდებოდა და იშლებოდა სოც. შეჯიბრების საფუძველზე. მაგალითად ბორჯომის პიონერებმა ჩამოაყალიბეს 200 ჯგუფი ჩამორჩენილთა მოსამზადებლად. მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად მოეპოება ნაკლიც. მაგალითად: პიონერთა ფორპოსტების და ბიუროების სუსტი კავშირი საბავშვო ბაღებთან, საზოგადოებრივობის სუსტად ჩაბმა სასოფლო ცხოვრების გასაუმჯობესებლად, კერძოდ—მოწყვეთა საზოგადოებრივი კვების გასაუმჯობესებელ მუშაობაში (ცხელი საუზმეები სკოლებში და სხ.). სუსტად იყო აგრეთვე ჩაბმული პედაგოგიური საბჭო პიონერ-ორგანიზაციის მუშაობაში. ამასთან ერთად საბავშვო სახლებში სუსტად იყო დაყენებული მუშაობა; მათი მუშაობა ვერ უპასუხებდა მრეწველობისა და სკოლის მეურნეობის მოთხოვნილებას, ვერ იქნენ დაკმაყოფილებულნი სასწავლო ნივთებით და სხ. ყველა ამან უფრო და უფრო გააღრმავა მდგომარეობა ბავშვთა სახლებში.

### საბავშო გამოცემანი

საბავშო გამომცემლობის დარგში მთელი რიგი მიღწევები მოგვეპოება. გამომცემლობაში უმთავრესი ადგილი უჭირავს საბავშო ნივთებს. ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საბავშო ჟურნალ-გაზეთების ქსელის გაფართოებას. მაგრამ ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას; სახელმძღვანელო ლიტერატურის რაოდენობით პიონერ-მოძრაობის შესახებ მოისუსტებს გამომცემლობა ნაციონალურ ენებზე. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს პიონერ-გამომცემლობის ფართოდ გავრცელება ბავშთა მასებში. ჟურნალ „პიონერი“-ს ტირაჟი საგრძნობლად გაიზარდა,—1500 ცალის მაგიერ მისი ტირაჟი უდრის 5.500 ც.; გაუმჯობესდა მისი შინაარსიც, ის ახლა შედარებით ახლო სდგას ბავშთა მასებთან.



ოქტომბრის დღესასწაულზე

უნდა აღინიშნოს, რომ მწერალთა კადრები პიონერ-მუშაკებიდან და აქტივიდან ჯერ-ჯერობით სუსტად იზრდება. სრულიად არა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაშია მუშაობა პიონერ-კორესპონდენტებთან.

მომავალში უნდა გაძლიერდეს ყურადღება და მზრუნველობა საბავშო წიგნებზე, როგორც „სახელგამი“-ს, ისე მთელი საზოგადოებრივობის მხრით, რათა გაუმჯობესდეს საბავშო ლიტერატურის თვისობრივი და ხარისხობრივი წონა. ამავე დროს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს საბავშო გაზეთის გამოცემაც. ეს საკითხი უკვე მომწიფებულია და დაჩქარებით გადაჭრას მოითხოვს.

### გამაჯანსაღებელი მუშაობა

ბავშთა, და განსაკუთრებით, პიონერების ფიზიკური მდგომარეობა ძალზე აღმაშფოთებელია; ეს აიძულებს ც.კ. და ც.ბ. დაუყოვნებლივ შეუდგეს ბავშთა ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელის-შემწყობ დაწესებულებების ჩამოყალიბებას. გასულ წელს ბანაკად გაგზავნილი იყო 5.000-მდე პიონერი; წელს გეზი იქითკენ იყო აღებული, რომ გასულ წელთან შედარებით უფრო მეტად გაიშალოს ბავშთა ჯანმრთელობის ხელის-შემწყობ დაწესებულებათა ქსელი, ამ მიზნით განზრახულია ჩამოყალიბდეს მოედნები და იქვე **ილდა, საბანაო ბანაკი**—სანატორიუმები, საქანელა, ექსკურსიები და სხვა. წელს ბანკებში გაგზავნილი იყო 8.000-მდე პიონერი. გამაჯანსაღებელი ღონისძიებებით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ქალაქის პიონერ-ორგანიზაციის 80 პროცენტი. წელს პირველად იქნა ჩატარებული რაიონული ბანაკები და გიგანტები, მაგალითად: ტფილისის ლენრაიონის ბანაკში გაგზავნილი იყო ერთ ჯგუფად 600-მდე პიონერი. როგორც მიღებულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, სასურველია და მიზანშეწონილი ასეთი მსხვილი ბანაკების მოწყობა.

ბანაკების და სხვა გამაჯანსაღებელი მუშაობის ფორმების გაშლა სოფლად პირველ რიგში უნდა ხდებოდეს საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში და ნაც. უმცირესობათა რაიონებში.

პიონერთა ბანაკების მოწყობა, გამაჯანსაღებელ ამოცანებს გარდა, უმთავრეს მიზნად უნდა ისახავდეს აღმზრდელობითი მუშაობის ფორმების გაშლას, რომელიც პასუხს გასცემს საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობისათვის ახალი კადრების მომზადების საჭიროებას და ამავე დროს ხელს შეუწყობს სოფლის მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონად გარდაქმნას.

# ახალგაზრდა ნატურალისტთა მოძრაობა

რომ ბავშთა სასოფლო-სამეურნეო მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღოს, ამ მიზნით სწარმოებს მუშაობა ახ. ნატურალისტთა კოლექტივებსა და წრეებში. შექმნილია ახ. ნატურალისტთა ც. ბ. და 3 რაი-ბიურო, დაგზავნილია ადგილებზე საპროგრამო-მეთოდიური ხასიათის მასალები. რის წყალობით ამჟამად ჩამოყალიბებულია ახალგაზრდა ნატურალისტთა 15 ახალი წრე „26“-ის რაიონში. მოეწყო აგრეთვე ბიოლოგიური კაბინეტი ტფილისში, ჩამოყალიბებულია მეკურდღლეების ამხანაგობა ლენრაიონში, მაგრამ ყველა ეს ახალი წამოწყება უდიდესი მუშაობის მხოლოდ დასაწყისს წარმოადგენს. ამჟამად დღის წესრიგში სდგას საკითხი ცენტრალურ აგრო-ბიოსადგურისა და ბიოკაბინეტის ჩამოყალიბების შესახებ ცენტრის ყველა რაიონებში და მიდამოებში; ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიპყრობილი ახალგაზრდა ნატურალისტთა კოლექტივების ქსელის და ბავშთა სასოფლო-სამეურნეო სადგურების გაშლას და განვითარებას.

## ოქტომბრელები

ოქტომბრელთა რიცხობრივი და თვისობრივი ზრდა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ორგანიზაცია გაორკეცდა 52.329-მდე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ოქტომბრელთა შორის მუშაობა წარმოადგენს მთავარ საზრუნავს, როგორც ცენტრალური ხელმძღვანელობის, ისე ადგილობრივი ორგანიზაციების მხრით. უნდა აღინიშნოს, რომ მდგომარეობა ოქტომბრელებთან უფრო ცუდია, ვიდრე პიონერ კოლექტივების წინამძღოლებთან, თუმცა ზოგიერთ ადგილებში გამოყოფილია სპეციალური ინსტრუქტორები ოქტომბრელთა შორის სამუშაოდ და ასე თუ ისე მიღწევებს მოიპოვებენ. მაგრამ ეს არ კმარა, საჭიროა ოქტომბრელთა შორის მუშაობაში მოხდეს ძირითადი გარდატეხა.

## მატერიალური ბაზა და საზოგადოებრიობა

პიონერ მოძრაობის განვითარება შეუძლებელია ისე, თუ მას არ აქვს მტკიცე მატერიალური ბაზა.

საქართველოს სახკომსაბჭოს წინაშე დაყენებულია საკითხი პიონერ-ორგანიზაციის მატერიალური ბაზის უზრუნველყოფის შესახებ. ამავე დროს ადგილობრივ ორგანოებს წინადადება მიეცათ—შეიტანონ ადგილობრივ ბიუჯეტში ბ.კ.ო. მოთხოვნილებანი და საჭიროებანი. მიუხედავად მიღებულ ღონისძიებათა, მთელი რიგი ფაქტები ადასტურებენ, რომ პიონერ-კოლექტივები ხშირად უბინაოდ და უსახსროთ იმყოფება.

გადაჭრით უნდა აღვიაროთ, რომ ყველა აღნიშნული დეფექტები და ხელის-შემშლელი პირობები ძირშივე უნდა აღმოვფხრათ, რათა პიონერ-ორგანიზაციის ნორჩი არმია მტკიცე ნებით და რიგებით შეუდგეს პარტიისა და ხელისუფლების მიერ მის წინაშე დაყენებულ ამოცანების შესრულებას.

მუშაობამ, საყ. სავალდებულო სწავლების და სკოლის პოლიტექნიზაციის ჩასატარებლად გამოაცოცხლა პიონერთა მონაწილეობა სასოფლო მშენებლობაში.

ეს შემდეგი ფაქტებიდან სჩანს.

მოსამზადებელ მუშაობის ჩასატარებლად მოწვეულ იქნა სხვადასხვა ადგილებზე ყრილობები და კონფერენციები, რომელზედაც პიონერ-კოლექტივების მიერ ირჩეოდა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების საკითხები—(კასპი).

გამოყოფილ იქნა ბრიგადები, რომელნიც ამოწმებდენ, თუ როგორ მონაწილეობას ღებულობდენ, დაინტერესებული ორგანიზაციები საყ.-სავ. სწავლების ჩატარების საქმეში (სიღნაღი).

ანალოგიურად იქმნებოდა მატერიალური ბაზა (წითელ-ქალაქი); აქაურმა აღმასკომმა გამოჰყო 30 ჰექტარი მიწა განსაკუთრებით საყ. სავალდებულო სწავლებისათვის ფონდის შესაქმნელად.

თითქმის ყველა პიონერ-კოლექტივებში ჩატარდა კულტურული სააგიტაციო კამპანიები. ახსნა-განმარტებითი საღამო, საუბრები და სხვა. ასეთს ატარებდა გორი, ფოთი, ტყიბული, ბორჯომი, კასპი, ოზურგეთი და სხვა. გორში პიონერ რაიბიუროს მერ გამოყოფილია შტაბი, რომელიც პერიოდულად ამოწმებს მუშაობის მსვლელობას.

პიონერთა ძალებით გამოყოფილია საინიციატივო ჯგუფები, რომელნიც დახმარებას უწევენ საყოველთაო სავალდებულო სწავლების პოპულიარიზაციას მოსახლეობაში. სწარმოებდა ბავშთა აღრიცხვა სასკოლო შენობების და პედაგოგების აღრიცხვა. სასკოლო ინვენტარის შესაკეთებელი რაოდენობის განსაზღვრა და დაარსებულ იქნა კომისიები, რომელნიც აგროვებდენ ფულად რესურსებს (26 კომის. რაიონი, ოზურგეთი, აბაშა, კასპი და სენაკი). ქალაქის პიონერ-კოლექტივების ძალებით მოეწყო გადარბენა ადგილებზე სოფლებში კოლექტივებისთვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად—ასეთი გადარბენა მოეწყო შულავერში, წითელ-ქალაქში და მცხეთაში.



უცხოელი პიონერები ეცნობიან ოქტომბრის რევოლიუციის ისტორიას

ამასთან ერთად გორში მობილიზაცია შექმნილია 2 პიონერ-მომუშავე, რომლებმაც უნდა ჩაატარონ მუშაობა საპედაგოგო სფეროში.

მოეწყო თავდასხმები დაინტერესებულ ორგანიზაციებზე, სადაც გამოირკვა, რომ ისინი არავითარ კონკრეტულ ღონისძიებებს არ ღებულობენ სავ. სწავლებისათვის.

კულაკები საყოველთაო სწავლების შემოღების საქმეს არავითარ დახმარებას არ უწევენ. პირიქით, ხელს უშლიან მუშაობას. კლუბის ადმინისტრაციას და სათანადო ორგანიზაციებსაც არ უზრუნვია, რათა ჩაეტარებია შაბათობა, და პიონერებს შეექმნათ საყ. სწავლების ფონდი.

აღნიშნულია აგრეთვე, რომ განათლების სახ. კომისარიატს და განათლების განყოფილებებს ადგილებზე, აქამდე არ აქვთ კონკრეტული გეგმა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ საყ. სავალდ. სწავლების ჩასატარებლად.

სავაჭრო-მომწესრიგებელი ორგანიზაციებიც არ არიან მომზადებული სავალდ. სწავლებისთვის—სათანადო ორგანიზაციებს არ მიუციათ შეკვეთა, რათა მოსწავლეები დაკმაყოფილებულ იქნეს ცხელი საუზმით. ტფილისის მუშკოოპი თავისი გეგმით გვპირდება მოსწავლე ბავშთა 60 პროც. დააკმაყოფილოს ცხელი საუზმით და გახსნას ორი სასადილო.

საყ.-სავ. სწავლებისთვის საზ. აზრის შესაქმნელად, პიონერთა ორგანიზაციებმა კომკავშირელ ორგანიზაციებთან ერთად საყ.-სავ. სწავლების ლოზუნგით მოაწყო საკარნავალო მსვლელობა.

წარმოებებში ტარდებოდა მფრინავი მიტინგები, რომელზედაც ირჩეოდა საყ. სავალდებულო სწავლების სა-

კითხები (აჭარისტანი, სტალინისი და სხვა).

ზოგმა რაიონებმა სოფლებში მისავლინებლად გამოჰყვეს ბრიგადები, რათა ადგილებზე დახმარება გაეწიათ საყ. სწავლების საქმეში ჩაბმულ ორგანიზაციებისათვის.

არსებულ საკითხთა შორის ყურადღებას იპყრობს მატერიალურ ბაზის შექმნის ძიების პროცესი და საყ. სწავლების ფონდის შექმნის საკითხი, რისთვისაც პიონერ კოლექტივები აწყობდენ ფასიან საღამოებს, შაბათობას, ფასიან კინო-სურათებს, აგრეთვე გამოყოფილ იქნა მრავალი ჰექტარი მიწის ნაჭერი, რომელიც გადაიიცხა სავალდ. სწავლების ფონდში (ბორჯომი, ფოთი, კასპი, სიღნაღი, ტყიბული, სამტრედია, აბაშა, ოზურგეთი და თელავი).

სკოლის პოლიტეხნიზაციის სფეროში გადადგმულია პირველი ნაბიჯი. როგორც პიონერთა, აგრეთვე კომკავშირელთა ორგანიზაციები გახდენ მოწინავე ამ საქმეში.

ოზურგეთის რაიონში სათემო 7 წლედი გადაკეთდა აგროსკოლად. ოზურგეთის 10 წლედი საფ. საქ. სკოლად.

ტყიბულის რაიონის სოფლების, ხრესილის და კურსების 7 წლედი გადაკეთებულია აგრო-კოლმეურნეობის სკოლებად და ტყიბულის 7 წლედი საფ-საქ. სკოლად.

დუშეთის რაიონში მოეწყო პიონერთა ორგანიზაცია, უჯრედი და კომკავშირის რაიკომების დახმარებით სკოლებთან ეწყობა მუშათა ოთახები (სახელოსნოები).

გახსნილია ცენტრალური საბავშო ტეხნიკური სასოფ.-სამეურნეო სადგური. მიღებულია ზომები, რათა ასეთი გაიხსნას ბათომში, სოხუმში, ქუთაისში და სხვა რაიონებში. შემდეგისთვის საჭიროა დაჩქარდეს ცენტრ. საბ. ტეხნ. სას.-სამ. სადგურის დაარსება, რათა დაჩქარდეს მშრომელ ბავშთა პოლიტეხნიზაციით აღზრდის ტემპი.

## პიონერთა შორის მომუშავე კადრების მომზადება

პარტიის დავალებათა განხორციელება პიონერთა რიგების ორმაგად გაზრდის შესახებ, ჩვენს წინაშე აყენებს ამოცანებს, რათა მოვამზადოთ პიონერთა შორის მომუშავე კადრები.

ამასთან დაკავშირებით ჩატარდა პიონერ აღმზრდელთა შემოწმება და კომკავშირელ ახალგაზრდობის მთელი რიგი იქნა გამოყოფილი პიონერთა შორის სამუშაოდ.

ეს შემოწმება დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. პიონერ აღმზრდელთა ხარისხობრივი შედგენილობა შემდეგნაირია:

სულ აღმზრდელი 1752. აქედან გოგონები 457—26,1 პროც., მუშები 239—13,8 პროც., მოჯამაგირეები—87—5,0 პროც., მოსამსახურეები 273 15,5 პროც., მოსწავლეები 205 — 11,7 პროც., აღმზრდ. რომელთაც ეძლევა ხელფასი 11—0,6 პროც. და დანარჩენი 23—3 პროც.

აქედან ცხადია, რომ აღმზრდელთა ნაკლები პროცენტი მოდის პროლეტარულ შედგენილობაზე, შემდეგში საჭიროა, რათა მომზადდეს პროლეტარული კადრები პიონერ აღმზრდელთა შორისაც.

კომკავშირის პროლეტ. მომზადების სისტემაში აუცილებლად უნდა იქნეს შეტანილი პიონერთა მოძრაობის თეორია და პრაქტიკა, რათა ავწიოთ აღმზრდელთა საზ. პოლიტიკური ცოდნის დონე.

პედაგოგიურ სასწავლებლებში უნდა გადიდდეს საათები ბავშთა მოძრაობასთან დაკავშირებულ პრობლემების შესასწავლად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პიონერ მომუშავეთა შორის მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებას და, ბოლოს, აღმზრდელები უნდა მივამაგროთ პიონერ-ორგანიზაციებს ხანგრძლივი დროით, რათა ავწიოთ მათი ცოდნა და გამოცდილება პიონერთა შორის შემდგომი ჯანსაღი მუშაობისთვის.

ბავშთა აქტივობა და პიონერ-ორგანიზაციების ზრდა ჩვენს წინაშე მწვავედ აყენებს საკითხს პიონერ-მომუშავეთა კადრის შესაქმნელად.

## ხუთწლედი

საქ. პიონერთა ორგანიზაციები თავისი მუშაობით სცდილობენ, რათა მშრომელთა ბავშები ჩაბმულიყვენ ხუთწლიან გეგმის წარმატებით შესრულების საქმეში. ჩვენ უტყუარი ფაქტები გვაქვს, რომელნიც იმას ლაპარაკობენ, რომ ამ მხრით პიონერ-ორგანიზაციებს ბევრი რამ აქვთ გაკეთებული.

ბრძოლა წ.-კ. უცოდინარობის წინაალმდეგ, ბრძოლა საწ.-საფ. გეგმის წარმატებით შესასრულებლად, მონაწილეობა საკოლმეურნეო, საბჭ. მეურნეობის მშენებლობაში, უტილ-ნედლეულის შეგროვება, მონაწილეობა თესვის კამპანიაში და სხვა. აი ის კამპანიები, რომელშიც პიონერთა ორგანიზაციებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს.

იმ მიზნით, რათა გაჯანსაღებულ იქნეს მუშაობა ბავშთა შორის და ბავშთა კომ. მოძრაობა დადგეს სასურველ დონეზე, დადგეს ისეთ დონეზე, როგორც თანამედროვე პირობები მოითხოვს, კომკავშირის ცეკამ და ბავშთა კომ. მოძრაობის ცენტრალურმა ბიურომ სახელმწ. საგეგმო კომისიასთან ერთად შეიმუშავა ბავშთა ხუთწლიანი გეგმა, სადაც მთავარი ადგილი დათმობილი აქვს ბავშთა კომუნისტურად აღზრდის პრობლემების გადაჭრას, ხუთწლედში დათმობილი აქვს ადგილი ისეთ მომენტებს, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშთა კომ. მოძრაობის წარმატებით შესრულებას—ხუთწლედში გათვალისწინებულია მთელი რიგი საშუალებებისა, რომელნიც სასურველ დონეზე დააყენებს ბავშთა კომუნისტურად აღზრდის საქმეს.

ხუთწლედის ბოლოს ტეხნიკური სას.-სამ. სადგურები უნდა დაარსდეს ყველა სამრეწველო და მსხვილ სას.-მეურნ. რაიონებში; აგრეთვე გათვალისწინებულია პიონერთა ბანაკის ქსელის გაშლა-განვითარება ბანაკ-სანატორიუმები, პიონერ-კაბინეტები, აღმზრდელთა ოთახები და სხვა.

ყველა ეს კი მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას, რათა ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების ირგვლივ დაირაზმოს კომკავშირის და პიონერ-ორგანიზაციების მთელი ყურადღება.

ხუთწლედი უნდა დამუშავდეს თითოეულ რაიონის მიხედვით, უნდა იქ-



სიღნაღის ა.ლ.კ.კ. მეტყავეთა უჯრედის ბრიგადა სოფ. მაღაროს არტელში

ნეს შეტანილი ადგილობრივ ბიუჯეტში და სხვა. ამისათვის კი ვიმეორებთ, უნდა გაიმახვილონ ყურადღება კომკავშირულმა ორგანიზაციებმა და პიონერთა ორგანიზაციებმა.

## ანტირელიგიური მუშაობა და ანტირელიგიური აღზრდა

კლასიური ბრძოლის გამწვავების პერიოდში, ანტირელიგიური მუშაობა და ანტირელიგიური აღზრდა მთავარ როლს თამაშობს. ამ სფეროშიც ჩვენ გვაქვს წარმატებები, როგორც მაგ.: გაფართოვდა ახალგაზრდა უღმერთოთა ჯგუფების ქსელი. პიონერ უღმერთოთა კუთხეები და სხვა.

ტფილისში იყო ჩატარებული ნორჩ უღმერთოთა კონფერენციები და სხვ. ანტირელიგიურ საღამოების მოწყობა, წერილების გაცვლა-გამოცვლა უცხოელ მოძმე პიონერთა შორის, უცხოელ პიონერებთან შეხვედრა და სხვა მრავალი ფაქტი ნათლად მოწმობს ამ სფეროში მუშაობის წარმატებით ჩატარებას. ამის დამამტკიცებელია რამოდენიმე მაგალითი.

ბორჯომში მოეწყო პიონერების 15 უღმერთოთა უჯრედები, სადაც ეწყობოდა მოხსენებები ამ თემაზე.

აჭარისტანის საოლქო ბიუროს მეშვეობით ა.-კავკასიის პიონერ-კოლექტივებთან გაგზავნილ იქნა 100 მეტი წერილი და სხ.

აი ყველაფერი ის, ამხანაგო ბავშებო, რაც ჩატარებულია ბავშთა ანტირელიგიურ აღზრდის და რელიგიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ყველა ზემოთქმულიდან ცხადია, ბავშებო, რომ ჩვენ ბავშებს ბევრის გაკეთება შეგვიძლია და მთელი ჩვენი გულისყური, მთელი ჩვენი ახალგაზრდული ენერგია უნდა მოვახმაროთ სოციალისტურ მშენებლობის პერიოდში წამოჭრილ სხვადასხვა პრობლემების გადაჭრას, ჩვენ ეს დაუმტკიცეთ პარტიას და თუ ჩვენ ასევე ენერგიულად წავალთ წინ, მაშინ ჩვენ ვიქნებით ლენინელთა საუკეთესო შემცვლელი თაობა.

ა. გ—ი.

# საპროტესტო მიტინგები მოითხოვენ კონტრ-რევოლიუციონერის დახვრეტას

კლასიური მტრის გამოსვლას, რომელმაც შეიწირა განჯის ორგანიზაციის პიონერი აკოფოვი, — ვუპასუხებთ შეუკავშირებელი ბავშების უფრო და უფრო მიზიდვით ჩვენს რიგებში.

**გრიშა აკოფოვმა დაგვიმტკიცა, რომ ის კლასიურად შეგნებული პიონერია. ვიყვეთ ისეთი, როგორიც გრიშა აკოფოვი იყო.**

ამ თვის დასაწყისს ტრაღიკულად დაამთავრა სიცოცხლე განჯის მე-4 რაზმის პიონერმა გრიშა აკოფოვმა. იგი დაიღუპა მტრის მიერ. იმ მტრის, რომელიც მუდამ მზად არის ხელი შეუშალოს ჩვენს ძლევამოსილ სოციალისტურ მშენებლობას.

გრიშა აკოფოვის გვამი აღმოაჩინეს ქალაქ გარედ ყელგამოჭრილი, რომელსაც მრავალი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული გვერდებში.

რატომ მოხდა ეს?

განჯელმა პიონერმა გრიშა აკოფოვმა იცოდა თუ როგორი მტერი იყო ჩვენი ქვეყნისათვის სპეკულიანტური მოქმედება, განსაკუთრებით ვერცხლის ფულის დამალვის საქმეში, რომლითაც სპეკულიანტები ჰქმნიდენ ფულის ბრუნვის სიძნელეებს ჩვენს ქვეყანაში.

გრიშა აკოფოვმა გამოამჟღავნა ერთი ასეთი სპეკულიანტი — მავნებელი ნიკოლაევი. სწორედ ეს ნიკოლაევი პროლეტარულ სასამართლოს სასჯელს ვერ გადაურჩა — გრიშამ მას დაუმტკიცა ყოველივე, დაუმტკიცა, რომ ვერცხლის ფულის გადამალვით ის ჰქმნიდა სიძნელეებს ჩვენს მშენებლობაში.

პირველ ნოემბერს გაჰქრა გრიშა, სამი დღის ძებნის შემდეგ იგი ნახეს მკვდარი განჯის მახლობელ სოფელში, იგი მოკლა სპეკულიანტ ნიკოლაევის ძმამ.

მავნებელ ნიკოლაევს [illegible] ციხე, განაჩენი მეტად რბილია და არ აკმაყოფილებს ამ საქმით აღშფოთებულ ამიერ-კავკასიის პიონერებს; ისინი მოითხოვენ სპეკულიანტ ნიკოლაევის მიმართ განაჩენის გადასინჯვას — მოითხოვენ აგრეთვე გრიშა აკოფოვის მკვლელს შეეფარდოს სოციალური დაცვის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

პიონერები იძლევიან პირობას, რომ გრიშას ხსოვნის აღსანიშნავად, კიდევ უფრო განამტკიცებენ თავის რიგებს ოქტომბრის მონაპოვარის დასაცავად და შემოიკრებენ თავის გარშემო მშრომელთა შეუკავშირებელ ბავშებს.

პიონერები იძლევიან პირობას, რომ იბრძოლებენ სამეურნეო - პოლიტიკურ ფრონტზე მთელი თავისი ენერგიით.

მოისმინეთ პიონერ - ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ საპროტესტო მიტინგებზე გამოტანილი რეზოლიუციები.

ლენინის რაიონის ნ.-პ. ბიუროსთან ერთად ამხ. სტალინის სახელობის შემკეთებელ ქარხანაში ჩატარდა საპროტესტო მიტინგები, კლასიური მტრის საზიზღარი მოქმედების გამო და გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

— „კლასიურმა მტერმა, სპეკულიანტ ნიკოლაევის სახით, თავისი შეასრულა; გრიშა აკოფოვის ნაცვლად მოდიან ნორჩ ლენინელთა ათასები, რომელნიც უფროს ძმებთან ერთად კიდევ უფრო იბრძოლებენ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის შენებისათვის“.

გრიშა აკოფოვმა ნიღაბი ჩამოხსნა კლასიურ მტრებს და ამისათვის იგი დაეცა ყელგამოჭრილი, მან თავისი პატარა ხელით მწვავედ დაარტყა კლასიურ მტერს, რომელიც ებღაუჭებოდა ოქტომბრის მონაპოვარს.

ამის საპასუხოდ ჩვენ გავაძლიერებთ ჩვენს მუშაობას, უფრო ენერგიულად შევასრულებთ პარტიის და კომკავშირის დავალებებს.

ვიძლევით პირობას, რომ [illegible] წლედისათვის უფრო მეტად [illegible]ლებთ.

ჩვენ მოვითხოვთ გადასინჯულ იქნეს ნიკოლაევის საქმე და მის წინააღმდეგ მიღებულ იქნეს სოციალური დაცვის უმაღლესი ზომა — დახვრეტა. შემკეთებელი ქარხნის მუშები იძლევიან პირობას, რომ კლასიური მტრის საპასუხოდ ბოლშევიკური ენტუზიაზმით იბრძ[illegible]ებენ საფ[illegible] საფინანსო გეგმის გადაჭარ[illegible] შესასრულებლად.

ამის მსგავსი რეზოლიუციე[illegible] ნა გამოტანილი ამხ. კალინინ[illegible]ლობის ქარხნის, 72-ე სკოლის ფინსახკომის, მეხანძრეთა, მ[illegible]თა, გორის რაიონის და სხვა პ[illegible] კოლექტივების მიერ.

მთელ ა.-კ. ფაბრიკებში, ქარხ[illegible]ში, საწარმოებში და სკოლებში [illegible]რდება საპროტესტო მიტინგები კლ[illegible]სიური მტრის გამოსვლის წინააღმდეგ. პარტიული, საზოგადოებრივი და პროფკავშირის ორგანიზაციები მოითხოვენ, რათა მკვლელის წინააღმდეგ მიღებულ იქნეს სოციალური დაცვის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

პროლეტარულმა[illegible] უნდა გაუწიოს ან[illegible] ზოგადოებრივ ხმა[illegible] ნიკოლაევი და მ[illegible] ალიგაონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მზად ვართ კომკავშირი

## პიონერ მომუშავეთა



ს.ა.ლ.კ.კ. ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. **სერგო იშხანოვი**

ა.-წ. 3 ნოემბერს შესდგა პიონერ მომუშავეთა რესპუბლიკანური თათბირი. დელეგატების რაოდენობა უდრიდა 55 სულს, მათში 30 პროც. ქალები იყო. 3 ნოემბერს თათბირის დაწყების წინ, მთელი თათბირის შემადგენლობა ესტუმრა ამხ. **ფ. მახარაძეს,** როგორც საპატიო პიონერს. ამხ. ფ. მახარაძის გამოჩენისთანავე დელეგატები ხვდებიან მხურვალე [illegible]ცებით.

[illegible]უადღევის 12 საათზე თავმოყ-
[illegible]ელი თათბირის შედგენი-
[illegible]გილობრივ სტუმრებთან
[illegible]ხათლების მუშაკთა კლუ-
[illegible]რის ხსნის ამხ. **დალაქიშვი-**

[illegible] პირველ სხდომაზე მოს-
[illegible] ადგილებიდან მოხსენება
[illegible]ილეობის შესახებ საშემო-
[illegible]სოფლო-სამეურნეო კამპა-
[illegible]ის გარშემო გამართულ კა-
[illegible]ონაწილეობა მიიღო თათბი-
[illegible]ავლესობამ. მოკამათენი ეხე-
[illegible]ნ იმ ამოცანების შესრულების
[illegible] შეუსრულებლობის მიზეზებს,
[illegible]ომელიც მათ ჰქონდათ და აქვთ ადგილებზე. მესამე სხდომაზე დილით მოსმენილ იქნა ამხ. **კოლუხის** მოხსენება მუშ[illegible] სისტემის შესახებ.

1) მ[illegible]კვრითი წესით ჩა-
[illegible]ია მხოლოდ პა-
[illegible]ის ხელმძღვა-
[illegible] პიონერ-მოძ-
[illegible]ეთი გარდაქმნა
[illegible]ომ რაც შეიძ-
[illegible]ეთ

ხელმძღვანელი აპარტი ბავშთა მასას, რომ ავწიოთ დონე და ძირითადი საკითხები ბავშთა აღმზრდელობის საქმეში კომკავშირის და პარტიის მიერ ძირითად ამოცანებთან დაკავშირებით და აგრეთვე კომკავშირისა და პიონერ მოძრაობის საშუალებით უზრუნველვყოთ პიონერ მოძრაობა, რომელიც მთავარ როლს თამაშობს სკოლის გარეშე მუშაობის საქმეში, სკოლის პოლიტექნიზაციის საფუძველზე, ამისათვის საჭიროა შემდეგი:

ა) პიონერ ჯგუფების კონკრეტიულ ცალ-ცალკე უჯრედზე სამუშაოდ კომკავშირლების და პარტიის ხელმძღვანელების გამოყოფა პიონერ ხელმძღვანელთა დასახმარებლად პრაქტიკულ მუშაობაში. ამას გარდა, კომკავშირის ყოველ უჯრედთან უნდა იქნეს ჩამოყალიბებული პიონერთა მუშაობის სექტორი, ცალკე კომკავშირლებისა და [illegible] მიმაგრება სხვადასხვა გვარ მუშაობაში მონაწილეობის მისაღებათ, სექტორები კი თავის ირგვლივ აერთიანებენ კომკავშირლებს, პარტიის წევრებს, სპეციალისტებს, ქალთა დელეგატებსა და სხვ., რომლებიც თავიანთ პრაქტიკულ მუშაობით უთანაგრძნობენ პიონერ-რაზმების მუშაობის განმტკიცებას.

ბ) საჭიროა, რათა ყველა რაიონულ პიონერთა ბიუროსთან გამოყოფილ იქნეს ხელმძღვანელი სექტორები (უფასო მომუშავეები) ჯგუფების ძირითად მუშაკებისათვის (სამეურნეო, საალმშენებლო, კულტურულ-მასიური, სამხედრო ფიზკულტურული კადრების მომამზადებელი ბავშთა მოძრაობის საქმეში და მომუშავენი ოქტომბრელებს შორის) და თანდათანობით აღნიშნულ მუშაობაში სექტორებმა უნდა მიიღონ აქტივი, პარტიის წევრები და კომკავშირლები და აგრეთვე ბავშთა აქტივი, რომელიც მუშაობს აღნიშნულ ჯგუფის სამუშაოზე, ამას გარდა სექტორის მუშაობაში ჩაბმული უნდა იქნან პროფკავშირები, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

გ) რაიონულ პიონერ-ბიუროსთან ერთად გაერთიანებული უნდა იქნეს ყველა ნებაყოფლობითი საზოგადოება, მათ შორის სპეციალურ მოხსენებების ჩატარებით, აღნიშნულ ორგანიზაციებიდან წარმომადგენლების თანდასწრებით, ბავშთა საკითხში მუშაობის შესახებ.

2) ამასთანავე გუნდები და ბრიგადები იქნებიან ბავშთა კომუნისტურ ორგანიზაციების მიერ მუშა-მოსამსახურეების და სპეციალისტების შ[illegible]ნილობით პრაქტიკულად უნდა დაეხმარონ განსაკუთრებით ბავშთა წარმოებითი შრომის საკითხში. სოც. მშენებლობაში ხელშეკრულების დადების გამო საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები, ადგილკომები და ყველა პროფორგანიზაციები უნდა ეხმარებოდენ ბავშთა მასის კულტურულ მოთხოვნილების დაკმაყოფილების ვითარებას, რამაც უნდა მიიღოს აღნიშნულ მუშაობის პერიოდში გეგმიანი ხასიათი.

3) მთავარი ყურადღება მიექცეს პიონერ-მომუშავეთა კადრების მომზადებას და განსაკუთრებით რაზმების ხელმძღვანელებისა და რაიბიუროების თავმჯდომარეებისას, რისთვისაც მიმაგრებულ იქნან პიონერ-სამუშაოებზე ყველა მომუშავენი და გამოსადეგი მომუშავენი პიონერ მუშაობისათვის არანაკლებ 3 წლის ვადით. გაფართოებულ იქნას მომავალში განყოფილებები პიონერ მომუშავეებისა არსებულ ტეხნიკუმებთან და კომბინატებთან და მიღწეულ იქნეს ის მდგომარეობა, რომ პიონერ მომუშავეთათვის გაიხსნას საერთო საცხოვრებელი, რომ პედაგოგიურ ინსტიტუტთან პიონერ მომუშავეთა მოსამზადებელი განყოფილება მეთოდიურ და გამოცდილ მომუშავეთა მოსამზადებლად პიონერ მოძრაობის დარგში.

სკოლის გარეშე მომზადების წესით 1931 წლისათვის მოხდეს მობილიზაცია არა ნაკლებ 8.000 პიონერ-მომუშავისა.

4. კომკავშირის ყველა კომიტეტებმა და რაიონულმა ბიუროებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ მუშაობის მეთოდიური ფრონტის შექმნას, მაგალითად: პიონერთა კაბინეტები, ბავშთა ტეხნიკური სადგურები, პიონერ ხელმძღვანელთა ოთახები და სხვა, რისთვისაც აღნიშნულ საქმისათვის გამონახულ იქნეს სათანადო თანხები. ს.ა.ლ.კ.კ. ც.კ. ბავშთა კომუნისტურ ორგანიზაციის ცენტრალურმა ბიურომ მთავარი ყურადღება თავის მხრივ უნდა მიაქციოს ამ მდგომარეობას და გადაამზადოს აღნიშნულ სადგურების პიონერ-კაბინეტების მომუშავეები სათანადო კურსების საშუალებით.



უნდა მოხდეს მთელი კომკავშირისა და პიონერული პრესის მობილიზაცია ხელმძღვანელობისათვის და ახსნა-განმარტების ჩატარების მიზნით.— პიონერ რაზმების და მთელ ორგანიზაციის მუშაობის ფორმების გარდაქმ[illegible] საჭიროებისათვის. აღნიშნული [illegible]ობ[illegible] მოითხოვს, რათა გამო-

# მეათე ყრილობისათვის

## რესპუბლიკანური თათბირი

ცემულ იქნეს პიონერთა სპეციალური სასკოლო გაზეთი ქართ. ენაზე 5. აღნიშნული მუშაობის ჩატარება და ყველა ჯგუფების შესწავლა-შეთვისების საქმე მოითხოვს, კომკავშირის ყველა პრაქტიკულ მომუშავეების, თვით პიონერ-კოლექტივების რაზმების და ცენტრალურ ბიუროების გეგმიან მუშაობას. ყველა ორგანიზაციებში გამოყოფილი უნდა იქნან გამოცდილი რაზმები და სხვადასხვა სახის ბაზები, რომლებიც ბავშთა კომუნისტურ ორგანიზაციის ბიუროს ხელმძღვანელობით განახორციელებენ მთელი მუშაობის გარდაქმნას მიღებულ დებულებების მიხედვით.



ს.ა.ლ.კ.კ. ბ.კ.ო. ცენტრალური ბიუროს თავმჯდომარე ამხ. **რაისა დალაქიშვილი.**

აი მთავარი, რასაც მოითხოვს ხელმძღვანელობიდან—რათა ყველა პიონერმა და ყველა ბავშებმა გაიგოს ის ძირითადი ამოცანები და ლოზუნგები ჩვენი მუშაობის უახლოეს წლის განმავლობაში. გაალრმაოს თავისი მისწრაფებანი, დაახმაროს თავისი ძალღონე სოც. მშენებლობას და ხელი შეუწყოს ყოველ რაზმს რეალურ გეგმის შედგენის საქმეში, რომელიც უზრუნველჰყოფს პიონერ-მუშაობის ძირითად პერსპექტივებს და რომელიც არკვევს მუშაობის ძირითად საფეხურს.

მე-5-თე დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. **დალაქიშვილის** მოხსენება საყოველთაო სწავლების, სკოლის პოლიტეხნიზაციის შედეგების შესახებ. მომხსენებელი შეჩერდა იმ პრაქტიკულ ნაბიჯებზე, რომელიც არის ხსენებულ დარგში. სკოლის ასაკის აღრიცხვა პიონერების მიერ, ფართო აგიტაცია მოსახლეობის მასებში მოხსენებებით და მოძრავი მიტინგების მოწყობით, ქალაქიდან სოფლად ბრიგადების დაგზავნით პრაქტიკულ მუშაობის დასახმარებლად. შაბათობების მოწყობა სოფლის და ქალაქის შესაკეთებელ სკოლებზე, როგორც ინვენტარზე ისე შენობებზე, ფანჯრების და რვეულების შეკრებით, მიწის ფართობების დამუშავებით, საყოველთაო სწავლების ფონდისათვის ფასიან საღამო-წარმოდგე-



ს.ა.ლ.კ.კ. ც.კ. მასიურ ეკონომიუ-
განყ. გამგე ამხ. **მაისურაძე.**

ნების მოწყობით და ფულადი სალს-
ბის შეგროვებით. მიუხედავად ას-
მიღწევების, მთელ მუშაობაში
ლიან ნაკლები პროცენტი ა-
ჩაბმული შეუკავშირებელი პი-
ნერ ასაკის, მთლიანად ვ-
არის პოლიტეხნიზაცია ქმნილი სკ-
ლები. მოკამათენი აღნიშნავენ მ-
მუშაობაში არსებულ ნაკლს და სამ-
ურნეო ორგანიზაციების სუსტ მონ-
წილეობას საყოველთაო სწავლებ-
და პოლიტეხნიზაციის ფრონტზე.

**ლ. კუპატაძე.**



**ოქტომბრის ალლუმზე**

# კოლხეთი

## 1. ჭაობებში

— საქართველოს კომკავშირის ენტუზიასტმა ორგანიზაციამ საშეფოდ აგილო შენ, იგი მოგაწვდის შენი ჭაობების წინაალმდეგ შეურიგებლად თავის ერთგულ ჭაბუკებს, იგი მოგყავს შენი აყვავების საქმეს ბოლომდე — ფიქრობდი მე მატარებელში, კოლხიდისკენ გამგზავრებული.—მე ამ ორგანიზაციის მებრძოლი ორგანოს, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტი“-ს ბრიგადელი ვარ, მე მოგიტან შენ მისგან სალამს და გმირულ გადაწყვეტილობას შენი დაჭაობებული სნეულების განკურნების შესახებ, კოლხიდავ, მხარევ ჭაობებისა და სნეულებისა.

მგზავრობა დავამთავრეთ და სამუშაო ასპარეზად ფოთის მიდამოები გავიხადეთ. ათასეული ჰექტარი მიწა დაფარულია აშმორებული ჭაობით, ჭენჭყოთი და გაუვალი ტალახით, სადაც იზრდება ხმლებივით აწვდილი შილი და ლელი.

კაცის ოდენა ლაქაში წელამდე დაფარულია წყლით და მის ძირიბში დასცურავს ლეიბი, როგორც ტყის ნადირი. ხშირად ჭაობის ზედაპირი დაფარულია წყლის ბალახების ფესვებით, რომელიც ჰქმნის მაგარ ქოჯილებს, რომლებზედაც ადამიანს შეუძლია ფეხის დამაგრება და სიარული. და განა გასაკვირველია, რომ აქაურ მცხოვრებთ კარტოფილის ფერი სახე აქვს. ყოველ წუთში გესმის ყურის ძირს მოფრენილი კოღოების ზუზუნი, რომლებიც ციებ-ცხელების საშინელი შხამით გიმასპინძლდებიან; ასეთის შხამით სავსეა ეს მიდამო და მათი შხამით მოწამლულია ცხოველი, ადამიანი

ადამიანებს სტანჯავს საშინელი სენი — მალარია, ცხოველის ჯიში წამხდარია, მცენარის ნაყოფი უგემურია და ზედმეტად წყლიანი. ზაფხულობით შმორის საშინელი მახრჩობელი ჰაერი, ზამთრობით ტალახი და წვიმა, ყოველ დროს კი სინესტე და ობი.

ასეთია კოლხიდის ამ მხარის ბუნება.

ასი წლობით ეს მხარე სნეულების ბრჭყალებში იყო და არც ერთ ხელისუფლებას არ მოსვლია აზრად მცხოვრებთა დახსნა და შველა. არცერთ ხელისუფლებას არ უფიქრია ჭაობების წინაალმდეგ ბრძოლა, მათი ამოშრობა. უხსოვარ დროიდან არსებობს ეს მდგომარეობა და არცერთ მთავრობას არ შეუცვლია იგი დღემდე.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს, მუშათა და გლეხთა ხელისუფლების პირობებში გახდა შესაძლებელი ამ საკითხის დასმა და არა მარტო დასმა, არამედ მისი პრაქტიკული განხორციელებაც. ჩვენ ვიცით ვინ დაინტერესებულია ამ საქმეზე, ვინ ჰფიქრობს, რომ ეს საქმე მხოლოდ ფანტაზიაა და ილიუზია, მაგრამ მათ არა ერთი და ორი „ფანტაზია“ პრაქტიკულად განხორციელება უნახავთ, კოლხიდის ჭაობების ამოშრობაც შევა ამ განხორციელებულ „ფანტაზიათა“ რიცხვში.

## 2. კოლმატაცია

კოლხიდის მიდამოები ზღვის დონიდან ისე მაღალი არ არის, რომ შეიძლებოდეს ამ მიდამოებზე დამდგარი წყლების ზღვაში გადაშვება და დაწრეტა. მართალია, შეიძლება ამ ჭაობების ზღვაში მანქანებით გადაქაჩვა, მაგრამ ეს შრომა ტყუილ-უბრალოდ მოითხოვს დიდძალ ხარჯებს და ჭაობების ადგილის შრობის შემდეგ ისევ ჭაობები გაჩნდება.

ამიტომ მეცნიერულად დაისვა საკითხი ამ ... ხელოვნური ამაღლების შესა...

...ნ ძალიან გაგაოცებს ... მიწაა. რომ ... დაყრილი მიწით, ... ამოდენა მან-

დვრებს რა შრომა აამაღლებს? აი რა კითხვები დაგებადებათ თქვენ.

მაგრამ კოლხიდის მიდამოების ამაღლებისათვის ჩვენმა ინჟენერიამ თითონ ბუნება გამოიყენა მაქსიმალურად.

ამ მხარის ამაღლება ხდება ველებზე მდინარე რიონის გადაშვებით და მოსილვით. მიწის ხელოვნური ამაღლების ამ მეთოდს კოლმატაციის მეთოდი ეწოდება.

მდინარე რიონიდან კოლხიდის მიდამოებისაკენ გაყვანილია ოთხი არხის სათავე. არხებიდან რიონის წყალი ველებზე დაქანდება, გადაიტანს ტალახსა და შლამს და დასტოვებს მას კოლხიდის მიწის ასაწევად და ასამაღლებლად. არხების სათავეების გახსნა ამიტომაც მხოლოდ მაშინ ხდება, როცა რიონი მღვრიე და ტალახიანია. მდინარის სისუფთავის დროს არხის გახსნა გამოიწვევდა კოლხიდის მიდამოების წარეცხვას და მისი ნიადაგის დადაბლებას.

ეს სამუშაოები ამ წლის ზაფხულში დაიწყო.

ამ მეთოდით მსოფლიოში არა ერთხელ უხელმძღვანელებიათ, მაგრამ ისე სწრაფად ამოშრობა ჭაობებისა, მისი საშუალებით, როგორც ეს კოლხიდაში ხდება, იშვიათია და მგონი პირველიც.

მოხუცი მთავარი ინჟინერი კოლხიდის სამუშაოებისა, შეიძლება ითქვას, ამ საქმის პოეტია, მისი გატაცება ამ საქმით ყოველ მის საუბარში სჩანს, იგი თავდადებულია ამ საქმისათვის, სწორედ ასეთი ერთგული სპეციებია ჩვენი დასაყრდენი, იმათ პატივს ვცემთ ჩვენც, რამდენადაც ისინი ჩვენი საქმის ერთგულები არიან.

აი სწორედ ეს მთავარი ინჟინერი გვარწმუნებს, რომ კოლხიდის ჭაობების ამოშრობას, ათ წელსაც არ მოანდომებს, რომ ამ რამდენიმე წელში მოახდენს კოლხიდის მიდამოების „რეკონსტრუქციას“, და მე თვალწინ წარმომიდგა რამდენიმე წლის შემდეგ:—აი იმ ადგილებზე, სადაც ახლა ჭაობი და ჭენჭყოა და მხოლოდ ლაქაში, შილი და ლელი იზრდება. ან თხმელის ბუჩქები და ხე, გადაშენდეს კენაფის ბარაქიანი პლანტაცია, ჩვენი მანქანები ხმაურობს პლანტაციაში, იზრდება კენაფი, სჭრიან, კანს ართმევენ, ფაბრიკები იღებენ აუარებელ ნედლ მასალას და იქსოვება მშვენიერი თეთრი ტილო, რომელიც ავსებს საბჭოთა და უცხოეთის ბაზარს; აი ეს მიდამოები დაჰფარეს ნარინჯოვან მცენარეთა ბუჩქებით, რომლებიც თავის სამშობლოდ ზღვის ნაპირებს სთვლიან და რომლებიც არას დროს არ მოჰკარებიან კოლხიდის მიდამოებს მისი ჭაობების შიშით. აი ლამაზი მცენარეები, ხეები, რომლებიდანაც ხდიან სურნელოვან წყლებს („დუხი“) და ნელსაცხებლებს (პუდრი), ამზადებენ ფუფუნების საგნებს: ეშმაკმა წაგიღოსთ თქვენ, ფუფუნების საგნებო, გაკეთებთ იმიტომ, რომ უცხოეთის ბაზარზე ჩვენთვის საჭირო



ფიზკულტურელნი ოქტომბრის დღესასწაულზე

მანქანებში გადავცვალოთ; დე, თქვენ ბურჟუა ქალებს ეკუთვნოდეთ, თქვენთვის იმიტომ ვზრუნავთ, რომ მანქანები გვჭირდება.

აი იმ მიდამოებზე, სადაც ახლა ჭაობი და ჭენჭყოა, გააშენეს აუარებელი უცხო ხილის ბაღები; არცერთი ნაკვეთი გაცდენილი მიწა, არცერთ ნაკვეთ მიწაზე ჩვეულებრივი უბრალო მცენარე, მითი არ გაცდება კოლხიდის უნოყიერესი ნიადაგი. კიდევ მრავალი და მრავალი უცხო სასარგებლო მცენარე.

— ჰა, ჰა, ჰა, თქვენ ეს ჩემი ფანტაზია და კეთილი სურვილი გგონიათ?! სრულიადაც არა, ეს არის კოლხიდის მომავალი, ეს არის კოლხიოს მიდამოების პერსპექტივა. ყველა ეს მცენარე უკვე გამოცდილია ფოთის საცდელ სადგურში და მიღებულია დადებითი შედეგი. აი სწორედ ეს მცენარეები იხარებს და მოგვცემს ნაყოფს კოლხიდაში მაშინ, როცა გაშრება ჭაობის უკანასკნელი გუბე და მოკვდება უკანასკნელი შხამიანი კოღოც.

## 3. მუშა-ხელი გვაკლია

მზიანი დღის საღამოზე ჩვენი პატარა ნავი მალდი მიჰქროდა რიონის არხში, მდინარების წინაალმდეგ ფოთიდან ჭალადიდის მიდამოებისაკენ. ჩვენთან იყვნენ ცენტრიდან ჭაობებში მიმდინარე მუშაობის შესამოწმებლად, გამოცდილი პროფესორები და ინჟენერები.

მდინარეში მგზავრობის შემდეგ, დავათვალიერეთ ის მიდამოები, სადაც კოლმატაცია უნდა მოხდის. იქ ისევ ჩვეულებრივი ჭაობებია. ერთ კოთხეში უკვე მოხდა არხით რიონის გადაშვება. რიონმა დასტოვა შლამი და ნიადაგი უკვე 10 სანტიმეტრით ასწია. ამ ადგილას ცუდი ბიდი ეწია თხმელებს: მათი ძირები შლამმა დაჰთარა და ისინი უკვე ხმება; ამ პირობებში ეს ხე ვერ იხარებს.

გამოცდილი პროფესორები და ინჟენერები გულდასმით ათვალიერებდენ მიდამოებს, ნიადაგს იკვლევდენ ხელსაწყოებით და ამოწმებდენ. საბოლოოდ, ნამუშევარი მოიწონეს.

კოლხიდის სამუშაოები მუშა-ხელის საშინელ ნაკლებობას განიცდის. ათასეულ მუშათა არმიის ნაცვლად, რაღაც მცირე რიცხვი მუშაობს. ეს მდგომარეობა დიდ საფრთხეს უმზადებს ამ სამუშაოებს.

ძალიანაც რომ გატაცებული იყვენ ინჟენერები და საერთოდ ამ საქმის ხელმძღვანელები, ისინი უღონონი არიან მუშა-ხელის გარეშე, ამიტომ ყოველ წუთს გაისმის მათი ჩივილი მუშა-ხელის ნაკლებობის შესახებ. ვინ უნდა ითაოს ამ საკითხის მოგვარება? ვინ იქნება პირველი? და კომკავშირელ ახალგაზრდობის არმიამ ასტეხა განგაში. კომკავშირმა აიღო ინიციატივა. კომკავშირმა იდო თავს კოლხიდის ჭაობების ამოშრობის საქმე. აიღო შეფობა.

მობილიზაციის წესით იმუშავებენ ისინი გმირულად, დიადი საქმის შესრულებისათვის.

მალე, სულ მალე კოლხიდა, ეს სნეულების ბუდე გადაიქცევა მთელს საბჭოთა კავშირში საუკეთესო კურორტათ ზღვის სანაპირო ძვირფას ბაღებად. აყვავდება კულტურული მცენარე, ამუშავდება სასოფლო-სამეურნეო მანქანები, გაჩაღდება მუშაობა პლანტაციებში, ახმაურდება კოლხიდა და საბოლოოდ გადაესმება ხაზი მწვავე წარსულს. გაჰქრება ძველი კოლხიდა, როგორც ამომშრალ ჭაობებიდან გაფრენილი ყანჩა და ყარყატი.

## 4. პალიასტომის ტბა

— რა პატარა ხარ შენ და რა მრისხანე! ღელვის დროს შენს გაღმა ცა არა სჩანს და დედამიწა. ღელვის დროს შენს ტალღებში

დაიღუპენ საბრალო მეტივენი, კაპიტალიზმის პირველი ნაბიჯების დროს საქართველოში. ახლა პალიასტომის ტბა თევზის სოციალისტური წარმოების ბუდეა. შუალამეში და მთელი დღე-ლამე იჭერენ მეთევზეთა არტელები თევზს, რომელიც საქართველოს ყველა კუთხისაკენ იგზავნება. თევზით პალიასტომი მდიდარია, იჭერენ: ზუთხს, ლოქოს, ლავრაკს, წყალში მოთამაშე და მოხტუნავე კეფალს და სხვ.

პალიასტომის ნაპირები დაფარულია აგრეთვე ლაქაშით, ლელით და წყლისა და ჭაობის სხვა მცენარეებით. ახლო-მახლო მიდამოებში გაცხარებული მუშაობაა, აკეთებენ ლობეებს და არის შრომა დაუცხრომელი.

ერთ მოულოდნელ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, პალიასტომის ტბის ზღვასთან შეერთების დროს.

პალიასტომის ტბის წყალი ჩვეულებრივი უმარილო წყალია. იგი ზღვის წყალში ძნელად ერევა. ზღვის წყალი მლაშეა და მძიმე. ზღვისა და პალიასტომის შეერთების დროს ზღვის წყალმა პალიასტომში ქვედა ფენა დაიჭირა, პალიასტომის წყალი კი ზემოდ მოექცა. ამ მოვლენამ გამოიწვია პალიასტომში თევზის გამრავლების შეფერხება, რადგან ამ ტბის თევზები ზღვაში ვერ ხეირობენ. ამ საქმეზე თავი გამოიდო „საქართველოს თევზმა", რადგანაც იგი ზარალში ჩავარდა.

ახლა, ეს საშიშროება რომ თავიდან იქნეს აცილებული, განზრახულია პალიასტომისა და ზღვის შეერთება მიწის-ქვეშა გვირაბით, რომლითაც ზღვიდან შემოსული და ქვემოდ დალექილი ზღვის მარილიანი და მძიმე წყალი ისევ ზღვაში ჩაბრუნდება.

პალიასტომის თევზს დიდი სამრეწველო მნიშვნელობა აქვს, თევზის ჭერა უმთავრესა ლაძით მიმდინარეობს. რამდენიმე არტელი შესცურდება შუა ტბაში და ვებერთელა ბადეებით ამოჰყავთ ცოცხალი მბორგავი თევზები.

კოლხიდის განახლებულ მიდამოებში პალიასტომი დაჰკარგავს მხოლოდ და მხოლოდ სიმყრალესა და კოღოებს. მის სანაპიროებს დაამშვენებს ნარინჯის ბაღები, კენაფის პლანტაციები და იშვიათი კულტურული მცენარე.

კოლხიდა ახლა იქცევა ახალ მხარედ, ჩვენი ვალია დავეხმაროთ ყოველმხრივ ამ დიად საქმეს.

**ირაკლი აბაშიძე.**



პიონერ-მომუშავეთა თათბირის დელეგატები

# ყოფა-ცხოვრების საკითხებზე

ამხ. გოგი ლომიძის წერილი „ყოფა-ცხოვრების საკითხები პიონერ ორგანიზაციაში" უსათუოდ აქტუალური და დროულად წამოჭრილი საკითხია.

ჩვენ ბევრი რაიონის პიონერ ორგანიზაციაში შევხვდებით ძველი ყოფა-ცხოვრების ჩვევებით გაჟღენთილ პიონერებს. ასეთი გადმონაშთები პიონერ- ხელმძღვანელებშიც ხშირია.

საილუსტრაციოდ მოვიყვან გორის პიონერ ორგანიზაციას.

ვილაპარაკოთ პირველად ხელმძღვანელთა შესახებ.

პიონერ ორგანიზაციაში უნდა მოისპოს „ცემით აღზრდა". მრავალ პიონერ ხელმძღვანელს პიონერთა კომუნისტურად აღზრდა ყურის ცემა-ტყეპის საშუალებით. განა ასე შეიძლება აღზრდა სოციალისტური მშენებლობის ენტუზიასტის?!

რატომღაც გორის პიონერ ხელმძღვანელებმა მასიურად დაიწყეს პაპიროსის წევა, ეს იმ დროს, როდესაც ჩვენ ყოველდღიურად კულტურულ ლაშქრობებს ვაწარმოებთ ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი მავნე ჩვევაც ეს არის სიცრუე. ზოგჯერ ხელმძღვანელი ვითომდა გართობის მიზნით ატყუებს პიონერებს. აბა წარმოიდგინეთ, თუ რა შედეგს მივიღებთ.

გარდა ამისა, ჩვენ ვხედავთ, რომ ყოფა-ცხოვრების საკითხებში ზოგიერთი ხელმძღვანელი სრულიად გაურკვეველია.

ზედმეტი სახელების დარქმევაშიც ხელმძღვანელებს დიდი ღვაწლი მიუძღვისთ. ასე, რომ ყოფა-ცხოვრების ეს სიმახინჯე უსათუოდ ავტორიტეტს უკარგავს ხელმძღვანელებს პიონერ ორგანიზაციაში.

ბრძოლა ალკოჰოლთან,—აი ჩვენი სადღეისო ამოცანა. მრავალი პიონერია, რომელნიც ღვინოს სვამენ. ეს უმეტეს შემთხვევაში ოჯახებში ხდება. ეს ხომ ყოფა-ცხოვრების ძველი ჩვევაა, რომელსაც აუცილებლად უნდა ვებრძოლოთ!

როგორ შევძლოთ ეს?

უფრო მეტად უნდა დავრაზმოთ მშობლები ჩვენს რიგებში, რომ ყოფა-ცხოვრების ეს ძველი ჩვევა აღმოიფხვრას.

შემდეგ: წიგნებისა და პრესისადმი დამოკიდებულების შესახებ. ჟურნალ „პიონერს" პიონერთა უმრავლესობა კითხულობს, მაგრამ ისეთი პიონერებიც გვყავნან რომელნიც „პიონერი"-ს ნაცვლად ისეთ ნაწარმოებებს კითხულობენ, რომელთაც არავითარი სოციალური ღირებულება არა აქვს, კითხულობენ, მაგ., დ. კასრაძისა და ჯავახიშვილის ნაწერებს და სხვ.

ამისათვის დიდი მუშაობაა საჭირო. რად უნდა იმართებოდეს ჟურნალ „პიონერ"-ში მოთავსებული მასალების კრიტიკული გარჩევა-დამუშავება, რაც თვით პიონერებს უნდა დაევალოთ. რომლებიც არასასურველი ლიტერატურის კითხვით არიან გატაცებული. „სიყვარულობია" სწორედ ამ ლიტერატურითაა გამოწვეული.

ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის საბრძოლველად ჩვენ უნდა შევისწავლოთ თითოეული პიონერი, ამისათვის კი საჭიროა პიონერ რაზმის რგოლის შეკრებაზე ისმებოდეს რომელიმე პიონერის ყოფა-ცხოვრებაზე საუბრის ჩატარების საკითხი.

ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის ბრძოლა პიონერებში,— აი ლოზუნგი, რომლითაც უნდა წარიმართოს პიონერთა მომავალი მუშაობა.

**არიო.**

# ბავშები ამხ. ბლიუხერთან

ერთი წლის წინად გამოიცა ბრძანება ს.ქ.რ.კ. **სამხედრო სარევოლიუციო საბჭოსი.** აგვისტოს 6, 1929 წ.

№ 223.

1. შეიარაღებული ძალა, რომელიც იმყოფება შორეულ აღმოსავლეთში, გაერთიანებულ იქნეს ართად და მიენიჭოს სახელწოდება: „შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებული არმია“.

2. შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებულ არმიის სარდლად დაინიშნოს ამხ. ბლიუხერი.

3. ამხ. ბლიუხერი დაუყოვნებლივ შეუდგეს თავისი მოვალეობის ასრულებას.

**სამხ. საზღვ. საქ. კომისარი და ს.ს.რ.კ. თავმჯდ. ვოროშილოვი.**

განსაკ. შორ. აღმოსავ. არმია ახლა გადაკეთდა განსკ. წითელდროშ. შორეულ აღმოსავ. არმიად.

ბავშებმა დააკაკუნეს ამხ. ბლიუხერის კარებზე და შესდგენ. ცოტა არ იყოს, მეთაურის ერიდებოდათ.

— ალბად არც კი დაგველაპარაკება, — ამბობდენ ბავშები ერთმანეთში.

კაკუნი ბავშებს დიდხანს არ დასჭირდათ.

კარები თვით ბლიუხერმა გაუღო მათ და ალერსიანად შეიპატიჟა ოთახში.

ბავშები მოკრძალებით შევიდენ და ერთმანეთს გადახედეს. მეთაური ბავშების ახლოს დაჯდა.

ეს შეხვედრა ბავშებისა და მეთაურისა მოაწყო „ძმურად მოკავშირე ბავშთა გაზეთმა“.

გაიმართა ბაასი ბლიუხერსა, ბავშთა კორესპონდენტთა და საერთაშორისო მოფრენის დელეგატთა შორის.

პირველად მოხსენება გააკეთა ბავშთა კორესპუნდენტმა ფედუშკინმა.

მან მოახსენა მეთაურს, თუ როგორ განუმარტეს მათ თავიანთ მშობლებს ის ამბავი, რაც ჩინეთის რკინის გზაზე მოხდა. უთხრა აგრეთვე, რომ ბავშთა კორესპუნდენტების მიერ შეგროვილია 500 მან. რომლითაც შეძენილი უნდა იქნეს საწოლები დასასვენებელ სახლებში შორეულ აღმოსავლეთში დაჭრილ მეომართათვის. შემდეგ ილაპარაკეს ლენინგრადის საერთაშორისო მოფრენის დელეგატებმა. ილაპარაკეს აგრეთვე დელეგატებმა ივანოვო-ვაზნესენსკიდან, ყაზახისტანიდან, ცენტრალურ შავნიადაგიანი მხრიდან, ციმბირიდან და ურალიდან. გააცნეს რა ხდებოდა ადგილებზე იმ დროს, როდესაც ჩინეთის რკინის გზაზე ბრძოლა სწარმოებდა. უამბეს აგრეთვე შეგროვილ საჩუქრებზე, წრეებზე, რომელთა მიზანი იყო სამხედრო ცოდნის შეძენა. ბავშებმა ამხ. ბლიუხერი გააცნეს აგრეთვე იმ ბრძოლას, რომელსაც ისინი კულაკთა ქორების საწინააღმდეგოდ აწარმოებდენ. კულაკები ავრცელებდენ ხმებს, ვითომც ჩინეთის მემამულენი უნდა მოსულიყვნენ და ყველაფერი წაერთმიათ მათთვის.

ბავშებმა ცენტრ. შავ. მიწ. ზოლის ოლქიდან და ყაზახისტანიდან მიუთითეს ამხ. ბლიუხერს, რომ სამხედრო მუშაობა მათთან სუსტად სწარმოებდა.

ყურადღებით მოისმინა ამხ. ბლიუხერმა ბავშების სიტყვები და უთხრა:

— ახლა მე ვილაპარაკებ.

## ლაპარაკობს ამხ. ბლიუხერი

— იცით თუ არა რისთვის ვიბრძოდით ჩვენ. — შეეკითხა ამხ. ბლიუხერი ბავშებს.

— ვიცით, ჩვენი პროლეტარული სამშობლოსთვის, — ერთხმად მიუგეს ბავშებმა.

— ჩინეთის თეთრ ბანდიტებს სურდათ გაეგოთ, რამდენად შეგვწევდა ბრძოლის უნარი. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ჩვენი ძალა შორეულ აღმოსავლეთში სუსტი იყო და ამიტომ ბრძოლა გამოგვიცხადეს. მაგრამ მოსტყუვდენ.

მტერი იკრიბებოდა შორეულ აღმოსავლეთის საზღვარზე — თეთრგვარდიელთა ჯარებს რაზმავდა. როგორ გგონიათ, ბავშებო, სად არიან ახლა ყოფილი კაპიტალისტები, მემამულენი, ოფიცრები, რომელნიც საბჭოთა კავშირმა გააძევა.

— საზღვარგარედ, — მიუგეს ბავშებმა.

— მართალია. ისინი ახლა იქ აწყობენ თეთრ-ბანდიტთა ჯარებს. ასეთ ემიგრანტთა რიცხვი მილიონნახევარია.

და აი, როდესაც თქვენ ნიშანში სროლას სწავლობთ, იცოდეთ, რომ მიზანში სწორედ ეს მილიონნახევარი მტერი გყავთ, რომელსაც პროლეტარიატმა ყველაფერი ჩამოართვა. გაბოროტებულ მტერს უნდა შური იძიოს ჩვენზე. მისი ოცნება იყო აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზა თეთრგვარდიელთა სიმაგრედ გადაექციათ შორეულ აღმოსავლეთში.



ეცნობიან მოტორის მექანიკას.

როგორ იბრძოდა განსაკუთრებული წითელდროშოვანი შორეულ აღმოსავლეთის არმია.

— ჩვენს ჯარში დეზერტირები არ იყო. მთელი არმია პოლიტიკურად არის აღზრდილი. მათი ბრძოლის უნარიანობა არანაკლები იყო, ვიდრე 1919 წ. არმიისა, რომლის ძირითადი შედგენილობა მუშები იყვნენ. ახლა კი ჩვენი წითელი ლაშქრის უმრავლესობა გლეხებისაგან შესდგება, მათი რიცხვი 80 პროც. უდრის. წითელი არმიის სიმტკიცემ ნათელჰყო, რომ მას პარტია ხელმძღვანელობს და ნამდვილ წინამძღოლობას უწევს. დიდია პარტიის ავტორიტეტი წითელ ჯარში. როდესაც უპარტიო წითელი არმიელი მიდიოდა ბრძოლაში, იგი ამბობდა:

— მე მსურს თავი დავდო საბჭოთა ხელისუფლებისათვის, და თუ ბრძოლაში მოვკვდები, კომუნისტად ჩამთვალეთ.

ოდესღაც ტროცკიმ სთქვა: თუ ჯარში გლეხები და მუშები იქნებიან, მაშინ მათ შორის გათიშვა მოხდება, ვინაიდან ისინი ერთმანეთს მტკიცედ ვერ დაუკავშირდებიანო.

მაგრამ ასე არ მოხდა და არც მოხდება. მათ შორის მტკიცე კავშირია.

ტროცკი ამბობდა აგრეთვე: მეთაურთა შედგენილობა რომ შეიცვალოს, ვერ ვიტყვით, მაშინ ვის გაჰყვება ჯარიო.

მაგრამ ესეც მხოლოდ ცილისწამება იყო. მეთაურნი ჯარში დიდი ავტორიტეტით არიან აღჭურვილნი. ისინი პირველნი მიდიოდენ ბრძოლაში.

ჩინეთის ჯარისკაცები უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოდენ, ვინაიდან ეშინოდათ, ტყვედ არ ჩავარდნილიყვნენ. ისინი დაშინებულნი იყვნენ იმ ჭორებით, რომელსაც მათი ოფიცრები და ბურჟუაზიაავრცელებდენ ჩვენს შესახებ. წინედ რუსეთის მეფე დასცინოდა და ათახსირებდა ჩინელებს. როგორც ისტორიიდან ვიცით, წინედ ჩინეთის ჯარისკაცებს გადარეკდენ ხოლმე მდინარე ამურზე და იქ, მდინარეში ხვრეტდენ. ოფიცრები ეუბნებოდენ ჯარისკაცებს, რომ წითელი არმიაც ასე



სოფ. ახალდაბაში—პიონერები უსმენენ გაზეთის კითხვას



სოფლის პიონერები კედლის გაზეთის გამოშვებაზე

მოეპყრობოდა მათ. ტყვედ ჩავარდნილთა დასჯის საშინელ სურათებს უხატავდენ ჯარისკაცებს ჩვენი მტრები.

15 ათასმა ტყვემ გაიარა ჩვენს ხელში, მაგრამ არც ერთისთვის არ გვიხლია ხელი. პირიქით, ვაჭმევდით და შემდეგ ვანთავისუფლებდით. ჩინეთის ჯარისკაცებმა გაიგეს რას ნიშნავს წითელი ლაშქარი და რისთვის იბრძვის იგი.

განთავისუფლებული ჯარისკაცები გაიქცენ თეთრი არმიიდან. ისინი მიხვდენ თეთრ ბანდიტელთა ოფიცრების სიცრუეს.

ჩინელი ჯარისკაცები ახლა სიმართლეს ლაპარაკობენ სოფლად საბჭოთა ქვეყნის შესახებ და აჰარწყლებენ თეთრების ჭორებს. ქალაქები, რომლებშიც ჩვენ შევდიოდით, მთლად დანგრეული გვხვდებოდა თეთრგვარდიელების მიერ. ჩვენ იქ მაშინვე წესრიგს ვამყარებდით და ღარიბ ხალხს ფქვილს ვურიგებდით.

ჩვენი ამბავი მთელ მანჯურიას ეფინებოდა.

ერთხელ, როდესაც ერთ სოფელში შევედით, მოვიდა ჩვენთან სოფლის ღარიბი მოსახლეობა და შეგვეკითხა: დაგვირიგებთ თუ არა მათ ფქვილს.

ჩვენს განსაკუთრებულ შორეულ აღმოსავლეთის წითელდროშოვან არმიაში პოლკის ერთი მოწაფე იყო, რომელიც ასე 15-16 წლისა იქნებოდა, გვარად ჩერეპანოვი. იგი იყო განსაკუთრებულ ცხენოსანთა ბრიგადის მესანგრეთა რაზმში. ომის დროს იგი საუკეთესო მზვერავი იყო. ერთხელ ბრძოლაში, რომელიც მისი მეთაურობით ხდებოდა, მას ტყვედ ჩაუვარდენ ჩინელი ჯარისკაცები. მთავრობამ იგი წითელი დროშის ორდენით დაასაჩუქრა. კავშირის მშრომელთაგან ბევრი ამანათი და ფული მივიღეთ. ხანდახან გამოგზავნილ ამანათებში ასეთი შინაარსის ბარათებს ვპოულობდით:

ძმებო, წითელ - არმიელნო, მოშორდით ბრძოლის ველს. ვის სწირავთ სიცოცხლეს. — და სხვა.

მაგრამ წითელარმიელნი მხოლოდ დაცინვით უპასუხებდენ ამ ბარათებს. მშრომელი ხალხისაგან ჩვენ მივიღეთ 11 მილიონი მანეთი. ამ ფულიდან 9 მილიონი თვითმფრინავის ასაგებად გადავდეთ. ჩვენ გავაჩუმეთ თეთრი ბანდიტები, რომელთაც სურდათ გადმოელახათ ჩვენი საზღვრები.

მომავალში ჩვენი რიგები თქვენ უნდა შესცვალოთ, ამისათვის კი საჭიროა სწავლა, რომ მტკიცე მეომარნი გამოხვიდეთ.

— შეიძლება თქვენთან მოხალისეებად ჩავეწეროთ? — გაისმა აქეთიქიდან ხმები.

— ჯერ-ჯერობით ამისი საჭიროება არ არის. ჯერ ისწავლეთ, იმუშავეთ ქარხანა - ფაბრიკებში, კოლმეურნეობაში. სოციალისტურ მშენებლობისათვის მუშაობა არანაკლებ სასარგებლო საქმეა, ვიდრე ჯარში ყოფნა, — მიუგო მეთაურმა. შემდეგ ბავშები შეეკითხენ ბლიუხერს მისი ორდენების შესახებ.

მეთაურმა უთხრა, რომ მას წითელი დროშის 5 ორდენი აქვს. 1918 წ. მან პირველმა მიიღო ორდენი.

— რამდენი წლისა ხართ? — შეეკითხა მას ერთი ბავში.

— ორმოცდა ერთის, — ღიმილით მიუგო ბლიუხერმა.

— მაშ, თქვენ კიდევ შესძლებთ ჩვენს მასწავლებლობას.

ახმაურდენ ბავშები.

გამოთხოვებისას ბლიუხერმა ბავშებს მაგრა ჩამოართვა ხელი, თუმცა ეს პიონერთა წესს არ შეეფერებოდა.

ნ. ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გენოს თავგადასავალი

ნაძვებით და ფიჭვებით დაბურულ ტევრიდან, კივილით და ჭშენით შემოიჭრა საგარეჯოს მატარებელი პატარა ცემის ბაქანზე.

სანატორიუმის ეზოში მოთამაშე ბავშვები გზას მისდგნენ. ცქრიალა და მოციმციმე დაუდეგარი თვალები ათასი ხალხის სულსა და გულში გადატყდა...

სანატორიუმის თანამშრომლები ბავშვებს თავს უვლებიან.

მთავარი ექიმი ბავშვებში ჩამდგარა და უყურებს როგორმე ისინი ჩაიყვანოს ეზოში.

მატარებლის ამოძახილი და ჭშენა, მასში ილუქროდინიით გაივლის და ექიმი მიიწევს რომ ისინი არ მოყვნენ მატარებელს.

— სიფრთხილე მარი, მეორეჯერ არ განმეორდეს ის ამბავი. კარები ყოველთვის დაკეტილი უნდა გქონდეთ. საშიშია ბავშვების ლიანდაგზე გადმოსვლა.

— ექიმო ის შემთხვევით მოხდა, დღეს სამზარეულოში ვიყავი და ვერ მოვასწარით.

— ამ დილით მატარებელს, როგორც სჩანს, არ მოყვება ბავშვების ახალი ჯგუფი?

— როგორ კიდევ მოვიყვანოთ, დეიდა?!— წამოიძახა პატარა ფესამ, რომელსაც მაგრად ჩაეკიდა ხელები მაროსთვის.

— შეიძლება წინა ვაგონებში არიან? იცი როგორი მიხარია მათი მოსვლა? ბევრი ვიცინებით და თამაშიც კარგი გამოვა.

ბავშვების ახალ ჯგუფს მოელოდა სანატორიუმის თანამშრომლები.

ბავშვები, რომ წამოიშლებიან და შემოეგებებიან მატარებელს, ეს იმიტომ, რომ თვის პირველი რიცხვია და ყოველ ასეთ დროს, ჩამოჰყავთ სხვადასხვა ქალაქებიდან ბავშვები სანატორიუმში სამკურნალოდ.

აი ახლა კიდეც გამოყვეს ბავშვებმა თავები ფანჯრებიდან.

წინა რონოდიდან კონდუქტორი გადმოხტა. ლამის ნათევი თვალები გააჭყიტა, ზანტად გაიზმორა და სთქვა:

— ჩაიბარეთ ეს „ეშმაკის" ფეხები. ყურები წაიღეს ქყიპინით".

ვიღაცამ ვაგონიდან მიაძახა მკვახედ:

— ისე ამბობ, თითქოს შენი ზურგით მოგყავდეს ეს ბავშვები!

და სანატორიუმის ბავშვები, რომლებიც ექიმებს და მომვლელებს ყავთ მზრუნველობის ქვეშ, ... ამხანაგებს ყველაზე ... მიეგებნენ.

— მოდით!.. მოდით!..

— რა კარგია ჩვენთან ცხოვრება, რომ იცოდეთ?!

— ჰო.. აქეთ... აი ამ დაბალ და გრძელ შენობაში...

— როგორ, არ მოგწონთ თუ!..

ძალიან საუბრით შეხვდნენ ბავშვები ერთმანეთს.

მატარებელმა მოულოდნელად იკივლა.

და ვაგონები აიჭრენ ზედ...

რონოდები დაიძრა მოხრუკებში და მაზუთის სითხით გავსებული ქვაბი შეებრძოლა დაკლაკნილ ლიანდაგს აღმართში.

ბაქანი დაცალიერდა...

ბავშვები ხელიხელჩაკიდებულნი შეიყვანეს ეზოში.

დასხდნენ მინდორში სკამებზე და ცნობის მოყვარეობით დაუწყეს ერთმანეთს სინჯვა...

მეორე დღეს, როცა მზის სხივები, გადატყდა დაბურული მთის მწვერვალზე და დაბლობებში გაანათა ლექიმ ბალახოვანი კუნძულები, სანატორიუმის ბავშვები ახალ ამხანაგებთან ერთად ეზოში გამოვიდნენ სათამაშოდ.

მომვლელი ქალები, წინასწარ გაფრთხილებულნი, ახლად მიღებულებს თანდათან აჩვევენ ნაწილობრივ ცივსა და ნელთბილ ჰავას...

საალმზრდელო და სამკურნალო წესები, თვითეულ მათგანში გამჯდარია, ძირგამდგარ ცაცხვის ფესვივით. ამიტომ ბავშვების ფეხის გადადგმაც გამოანგარიშებული აქვთ.

დილით პატარა ცემის გორაკები და ის ადგილი, სადაც სანატორიუმის შენობაა, ცვარნამით არის მორწყული, მწვანე ბალახები, თავჩაქინდრულნი მოელიან მზის მხურვალებას, რათა შეისუნთქონ და შეიშრონ თავზე დაწოლილი სისველე, რომ სწორად შეხედონ მაღლა ცის ლურჯ კაბადონს.

და თუ ამ დროს, ბავშვის ფეხები გაიჯირითებს მათ წვერებზე—ეს უფრო ახარებს საწყალ ბალახებს და ნამის წვეთებიდან განთავისუფლებულნი, იმალ აწევენ თავს, რომ რეზინის გახურებულ შანთებივით გამოსროლილი სხივები კიდევ გადაიგორონ და გაატარონ პაწაწკინტილა ღეროებში...

გარემოს სიუხვე, სილაღე, ბავშვებში აღტაცებას იწვევს და ყოველგვარ წესების გარეშე ერთბაშად მოედვნენ ცვრიან მინდორს.

მომვლელები სამზარეულოში ტრიალებენ.

—შენი ჭალო რძე არ გადმოდინდეს ამდენი დუღილით.

— შენ კი თაფლი არ გადმოღვარო მაგ ქილიდან

— ეი, მარუსა, პური დაჭერი...

— თეთრი?

— მაშ, რამდენი ხორცი გაქვს?!.

— ექიმი მოდის, ექიმი, სწრაფად და სუფთად ამხანაგებო, თორემ დაგვიწუნებს, ნახელავს. იცით, დიდი მიზეზიანია ეგ კაცი.

— მართალია, მართალი.

— საკმარისია ოდნავ შავ წერტილს მოკრას თვალი პურზე ან რძეში, მაშინვე ხაზს გადაგისვამს.

ექიმი მოვიდა. სამზარეულოში სიჩუმე ჩამოვარდა.

— ამდენი ხანი ტრიალებთ, და საუზმე ვერ მიგიწოდებიათ დროზე ბავშვებისათვის, აბა შეხედეთ რას გავან, ლამის არის წყალში გადაცვენილებს დაემსგავსონ ამ დილით მოსველებულ ...ალში სირბილით.

მომვლელი ქალები ათვალიერებენ ბავშვებს.

ექიმი აკვირდება მათ.

უცებ თვალები შეაჩერა ერთ ახალ მოსულზე.

პატარა ტანის ბავში თავჩაღუნული ზის ხელში ფრაყის კოვზი უჭირავს. ფიქრებში გატაცებულს საუზმე დავიწყებია და კოვზის მაგიდაზე დადებაც ვერ მოუხერხებია.

ექიმმა მას დიდი სიფრთხილით ხელი რბილად ჩამოკრა მხარზე.

— ბიძი, რათ არ საუზმობ, არ მოგწონს? ეგებ სხვა რაიმეს მიირთმევ. ნუ გრცხვენია, მითხარი.

ბავშის გონება მოულოდნელმა ხმებმა დააბნია.

თავი გაიქნია.

მიიხედ- მოიხედა და თავის მაღლა აწევასთან, ექიმის შავი და ნაყვავილევი სახე სათვალეებით შემოეფეთა.

მან ადგილი ვერ იშოვა უკან დასაწევი. სკამზე მოიხარა და დაპატარავდა, თითქოს მაგიდის ქვეშ გაძვრომას აპირებსო.

ექიმს მომვლელი და აღმზრდელი ქალებიც შემოუერთდა.

შეიქნა ლაპარაკი და ჩურჩული ბავშის ირგვლივ.

მათ ლაპარაკს ბავშვებმაც ყური მოჰკრეს, თავები მოხარეს. ერთ წუთში სმენათ გადიქცნენ. შემდეგ ისევ ალაპარაკდნენ. გაფითრებული გამომეტყველებით მიაპყრეს თვალები შეგროვილ ხალხს, პატარა გენოს ირგვლივ, რომ იდგა.

გაკვირვებულ სახეებს ტუჩების მოძრაობა მოჰყვა, წამოდგნენ ზეზე და სასადილოში სკამების ხრიგინი ატყდა.

მომვლელები გენოს მისჩერებიან და ბავშვების მიერ საუზმის მიტოვება შეუმჩნეველი დარჩათ.

ბავშვები გენოს შემოეხვიენ ირგვლივ.

ექიმი გაჯავრდა.

— ეგ რა ამბავია, ბავშვები ცის ამარად დაგიტოვებიათ და მოსულხართ აქ?!

მომვლელები სახტად დარჩნენ, როცა დაინახეს დაცარიელებული სასადილო. მათი ადგილებზე დაჯენა დააპირეს, მაგრამ ამაოდ, უარზე იდგნენ და მოითხოვდნენ გაეგოთ, თუ რაში იყო საქმე. ექიმისადმი მორიდებამაც არ გასჭრა და ადგილიდან არ დაიძრნენ.

გენო აბუზული იჯდა. ცრემლები მოსდიოდა.

ექიმი შეკითხვებს აძლევს, რომ გამოარკვიოს ბავშის ვინაობა.

— მეე. მე... იქიდან ვარ ეეე... დამავიწყდა...

— ბაქოდან?

— არა.

— ბათომიდან?

— არა... ტფილისიდან...

— რომელ ქუჩაზე ცხოვრობ?—ეკითხება ისევ ექიმი.

— პაეროდრომი. აი სულ დიდი, დიდი მინდვრები, რომ არის და პოვეზები რომ მიყვირის და მოყვირის.

— ასე შორს?

— რათა, ჩემ სახლთან ახლოს ვარ. საბავშო სახლიც იქ არის.

გენო ცოტა გათამამდა. პასუხის მიცემის დროს ჭორდულად უყურებს თვალებში განსაკუთრებით ექიმს, რომელიც თავზე და... გრამია და ყოველ წვრილმანს ეკითხება

ექიმი ... დაინტერესდა შ... ბით.



ეზოში—საბავშო ბაღში

— გენო, ეხლა მითხარი, რატომ არ ისაუზმე და მოწყენილათ იყავი? შენი ამხანაგებიც არ საუზმობენ უშენოთ. ხომ კარგი ამხანაგები გყავს? ხედავ, როგორ შემოგხვედიან, შეხედე ასწი თავი, მაღლა... ცოტა კიდევ ასწი, ასე.

— პო, გენო, ჩვენც არ ვჭამეთ.

— შენ გიცდით გენო შენ, რა მოგდის?— უთხრა ფუსამ, რომელიც ყველაზე უფრო განიცდიდა გენოსადმი სიბრალულს.

გენო თითქოს გამხიარულდა, შეკითხვებზე პასუხს იძლევა. სანდომიანი თვალებით ათვალიერებს ახლო მდგომ მომვლელებს, ამხანაგებს, უნდა გაირბინოს, დასტაცოს ხელი პატარა ბიჭუნას, მას რომ მისჩერებია, ეთამაშოს, ეჭიდაოს, გაიწვიოს სირბილში, ხტომაში და გამოცოცხლებული გამოიყურება.

გენომ, რაღაც მოვარდნილი სიხარული და აღტაცება იგრძნო, რომელიც ამხანაგებმა შენიშნეს. მათ თანდათან დაიხიეს უკან და და დაუთმეს ადგილი, რომ ის მოცილდეს იმ სკამს, რომელზედაც ამ ათი წუთის წინ დაპატარავდა, დაიგრიხა და მაგიდის ქვეშ აპირებდა გაპარვას.

ამხანაგები მიხვდნენ, რომ გენო გამოვიდა დამწუხრებულ მდგომარეობიდან და მასთან შეიძლება ახლო მისვლა, გაბაასება და სხვა.

ამ აზრით ფუსამ გაუმართა საუბარი გენოს.

ზოგიერთი ბავშვები მოცილდნენ მათ და სათამაშოთ გავიდნენ მინდორში.

მომვლელი ქალები შეუდგნენ მაგიდების ალაგებას.

საუზმე ნახევრათ ხელუხლებელი დარჩა ბავშვებს.

ფუსა და გენო, თითქოს დიდი ხნის მეგობრები იყონ ისე ელაპარაკებიან ერთმანეთს.

ექიმი გამოურკვეველი გამომეტყველებით შევიდა სამუშაო ოთახში. სათვალეები მოიხსნა და მაგიდაზე დასდო. ლოგინზე მიწვა და ფიქრებს მიეცა. თვალისწინ ედგას გენოს მოღუშული სახე, ჩაღრმავებული თვალები, ზემოდან ხშირი წარბებით წამოხურული და თხელი პირის კანი პატარ პატარა მუწუკებით დაფარული.

დილის თორმეტი საათია.

მატარებელმა მოულოდნელად იკივლა.

ხმა დატრიალდა აზიდულ მთებს შორის და სადღაც უპი გამოეხმაურა...

გენოს, თითქოს ბნედა მოუვიდა აყვირდა, აღრიალდა და მორთო კივილი:

— მიშველეთ, გაჭყლიტა, მიშველეთ... დედა!.. დედიკო!.,

პატარა ფუსა დაიბნა და გაკვირვებული მისჩერებია თვალებში გენოს.

გენო პირიდან დორბლს ყრის და იმეორებს:

— გაჭყლიტა, გაჭყლიტა, მიშველეთ!..

ფუსამ მიიხედ-მოიხედა: თვალებს არ უჯერებს: ეგების მართლა გაიტანა ვინმე მატარებელმა, მაგრამ, რომ ვერაფერი დაინახა, შეშინებული ხმით შესძაა გენოს:

— გენო, ხომ არ გაგიჟდი. გაახილე თვალები. ვინ გაჭყლიტა, აქ არაფერია!

გენო არ მშვიდდება..

— აი, აგერ დედა, სისხლის მორევში; თავი გაუტყდა; მოკვდა...

ამ დროს რამდენადაც უახლოვდება მატარებელი იმ ადგილს, სადაც სანატორიუმია კივილს უმატებს და გენოც თავდავიწყებაში გადავარდნილი შფოთავს, გარბის, ხელში არავის უვარდება.

მთელი სანატორიუმის თანამშრომლები, ექიმი და ბავშვები გარს ეხვევიან, დასდევენ, აშშვიდებენ.

— აქ არაფერი არ არის გენო, რა მოგდის?!

— გაახილე, ბიჭო, თვალები!

— აბა, სთქვი ვინ გაიტანა მატარებელმა!

— დამშვიდდი, დამშვიდდი...

— უთუოდ გაგიჟდა, აბა რაშია საქმე!

— რა ვიცი, ჭკვიანს კი არ გავს და?

ასეთი სიტყვები მომვლელების და ბავშვების მიერ მალი-მალ გადადიოდა ერთიდან მეორეზე.

გაფითრებული ექიმი დასწვდა ხელებში გენოს. მაგრათ მიიკრა გულზე და დაუწყო მოფერება, დამშვიდება.

გენო მაინც არ ცხრება.

ექიმს აღელვება დაეტყო.

გენო გაუსხლტა ხელიდან ექიმს და გიჟივით თვალებამღვრეული გაიქცა...

ბავშვები დაედევნენ, დაიჭირეს...

მატარებელი ჩამოდგა ბაქანზე.. მატარებლის დადგომასთან ერთად, გენოს აფორიაქებული სახე, თითქოს მოიღრუბლაო წესრიგში ჩადგა და დამშვიდდა.

— ექიმო, წავიყვანოთ ოთახში, როგორც ჩანს ავადმყოფი ყოფილა?

— შეკითხვა არ არის საჭირო, ეხლავე, ეგეც ერთგვარი ავადმყოფობაა. მაგას მერმედ გამოვარკვევთ..

— შენ რა მოგსვლია ფუსა, რამ შეგაშინა?

ფუსამ ტირილით უპასუხა:

— მე რა ვიცი, ჩემი ბრალი არ არის, ვთამაშობდით და კივილი მორთო, მე რა ვიცი, ჩემი ბრალი არ არის.

— შენ ვინ გაბრალებს!

ფუსა ტირილს განაგრძობს.

თანამშრომლებმა სიცილი ასტეხეს.

ბავშვები აირ-დაირიენ.

მათი გაკვირვება გაკვირვებათ დარჩა და ვერ გაიგენ გენოს ამბების მიზეზი.

— რა უნდა იყოს?

— ალბათ სიზმარში თუ იყო.

— რას ამბობ, კი არ სძინავდა, ჩემთან თამაშობდა.—სთქვა თვალცრემლიანმა ფუსამ.

- თუნდაც ესე იყოს, ალბათ რაიმე შემთხვევა მოაგონდა.

**სიმონ ჭვერავა.**

(გაგრძელება იქნება)

# იყავ მზად!

## (ანუ ცანცარა)

(რევ-აგიტ-სატირა 8 კარად)

ცნობა: საჭიროა—მუსიკა, მღერა, მელოდეკლამაცია, ფიზკულტურა. ყოველ აქტის დაწყების წინ—ორი ჰეროლდი, წითელ მანტიაში, ნიღბში—ბუკით აცნობენ დასაწყისს და სხვ.

**მოქმედნი:**

1. სოსო (ღარიბი გლეხი)
2. მარო (ამისი ცოლი)
3. ვანო (შვილი-პიონერი)
4. ალიო (პიონერები).
5. თინა
6. ლეო (ექიმი)
7. გუცა (ბობოლა)
8. მართა (მკითხავი-ექიმბაში)
9. მიხა (სოფლის აქტივი)
10. ლელა

და სხვ. (?)

### პროლოგი

(გამოსვლა ფარდის წინ. ბუკი. მუსიკა მარში).

**მეთაური.** სმენა!
**ყველა.** განგაში!
**მეთაური.** იყავ მზად!
**ყველა.** მზად ვართ!

1, 2, 3 — საყვირი მაღლა!

4, 5, 6 — დაჰკა შეტევა!

**ყველა.** დიად შენებად
არ ვიცით დაღლა,
**მეთაური.** და
ჩვენი შენება
**ყველა.** ურჩი ყიჟინით არსად ეტევა!
**მეთაური.** ალლო!..
**ყველა.** ძლევით
ვფრენთ!
**მეთაური.** ზევით
ვფენთ
**ყველა.** ხმებს, ყველა მტრებზე სვლად!
**მეთაური.** და...
**ყველა.** უფროს მებრძოლთა მოვდივართ
შესცვლად!..
**მეთაური,** და კომუნის გზად—
**ყველა.** მარად ვართ მზად!
**მეთაური.** უკან დარჩენა კი არ,
**ყველა.** არამედ
**მეთაური.** წინ—იარ!!!
**ყველა:** რევოლიუციის ფაფრის ავარცხნით,
შემოქმედების ალი ავარდა!
ამხანაგებო, სალამი მარცხნით!—
აბა, ეხლა კი ასწიეთ ფარდა!!!
(საყვირი. მუსიკა—მარში. გასვლა).

### კარი პირველი

(სცენა სახლი-ბაღი, გზის პირად. საღამოა. სოფლის პეიზაჟი. ხმაური. ღობე. სუფრა—წინ დერეფანში. გუცა-ქაღარა, სათვალეებით. ლეო ჩანთით—მაგიდის გარშემო. ვანო პიონერი, განგებ სულელობს. ღობესთან მომდგარ მაროს ელაპარაკება, ხილს ჭამს და...).

**მარო.** (სწუხს) ხომ ცუდათ არ, ა, შვილო?
**ვანო.** არა დედა, აქ კარგია-გუცასთან... რა მინდა პიონერში?.. ხი! ხი!.. (თან, ჩუმათ, აქეთ ყურს უგდებს).
**მარო:** ვაიმე. დალუპულო შვილო! გამისულელდა მართლა? (თავში ხელის ცემა. მიდის. ვანო ხელებს გაიწვდის):
**გუცა.** ცანცარ!
**ვანო.** ა? ხი! ხი!..
**გუცა.** ა, და ხი. ხი, კი არა,—საქონელს მიხედე!.. მაშ ამ რაიონში დაგნიშნეს, ლეო? ექიმი ბრიგადირი? მაშ ბრავო და ისაა!.. (სიცილი).
**ლეო.** როგორც ხედავ, აქ... მარა, შენ როგორ, საით? ა?
**გუცა.** რა გასაბჭოება მოხდა, როგორც ოფიცერი... რა ვიცი, ხვრეტენო ეს ბოლშევიკები, და... სოფელს შემოვაფარე თავი...
**ლეო.** დიახ, ვინც არ დაყრის კონტრ-რევოლიუციონურ ფარხმალს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეჰ, შენცა!.. თითქოს არ მიცნობდე, როგორც სკოლის ამხანაგს... ამ სოფლის კომსომოლების არ იყო— ჯერ იყო და ჩარჩს მებახდენ, ამ ცხონებულ ჩემ სასიმამროს რომ შევუამხანავდი დუქანში, ეხლაა და კულაკო, —რა მაქვს საკონტრ-რევოლიუციონერო და საკულაკო? აბა ამ ჩემ ხელებს შეხედე, კოჟრები, მე თვით ვმუშაობ, და... ჰო, რას ვამბობდი?.. ამ ჩემ სასიმამროს შემოვეკედლე-მეთქი... იქიდან ვიცნობდი, მამაჩემს ღვინო ამისაგან მიჰქონდა ხოლმე, გასაყიდათ, ეს ერთი ქალი ყავდა, და... იმის სიკვდილის შემდეგ რაც დაგვიტოვეს ნორმა—მეურნეობას მე უვლი ახლა...

ლეო. ა, ცოცხალი აღარ?

გუცა. რაც ის კოოპერატივი გაუღეს წინ, ცხვირზე მეჰეჰივით წამოადეს და მამულები ჩამოართვეს, გაუსკდებოდა გული, მაშ რა მოუვიდოდა?! (პაუზა) ეჰ, ამათ ხელში!.. ჰმ! თუ მაშინ ის ეშმაკის გამოჩეკილი ჩეკა არ...

ლეო. გე-პე-უ?

გუცა. (სიცილი, თან შიში) ჰო, ის ბიჭში ჩეკი, არა? რა,უ-პეი-ფუს მოგვარე ხომ არაა?! ჰო, იმას ვამბობდი... შენ როგორ, ჩვენი ხარ თუ შენც? ა? (ღიმილი).

ლეო. ვინ თქვენი?!

გუცა. (დაიბნა) არა.., ისე... ა? როგორ გგონია, მორჩება ჩემი ცოლი?.. ა? ჰმ!

ლეო. თუ ისე მოუვლით, როგორც გითხარით — საშიში არაა... ის ექიმბაში კი ახლავე მოაშორე... სხვა არა იყოს რა, შეგნებული კაცი არ იყოთ, ჰო მესმის კიდევ... დანაყილი აგურის ხსნარი და ფოთლის ფხვნილი აბა ვის არჩენდა, რომ მიუცია?! იმ წინებზეც აგერ შენი მეზობელ ქვრივ დედაკაცს რომ გახდომოდა ბავში ფილტვებით ავად, და მაგას ერჩია ფეხებით ჩამოკიდეთ და ტყლიპზე ცემა დაუწყეთო — მორჩებაო...—ვის გაუგია?! ა? კიდევ კარგი, დროზე შემატყობიეს... ძლივს გადავარჩინე...

გუცა. (უხერხულადაა) არა, თვითონ ელენემ ითხოვა დაძახება, ისე, სახლშიც შველის ხოლმე, და... მიირთვი რამე... აგერა შინაური არაყია... (უსხავს).

ლეო. ო, არა... (რეცეპტს სწერს).

გუცა: (ღიმილი). ჰმ! როგორ გეტყობა, რომ სამხედრო პირი არ ყოფილხარ?! (იჰიმება) ეჰ! მაშინ გადახუხავდი შენც... (სვამს) ბატალიონს რომ გავქახებდი. ჰმ! სადღაა?—რა ხმა მქონდა!.. შიშის ზარს ვცემდი ჯარისკაცებს, მაგრამ... ეხლა ჩამომართვეს ხმა, თორემ, მაშინ?! ჰმ!

ლეო. (ცალკე) ჰმ! ჩერჩეტი! (ამ დროს გზად გაივლიან პიონერები—სიმღერა, ბუკი დაფი) ა? პიონერები?! (ღიმილი, ყურს უგდებს).

გუცა. ჰმ! ემანდ არიან დაბანაკებული—სოფლის ბოლოს, მდინარის პირას... ყოველ ზაფხულს ჩამოდიან...

ლეო. ა? (ადგება—სიამით გაჰყურებს. პაუზა. მოფარებით — ღობეს მოადგებიან ალიო და თინა).

გუცა. (არ ესიამოვნება) რა გეჩქარება, ლეო? დაჯექი.

ლეო. გალმა მყავს ავადმყოფი, არტელის წევრია და...

გუცა. ვიცი, კაკო? — ღარიბი გლეხია... ითითმენს... (ღიმილი) დაჯექი... რძე მაინც... ცანცარ!

ლეო. ა?—რა, შენ კი არა ჯერ არტელში? (ღიმილი).

გუცა. ვითხოვე, მარა, ვინ მიგიღო... ნეტა ახე მაინც დამაყენებდენ, თორემ აქ ვილა ჩივის! ეტო რაზეა ეიშნ?!

ალიო. ვანო, ჯერ...

ვანო. სუ!.. არა... (ამათზე აჩვენებს):

თინა. ა?

გუცა. ცანცარ — მეთქი!!! (ალიო და თინა მიეფარებიან) შენ არ გეძახი?!

ვანო. ა?—ხი!-ხი!.. ვითომ და მე მეძახი? დავიჯერო? ა?! (ღრეჭით, ქექვით, ქეჩოს ფხანით, — სახელოთი ცხვირს იწმენდს) რითვინაო?..

გუცა. (უყვირის) რითვინაო კი არა, ალბათ ძუძულდებოდა!.. ერთი ჰიქა...

ვანო. ხი! ხი!.. ჰოდე!.. რა?!

ლეო. (უკვირს) ცანცარა რა სახელია?!

გუცა. (ღიმილი) ეს მე დავარქვი... რა, არა გავს?.. — ამას პასმატრი? დოყლაპია!..

ვანო. ხი! ხი! დიაღ, ტყლაპია!.. ზედმეტი სახელიცა მაქვს — ვანოი... (იღრიჭება, მიდის, მობრუნდება) რაო?

გუცა. რა და, ის... რძე!

ვანო. ვის სიძე?!

გუცა. რძე მეთქი!

ვანო. არა, მე ვთქვი!.. (მიდის, მობრუნდება) რამსიგძე?

გუცა. ა?! (ბრაზი).

ვანო. სულ გამოვიტანო—მეთქი, თუ...

გუცა. ორი! (აჩვენებს თითებს).

ვანო. (მიდის, მიიმღერის) მამაშენი ღორი, შენ იმისი გო... (გადის).

გუცა. აი ერთი ყოფილი პიონერიც! აბა, იქ კაი რამეს შეასწავლიან?! ერთი ღარიბი გლეხია, — ვეხმარები ხოლმე... იმისია... ჩემთან იყო... ვიფიქრე, ამაზე ხომ მაინც არ იტყვიან მოჯამაგირე ყავსო, და.., მინდოდა, კაცი გამომეყვანა... მაგ პიონერებს რომ უყურებდა — აიჩემა, მეც მინდა პიონერი გავხდეო, ბევრი ცტუქსუ დედმამაც არ უშვებდა, მაგრამ შარშან შემოდგომაზე პიონერები რომ აბანაკდენ — ეგეც თან წაყოლიყო, თბილისში; გაიპარა.., და, თითონაც ამბობს — აღარ მინდაო იქ... შემეცოდა, ისევ მე ავიყვანე... აილე, ნახე რა თეთრიშაული ვაშლია?!

ლეო. პიონერ - კოლექტივში ვინმე ბავში მოხვდეს და გამოყეყეჩდეს? ჰმ! მეეჭვება...

ვანო. (ამ დროს გამოაქვს რძე—თან უკან იყურება) აქმა, თქვე ვერნებო! მწვანილი სულ გათხარეს ბოსტანში!.. (განცვებ დავარდება) უჰ, კინაღამ არ დავეცი?!

გუცა. (ნიშნის მოგებით) აი!.. (ვანოს ფეხს წაკრავს) უშნო! ადე!.. შე მართლაც ცანცარა!

ვანო. (ღრეჭით) რომელი, ქოჩორა თუ ნაცარა?

გუცა. ქათმებზე კი არ გეუბნები, შე... მე რომ ღარიბ გლეხებზე გული არ მეწოდეს — აბა ვინ აიყვანდა ამას?!

ვანო. ხი! ხი! ა? ვითომ დავვარდი?! (თავს ითვალიერებს; სტკივა, მაგრამ—ტყუილად კოჰლობს—ადგება).

ლეო. (შველის ადგომას) ადე...

გუცა. ეს ააშენებს ქვეყანას?!

ლეო. კი, მარა ცემის უფლება მაინც არ...

გუცა. ჰო, ახლა მაგის ნებართვასაც ავიღებ ალმასკომიდან!.. გამოიტა ისევ...

ლეო. (თავზე ხელს უსვამს) ხომ არაფერი გეტკინა?

ვანო. (შეჰღიმებს) არა... (გუცაზე) ასეთი წელკავიანი კი არა ვარ! (გუცას) ჰო და რას იცემები? — აქაო და პატარაო, მიბრიყვებ?! მაცა გავიზარდო, შე კულაკო, ბურჟუა! (მუქარა).

გუცა. რაო?! (ბრაზი) შენ კიდევ აქა ხარ?! —აი რას ასწავლიან!..

ვანო. აქა ვარ, მარა თეირანში კი არა!..

გუცა. მარშ!!!

ვანო. სლუშაიტ! (შემოტრიალდება, მიდის) კიდევ? (რა გუცა ლეოს ესაუბრება—ის გაჩერდება პასუხის მოლოდინში. (პაუზა).

გუცა. (ხმა მაღლა) ცანცარ!

ვანო. (ასევე) რა გინდა?

გუცა. ჰმ! კიდევ არ?! რა გაყვირებს?

ვანო. შენც რომ დაიყვირე?

გუცა. ჰმ! (ჯოხს აიღებს).

ვანო. რა ვიცი, კიდევ? (გარბის).

ლეო. ო, აბა რად... (ეცინება).

გუცა. დაჯე, ლეო, რძე მაინც... ძაღლი კოჰლობით მაინც არ... (ღიმილი. ამ დროს გზად მიდიან სოსო, მიხა, ლელა).

მიხა. (არიგებს) არაა, კარგი, სოსო, კულაკების ჰორის აყოლვა, ჩვენში შუღლს რომ სთესენ... ღარიბი გლეხის ადგილი არტელშია, და შენ კი...

გუცა. ჰმ!.. (შეამჩნევს, არ ესიამოვნება) აი ერთი გიჟიც!..

ლეო. ვინაა?

გუცა. ვინა, და ეგაა ამ სოფლის (დაცინვა) და ის ქალი სოციალისტური მშენებლები, ხა! ხა! ხა!..

ლეო. ა? (ღიმილით გასცქერის).

ლელა. საქიროა ჩვენი დარაზმვა, სოსო, შეტევა და...

სოსო. (უკმაყოფილოდ) ჰმ! ვიცი რა წითელი კოჰებიცა ხართ!.. (მიდის).

მიხა. მე შენთვის ვამბობ, თორემ...

ლელა. (გუცაზე) ჰმ! გუცა?! შეხე, მიხა, იმ ვაჟბატონს! ო, ექიმიც?!

გუცა. (ვითომც აქ არაფერიო—მიმავალ სოსოს) ძმაო სოსო... მერე შემოიარე და წაიღე იმ შენ ნამუშევარში წილი.

ლელა. (მიხას) თუ ქირა?!

გუცა. (ლაქუცით მივა) ო, ლელა? მიხა?! მობრძანდით... რას დგეხართ?! ჩვენი ახალი ექიმი... მოდი, მიხა, ერთი ჰიქა არაყი.. ლელა—ვაშლი..

მიხა. ჰმ!.. (ექიმს თავის დაკვრა)

ლეო. (მხიარულად) სალამი!

ლელა. სასიამოა... (ღიმილი. მიდის—მიხა—მისდევს—გუცას გასვლისას უნდობლად გადმოხედავს. პაუზა).

გუცა. (ბრაზი. ცალკე) მაცა, თქვე...

ლეო. (აღტაცებით) მოდის ახალი ძალა, ჯიშ-მაგარი, და ..

გუცა. (განგებ) დიაღ... ჰმ! (ვანოს რძე შემოაქვს, მაგიდაზე დგამს) პრაშუ, ლეო. (ვანოს) რძე ცხელია?

ვანო. (თითს ჩაყოფს) თბილია...

გუცა. (ბრაზი, ჯოხი) ახლა შენ დალიე, შე! ისევ მე თუ არ... (მიდის. გასვლისას) ახლავე, ლეო...

ლეო. (უიმედოთ გაჰყურებს—მერე ვანოს, ალერსით) ა? ვანო?! ხომ ძალიან ცუდათ არ გექცევა?

ვანო. არა, მარა... ხი!ხი! (ჩუმდება) აი ასე...

ლეო. გინდა, ჩემთან წაგიყვანო, პუნქტში? ა? მე ხომ აქვე ვარ, ახლოს—დაბაში.. იქ სკოლაშიც მიგცემ, და... აგერ, საყოველთაო სწავლება რომ ტარდება, შენ რად უნდა დარჩე გარეთ?—უსწავლელი და ბრმა ერთია..

ვანო. ა? ხი! ხი!.. მინდა. გამოვიპარები და...

ლეო. რადა, ვეტყვი მამა შენსაც, და.. (ხელს მოხვევს, თან მიდის) აი, გამოვივლი, და...

ვანო. თუ მეც დოხტურად მაკურთხებ, ან ფერშლად!... (შესცქერის) ხი!.. ხი!..

ლეო. (იცინის) გაკურთხო რა, მღვდელი ხომ არ...

ვანო. ღვდელი რად მინდა—წვერებ ცანცარა?

მე მსურს ექიმი ვიყო,—ცანცარა!.. (იღრიჭება).

გუცა. (რძე გამოაქვს, ვანო ლეოს შორდება) ლეო, უკვე?! დაგელია, და...

ლეო. გმადლობთ, გუცა.. რეცეპტი მაგიდაზეა, და მალე წამალზე—აფთიაქში...

გუცა. ან ვახშმად მაინც გამოიარე... ბარემ რომ გითხარი გაგესინჯე და... ან იქ ჩამოვიდე? ა?

ლეო. ვნახოთ... (გადის. პაუზა).

გუცა. (თვალს გააყოლებს) ჰმ! არც შენა



ბავშები ტყეს იცავენ.

ხარ კაი სული! შენც მოიწამლე ბოლ-
შევიზმით?!

მართა. (გამოდის სახლიდან) ჰმ! წავიდა?
(რეცეპტს ნახავს, ხევს) ეს რა?!

გუცა. (ერკვევა) ა?—შენა, მართა?! როგო-
რაა ელენე?

მართა. რაც ეგ დოხტური ნახა—უფრო ცუ-
დათ გახდა... არა, ეს ხალხი კია ულმე-
როთო,არაფერი სჯერა, და, შენ რაღა
დაგემართა?!

გუცა. რა ვიცი, განთქმული ექიმია, და...

მართა.—რა, ქაა, ის ჩემზე კარგია?
(შესცინებს, ჯდება, სჭამს, სვამს).

გუცა. არა, აბა შენისთანა როგორ იქნება,
მარა... (შეჰლიმებს, მოუჯდება).

მართა. გითხარი—შიშნაკრავია-მეთქი, და...
შელოცვა და მისი ჯანი!.. ეგერა,
წამალიც შევდგი ცეცხლზე..
ღვთისშობელში უნდა ალოცო... იქ
ლუკა ღვდელი და...

გუცა. ოღონდ ეგ მომირჩეს და... ამ სისხო
კელეპტარს დავუნთებ.

მართა. რატო... ადვილია... შენ... (ხელით
ფულზე ანიშნებს—რეცეპტის ნე-
ვას ამთავრებს).

გუცა. (ფულს აძლევს) ეგ რასა ხევ?

მართა. ეშმაკის ბაშფორთს... რეცებია თუ
რაღაცა...

გუცა. ო. რად?! (სტაცებს, გვიანღაა. ბრა-
ზი—პაუზა).

მართა. რა, მე მჯობია, თუ? ა? (ჭამა-სმა).

გუცა. არა, მარა... (ნიდაყვს წაკრავს) იქნება
ის?

მართა. იმაზე ამბობ? რომ არ მეშვები და
ჩამითრიე... ალექსას მარანში მოიყ-
რიან თავს... ჩუმად კი... ეს ბიჭი...
(ვანოზე ანიშნებს, რომელიც გან-
განგებ წამოავლებს ხელს ცოცხს
—ჰყვის, ამტვერებს, ყურს კი უგ-
დებს).

გუცა. ნუ გეშინია, რა ესმის—ყეყეჩია!

ვანო. ცხინკ! (განგებ აცემინებს ცხვირს,,
ეკინება).

მართა. ოღონდ ამათ ამოეკვეთოთ ფეხი,
ოღონდ აიმ კაკლის ტოტზე მაჩვე-
ნა მიხა და ლელა გასანთლულ თო-
კით ჩამოკიდული ჯამბაზივით
და...

გუცა. ჰო, და გეუბნები მალე მეთქი... ევ-
როპა ირაზმება...

მართა. ეჰ, მეხი იმათაც დავაყარე, და, რით
ვერ შემოუტიეს? ა? ვითომ გამო-
ვა რამე?—აქ აჯანყება? ა? რა ვი-
ცი, ა? ლუკა ღვდელიც მოვა იქ,
ჩვენი ნათავადარი არჩილიც, გა-
დაცმული... ა? კაი ადგილი უქე-
რიათ ქალაქში?

გუცა. სუ... გამოვა, მართა, გამოვა.., მაშინ
კი დაჰკა გუცა! (ტრაბახი. ჭიქიან
ხელს გაიქნევს—მართას ხვდება,
მიესხმება). აჰ! უკაცრავად!..

მართა. რა, კინაღამ ვამწუწე! (თავშალის
წვერით იწმენდს).

გუცა. აი, პოლშა... ფინეთი, ლიტვა, ლატ-
ვია, ესტონეთი, რუმინეთი—ტყუ-
ლად კი არა ხდება ფაშიზაცია, აი
პილსუდსკი...

მართა. ფაში გამოეფაშვოთ, სად ჯანდაბას
არიან;—მაშინაც გამომჭიმონ ამ კე-
დლის გაზეთში, ამხელა ცხვირიან
კარიკატურით. მაშ გამოვა? (სვამს).

ვანო. (ქვას, განგებ, ლობისკენ ისვრის)
ა-ტა-ტა! ჰე! მოვცხვდა?!

გუცა. ხ?

ვანო. აი, პავლუშას ლორმა დინგის შემო-
ყოფა დააპირა ლობეში და... პირ-
წუწკი!... (ღრეჭა).

მართა. რა ვიცი, რომ ამბობენ წითელი არ-
მია ძლიერიაო, და კიტაის ხენწიფის
ჩან-კაი-შოვის ჯარი თხებივით იფ-
რინაო?

გუცა. ა? ჰმ! ჩან-კაი-ში?! ეს შენი სადღეგრ-
ძელო იყოს, მართა. (სვამს, და ლონ-
დება) ეგ კი მართლაც და... (პა-
უზა). ჰო, ეს შენი სადღეგრძელოა-
მეთქი, რომ კარგი წისქვილი ხარ

ჩვენი საქმის... შენ ამ სოფლის
დედაკაცებში ენა არ დააყენო და..

მართა. ჰმ. მერე ნახოს ამ ექიმმა, კუდით
ქვას რომ ვასროლიებთ აქედან, დამ-
ცინოს მაშინაც... ნეტა ვიცოდე
ეგეც კომუნისტია თუ ბალშენიკი?!
(ქოქოლა).

გუცა. ეგ ორივ ერთია, და, ისიც... (ხელს ჩა-
იქნევს. სმა. ითვრებიან) მაგრამ, მე
ამ კოლექტივის ის მადარდებს...

მართა. ა? რაო? ისეთი სუსტი ხასიათი აქვს,
როგორც სასმელის მიმდევარს სო-
სოს და ვერ დაითანხმე იმ ძნაზე?!
მიხაზედაც აღრიცხილია მაინც...
და...
ერთი ბნელ ღამეს ძნას ალი,
და, მიხას ზურგს უკან ხანჯალი!..

გუცა. კარგა ხანია ეგ ფიქრი—
არ მასვენებს და აქ მიქრის. (თავ-
ზე აჩვენებს).

ვანო. (ცალკე) თავში რომ გიქრის მეც ვი-
ცი,
ამაში არ გვინდა ფიცი. (ხმაური.
სიმღერა. მუსიკა).

გუცა. (გახედავს) იმ ქოხ-სამკითხველოსთან
რაღას შეყრილა ხალხი, რა ხმაუ-
რია?

მართა. ალბათ ის აშალღარა ლელა თუ უკი-
თხავს გაზეთს... ა? არა, მგო-
ნია რადიოინია...

გუცა. (ეცინება) რადიონი თუ რადიო?!

მართა. რა ვიცი, აგრემც ჩემი ჭვლები და-
ადგება იმის მომგონს! იმ დღეს
რომ მითითხავდა ვიღაცა ი ტრუ-
ბაში!... სადღაც ჯაერში დაუსხავთ
ეშმაკები ამ სატანის კერძებს და
ალაპარაკებენ! ქაა, რას არ გამოი-
ხონებენ ეს ბალშენიკები?!

გუცა. ეჰ, შენ რაც უნდა თქვი, და უნდა
გითხრა, თუმც ჩვენი მტრები არიან
მაგრამ ძაან მუშა ხალხი კი ყოფი-
ლა!.. აი თუ ვინიცობაა, ბედმა
გაგვიღიმა—სახელწიფოს შენება
მაგათგან უნდა ვისწავლოთ... (სმა).

მართა. (მთვრალია, ენას ურევს) ო. რა ხარ
ჩემო გუცა,—
ნამდვილი მელაქუცა!..

გუცა. ასე...

ვანო. (ცალკე, მუქარა) ვნახოთ მაგას ვინ
იზავს,—ვით მიაღწევთ თქვენ მი-
ზანს! მანამდე თავს ქვას ახლით,—
და შევბოჭავთ გამსახლით!..

გუცა. მიირთვი, მართა...

მართა. დალიე, გუცა... (ერთმანეთს ასმე-
ვენ, აჭმევენ, სთვლემენ. ვანო დას-
ცინის. მივა ორთა შუა თავს ვაჰ-
ყოფს—ამას აჭმევენ, ასმევენ და რა
ერთმანეთს აკოცებენ—ვანოს ლო-
ყებს ეხებიან ვანო იწმენდს და რა
ღვინოს დაალევინებენ—ეს გადმო-
ღვრის.—თვალს ახელს) უი ქა, წვი-
მაა?!

გუცა. არა, მზე უნდა იყოს: (ძილი. პაუზა).

ვანო. ჰმ! რა მოუხდება ახლა ამათ?! (ფიქ-
რი. ეცინება). აბა რის პლაკატის-
ტი ვარ პიონერ-კოლექტივში?!
(გარბის. ნახშირს შემოიტანს—
ორივეს ფრთხილად რაღაცეებს
უხატავს სახეზე; ამათ ბუზები ჰგო
ნიათ. ხელით იქშევენ) ახლა? ჰმ.
ყიყლიყო!!! (თან მამალივით ფრთე
ბის მაგივრად ხელებს იბარტყუ-
ნებს) არიქა, ხანძარი! (გარბის,
წყალს შემოარბენინებს—ასხავს).

გუცა. ა?! ხანძარი?! სადაა ალი?! (წამოხ-
ტება).

ვანო. რა ვიცი და, შემოვიტანე წყალი! (ას-
ხავს).

მართა. ნელა, შე უზრდელო! (წამოდგება,
თვალებს იფშვნეტს.)

ვანო. არა მგონია ამაზე მეტი გავიზარდო,
დაგვალული ვარ! (ტრიალებს).

**მართა.** (გუცას შეხედავს, იცინის) ეგ რა მაიმუნს გევხარ,—და ამოგსვლია რქები?!

**გუცა.** (ნაწყენი) მაქებრად ვერა მყევხარ,— მე ეგ რატომ ვიქნები?!
(შეხედავს, იცინის).
ოჰ. მე დამცინი და შენკი წვერულვაში ამოგსვლია?!

**მართა.** რაო?! (ჩულქიდან სარკეს იღებს—იყურება, კივის, თავში იცემს, დაეშვება).

**გუცა.** ა?! (სარკესართმევს, იხედება, ბრაზი) ჰმ! აქაც მიხას ხელი?! (ვანოს). მიხა ხომ არ ყოფილა აქ? ა?

**ვანო.** აბა რა ვიცი, მე ბოსელში ვიყავი და ხარები წავასხი წყაროზე... (ჩუმად იცინება).

**მართა.** (შეამჩნევს, გამოუდგება) რა გაცინებს, შე... ეს შენი ოინია ალბად!..

**ვანო.** აბა, მე რა... (გარბის, რა მართა გამოუდგება, ჯოხს მოუქნევს—ვანო დაიკუზება—მართა გადააწყდება—ვარდება):

**მართა.** უი, ჭაა, ეს რა მიყო?! (სოსო გამოჩნდება, დაღონებული, ჩიბუხით, თან იცინება).

**სოსო.** რა ამბავში ხარ, შვილო?! (მართას) შენ რაღას აგიფშეკია დედაკაცო, ფეხები?!

**ვანო.** ა?! (შესცინებს).

**მართა.** ეს სასიკვდილე! (ადგება, უნდა გამოუდგეს—ვანო გაიქცევა).

**გუცა.** ო, სოსო?! მოდი.. რა გარე-გარე დადიხარ, დაჯექი... (ჭიქას გაუწვდის).

**სოსო.** (ჯდება, დაღონებული) რა ვიცი, ე ჩემი ბიჭი ხომ არა ცელქობს მეთქი, და...

**გუცა.** არაფერია...

**მართა.** ეგ მოუკვდა პატრონს!

**სოსო.** რათა მართა, რად...

**გუცა.** (ჩუმად) მართა, წადი, მარტო დაგვტოვე, და...

**ვანო.** (გამოვა) ელენემა ქმარი მინდაო!. ხი! ხი!..

**გუცა.** მართა, რა უნდა, მიხედე, და... (ჯდება, ღვინოს აძლევს, მართა მიდის, და რა ვანო ენას გამოუყოფს გამოუდგება. გასვლა) სხვა სოსო, ა? (ღიმილი. პაუზა).

**სოსო.** ეჰ, რაღა რა, ასეთი შვილის პატრონს!.. (სწუხს).

**გუცა.** თუ არა იმ პიონერში, ასე არ დაემართებოდა... გითხარი დროზე გამოიყვანე-მეთქი, და...

**სოსო.** რა ვიცი, რაღა ყველა უბედურება მე უნდა დამატყდეს?! რატო სხვა პიონერები არ არიან ასეთი?! (პაუზა).

**გუცა.** ჰმ! მაგის გასულელებაც იმ დაუბატონ მიხას ბრალია—ის ურჩევდა პიონერში, და... გადაჰკა! (აძლევს—თითონ კი ვითომ სვამს. პაუზა).

**სოსო.** (სვამს) უჰ! რა მაგარი არაყია!.. ა? ელენე როგორაა?

**გუცა.** როგორ იქნება, ამ დროებაში, სადაც მიხაა მეთაური! აბა, ეს ღვინოცა...ო, რა ღვინოა?..

**სოსო:** მიხა?! ჰმ!.. (მოიღუშება. სვამს. პაუზა).

**გუცა.** საბჭოდანაც კი გამოაპანღურებინა შენი თავი—უქნარაა და კულაკების ამყოლიო, და თითონ მოიკალათა... რითი გჯობიან, ა? დალიე.., ესეც გაუმარჯოს... ჰო, რას ვამბობდი?!— არა, ჰო, რითი? ა?

**სოსო.** (სვამს. ღიმილი) რასა მთაფლავ, რა... ის მაინც კარში განავალი კაცია, ჩემზე მეტი იცის, და... მე კი...

**გუცა.** ეჰ, შენც!.. რა მაქვს სათაფლო?! იმ ღლეფანდელი არ იყოს—გითხარი, ის მოსავალი მე ჩამაბარე-მეთქი და, შენ კი კოოპერატივში მირბიხარ! რა, ჩემზე მეტს მოგცემენ? ჩემზე უფრო უპრიანი არაა?—ნათელმიროვნებად მოვხვდებით, სხვა არა იყოს რა!.. დაიჭი ეს ბე, და... (ფულს ძალათ აჩეჩებს) ჩემი სიმამრის ნათლული არაა შენი ძმისწული?! არტელში რა ქენი?—არ იშლი მაინც?!

**სოსო.** რა ვიცი, უხდა შევიდე და ისაა... იმათ შეერთებულ ძალას რომ ვუყურებ... ა?

**გუცა.** რა ვიცი, შენ იცი—რადგან არ იშლი, მაგრამ ეს რაც გაქვს—მიყიდ-მოყიდე მაინც, ფულს სახლში მოიხმარ... შენ, როგორც ღარიბს, ისეც მიგიღებენ... და, თუ იქ წევრებს გადიბარებ, დაითანხმებ ჩემს მიღებაზეც, მერე მაღარიჩი მე მკითხე.... დალიე.,, რა, არ ვარგა? ჰმ!..

**სოსო.** არა, კარგია, თავი ღვინო სჩანს. (უნდა დალიოს).

**ვანო.** (ჩუმად, მოფარებით) მამა! ნუ სვამ!..

**სოსო.** ა?! (ათვალიერებს სვამს — ითრობა, თვითონვე ისხავს) ესეც ალოცხლოს მესაქე შენი სიმამრი კაკოლა და, მიაგებოს ელენეს სულს....

**გუცა.** (გაკვირვება) ა?! ელენე ხომ ჯერ არ... (ცალკე) რას მიჰქარავს?

**სოსო.** არა, ჰო, ესეც ელენეს-მეთქი, რაღა... (სვამს).

**გუცა.** ჰო, აი მართლა, შენი ჭირა!... (ფულს აძლევს) მანეთიც მეტია, მაგრამ ხურდა არ მინდა,—ჰალალი იყოს შენზე... დე, გაიგონ თუ როგორ მიყვარს ღარიბი გლეხობა და ვეხმარები! ახლაც იტყვიან, რომ სოფლის მტერიაო?! რა მაქვს სამტრო? რას ასისიანებენ ჩემზე ამ პატიოსან მეზობლებს? ა?! დალიე... ესეც შენი ცოლ შვილით... (მოსვამს, აძლევს).

**სოსო.** (მთვრალია) ა? ჰო... რაო?!

**გუცა.** რა, და არის... გუშინ რომ გითხარი.,, რა, ა?.. (ხანჯალზე ხელს დაუდებს).

**სოსო.** ეს რა? ა?!

**გუცა.** რა, და... (ხელით ანიშნებს დაჰკაო) როდემდის უნდა იუფლოს-მეთქი, მიხამა, და... შენზე, თორემ, მე რა...

**სოსო.** ა?! (გაბრუებულია, ვითომ სცდის, მუშტს მოუქნევს მექანიურად).

**გუცა.** აჰ!!! (შიში. იქით იწევს) მე კი არა..,

**სოსო.** (ღელავს, არ ესმის რას სჩადის) ერთი პრიჭკა, თორემ ეს ჩიბუხი...

**გუცა.** ა? ასანთი?! (უკიდებს, აძლევს) გქონდეს... ამის ფულიც არ მინდა.., ამაღამ კოლექტივის ძნა...

**სოსო.** ო, ეშმაკის უსტაბაშო!... ვთქვათ მიხაი, ჰო, და ი კოლექტივის ბიჭებმა რა დამიშავეს, რომ ცეცხლს მივცე მათი სარჩო?! ა?!

**გუცა.** არა, ვინ რას გეუბნება... ვინმე... და ხალხი რომ აწრიალდება-მეთქი, მაშინ მიხაც ხომ იქ გაჩნდება, და... (ხელით ანიშნებს ხანჯლის დაკვრას. თვალს არ აშორებს თითქოს გიპნოზი).

**ვანო.** (ლობესთან ჩუმად უსტვენს, ან ისე უძახის ალიო და თინა გამოჩნდებიან) მალე! (ჩუმად ეუბნება) ალბად პირდაპირ სამკითხველოში იქნებიან,..

**თინა.** (ორივე)

**ალიო.** არის!!! (გარბიან. პაუზა).

**გუცა.** (თითქოს ბრძანება) დალიე!... (სოსო უხმოდ ემორჩილება, სვამს) მარა ჩემი დაბეზღება კი არ, თორემ კი არ გამიჭირდება კოოპერატივი რომ გაძარცვეს—შენ დაგაბრალო... არ გეგონოს, რომ ხალხი არ მყავდეს—გადაგიწვან სახლ-კარი და..

**სოსო.** ოჰ!!! (ტანჯვა).

**გუცა.** ადე! (სოსო ადგება) იარ! (ხელს გაუშვერს წინ—თვითონ უკან, შორი-ახლო თვალს არ აშორებს. პაუზა).

**ვანო.** (ხეს ამოფარებული. ჩუმად. წვალობს) მამა! ნუ!..

**მიხა.** (გამოჩნდება, უკან ალიოს და თინას თანხლებით-რა სოსო გასვლას აპირებს) სდექ!!!

**სოსო.** რა გინდა ჩემგან?! არ დამეხსნები?! (სურს ხანჯალი იძროს).

**მიხა.** სოსო!!! (ხელს დაუჭერს) რად?

**გუცა.** (ამავე დროს—ვითომ ეწყინა) აბა რას შვრები, სოსო?! რა დაგიშავა მიხამ? ა? რა გაქვთ სამტრო?! (პაუზა მიხას გაუღიმებს) კიდევ კარგი, მიხა რომ... (სოსო თავს ჩაჰკიდებს).

**მიხა.** აი შე მუზმუზელა!!! (გუცას თვალს გაუყრის, ნაბიჯს წინ გადადგამს. მუქარით).

**გუცა.** მე რა, მიხაჯან, მე.. (შიში, ლაქუცი, უკან იწევს, ამ დროს ვანო წაიხრება უკან—გუცა გადავარდება; თინა და ალიო იცინიან).

**ვანო.** (ლობეზე შეჯდება, ვითომც აქ არაფერიაო) ხი! ხი!.. ა? რა მოხდა? (უსტვენს).

**გუცა.** ჰმ! (მიხას თვალს არიდებს).

**ლელა.** (გამოჩნდება ლეოსთან ერთად მომავალი, ღიმილი ლაპარაკით) რაა?

**ვანო.** რა, და, ხი! ხი!

**ლეო.** ა?!

**მიხა.** ჰმ! (შორს მუკი).

**ყველა.** პიონერებო, ფხიზელი თვალი—
ყველამ გახსოვდეთ ეს ვალი.

**ვანო.** და... (ხელი მაღლა. პაუზა).

ფარდა.

## კარი მეორე

სცენა: კაბინეტი—საიქიმო პუნქტში, ფანჯარაში პეიზაში ბუნების. თინა მაგიდაზე შემოჯდარა—მღერის. ვანო ალაგებს, საექიმო იარაღეულს ასუფთავებს.

**თინა.** რა ზათხოლი სიცხეს ჰფენს—
ბანაკად მივალთ სოფლად...
ჩვენი შრომა ყველგან ჰფრენს—
არა ვართ ოქმად მყოფლად!..

**ვანო.** (აჰყვება) ქალაქო შენ გიმღერით,—
არც სოფელს ვსტოვებთ ობლად...
მზადა ვართ მზიურ ელერით,—
ამ არის შესამკობლად!.. (მუსიკა ღიღინი).

**თინა.** (ხუმრობა. პოზა) ა? შინ არ გესმის ცანცარ?—სადაა-მეთქი ექიმი?!

**ვანო.** თინა! მაშინ, შენ ჩანჩურა იქნები, თუ კი აგრეა და არ იშლი ამ ცუდ ჩვევებს—ზედმეტ სახელის დაძახებას... არ ვარგა... ეს ცუდი ჩვევები ზოგიერთ ჩვენს პიონერთაგანს რომ აქვს—უნდა მოისპოს; ეს ამცირებს პიონერის სიამაყეს... თანაც მე აქ ბიჭად კი არა თანშემწედ ვარ!... (ღიმილი)

**თინა.** ჰო, კარგი... გეხუმრე, და.., (შერცხვა).

**ვანო.** ჩამოდი მანდიდან, თორემ საცაა მოვა, და რას იტყვის?!

**თინა.** რაც უნდა თქვას!.. (ხუმრობით ჯიუტობს).

**ვანო.** ისე იქცევი, თითქოს პატარა იყო!..

**თინა.** აბა რა ვარ?! (ჩამოვა. მივა. ღიმილი) კარგი, ნუ იბუტები... შევრიგდეთ. (ხელს გაუწვდის).

**ვანო.** რა, განა ვიჩხუბეთ? ა?.. (ღიმილი).

**თინა.** არ ვიცი... (გაივლის).

**ვანო.** არც მე.., (ალაგებს, პაუზა).

**თინა.** ისე, თუ იცის ექიმმა? ა?

**ვანო.** რა?

**თინა.** ჩვენი საიდუმლო, როგორც მსუბუქი კავალერიის?

**ვანო.** არა, ო, დიდებული კაცია! მასწავლის, მიხსნის ამ საექიმო იარაღეულის მოთვლას, მნიშვნელობას (პაუზა) და თანაც უნდა გითხრა, თინა, რომ მომწყინდა ნაცლბიან როლის თამაში. თუ რამეა პირდაპირ შეტევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერულად და, ისაა... რა ბევრი ლაილაი უნდა? ვინც ჩვენთან არაა— მტერია! ექიმი მაინც ჩვენი კაცია, და რა მინდა აქ? მით უფრო რომ დედა ავად ყოფილა, მამაც უნდა გამოვგლიჯო გუცას გაველინას... (დაღონებული).

თინა. ჯერ არა... მაინც რა ხდება პუნქტში... და სხვა დაწესებულებებში უნდა გამოვიკვლიოთ... (ფანჯარაში იყურება) ო, მზე?! შეხე, ჩვენი ბანაკი, მაღლობზე... წითელი დროშა ანძაზე...

ვანო. ლამაზია ჩვენი სოფელი!.. (პაუზა).

თინა. სადაა აქამდე ალიო?

ვანო. სად დასტოვე?—რაზე ჩამოხვედით?..

თინა. მიხას წაჰყვა რაიკომსკომში... ისე კედლის გაზეთის ქაღალდიც უნდა იყიდოს და თეთრადები კოოპერატივში. მერე და შენთანაც უნდა მოველაპარაკოთ—ჩვენი შემდგომი მუშაობის შესახებ... მართლაც, მარა შენი აქ ყოფნა, ის უფრო საჭირო ხარ, სოფელში.., მაგრამ აი, ალიოც.

ვანო. თანაც, ჩამოვრჩი სწავლას, ვარჯიშს, და...

ალიო. აი მეც! სალამი ვანოს! (შემოდის—ნავაჭრით) რას შვრები?

ვანო. ვერა ხედავ, ექიმადა ვარ?! (სიცილი).

ალიო. ისე რომ ჩვენმა ბანაკმა ლელიანისა გამოიწვია სოცშეჯიბრში სოფლად მუშაობის ყველა ჩარჩენებზე, და...

ვანო. თინამ მითხრა... ვნახოთ, ვინ აჯობებს... გადავცხოვლოთ მუშაობა, და...

ალიო. აბა, შენ ერთი ეს გაზეთი მხატვრულად შეამკე... იმ თქვენებურ კულაკ გოგას კარიკატურაც დახატე...

თინა. ო, რა კარგი ქაღალდია!..

ვანო. აბა... (იწყებს. პაუზა. ლილინი. აჰყვებიან).

ალიო. ახალი ერთი მეტრი... ასე... ახლაც ჩამოახრჩვიონოს ქოხ-სამკითხველოსთან კედლის გაზეთი, როგორიც მაშინ!..

ვანო. წერილები უფრო რაზეა? (კარზე კაკუნი მოისმის).

თინა. რაზე, და... ა?

ვანო. სო!.. აგერა. ვაოხებ ექიმია... (კარისკენ წავა. მაგრამ რა მოისმის):

გუცა. (გარეთიდან) ა? შეიძლება?!

ვანო. ჰმ! (შეჩერდება. პოპროტანიდან გახედავს. კარს იტოვებს. პაუზა). გუცა?!

თინა. ა? (გაიცინის).

ალიო. რა იყო?

გუცა. ა? ექიმი არაა?—არავინაა?!

ვანო. ჰმ... ა?

თინა. ალბად...

ვანო. ავადაა. და... (მას) რა გინდა?—დარაჯი ვარ! (ენას უყოფს).

გუცა. ექიმს მოახსენე, რომ... მე ვარ!..

ვანო. ვინ შენ?

გუცა. გუცა ჩაფიანი!

ვანო. ჩაფიანი ხარ თუ ქვევრიანი, არ ვიცი... მოშორდი!..

გუცა. ა?!

ალიო. (ღიმილით) იქნებ ჭორიანია?

თინა. (ასიცილით) ალბათ უფრო ჭირიანია...

გუცა. გააღე... არაა? ა?

ვანო. იქით, თორემ გესვრი!.. (იატაკის ჩოთქს უმიზნებს. სიცილი).

გუცა. რაო?! (ბრაზი, კაკუნი) ლულა იქით წაიღე, მართლა არ გავარტყა.... ავადა ვარ, უთხარი ლიოს, რომ... ა? შენ ცანცარა არა ხარ, ბიჭო?

ვანო. ცანცარა შენა ხარ!—ვის უბედავ?! შენ იცი, ვინა ვარ?! (ხმა შეცვლილი უყვირის, ეჭიმება—სიცილია) რა გინდათ ახლა?

ალიო. რა, და...

გუცა. რას წყრები შე კაცო, რა...

ვანო. მწყრები შენა გყავს!.. (ამათ) მოდი და ერთი მაგას ოინი ვუყოთ? ა?..

თინა. რა?

ვანო. დაიჭი, ალიო, ეს ჩოთქი, ვითომ დარაჯი ხარ... შენ კი, თინა, ეს მაყვალას ხილაბანდი და წითელი ჯვარი გაიკეთე... მანამდე მე გავალ და ექიმურად... გაუღე... (მეორე ოთახში გარბის. თინა ემზადება. ეცინებათ)

გუცა (კაკუნი) ა?!

ალიო. მობრძანდით!.. (კარს უღებს. გვერდზე აიტუზება ჩოთქით).

გუცა. (შემოდის ბრაზი) ჰმ! რატო კარს არ აღებდი, შე... (რა ხელს ასწევს, შეჩერდება) ა? ცანცარა არა ხარ?! თითქოს პუნქტშიაო?!.

ალიო. ვინ ცანცარა?!

გუცა. მალჩატ!.. (რა ჩოთქით გაჭიმულს შეხედავს, შესდგება, აგონდება თავის ოფიცრობა, ეჭიმება—ულვაშის გრეხით, სათვალეებს ისწორებს) სმირნა!

ალიო. ა? (ეცინება. ყველა ბრძანებას ასრულებს, თინას გადახედავს, რომელიც ვითომ წამლეულს ამზადებს).

გუცა. სწორდი! ხელები წინ! ფეხები უკან! თავი მაღლა! თოფი ხელში! ხიშტი: ჰკა!!!

ალიო ჰოპ!!! (მოუქნევს მასვე).

გუცა. (შიში. უკან იწევს) სდეჟ!.. შენ რა სალდათი ხარ, რომ შენსავე უფროსს უტევ? ა?!

ალიო. აჯანყებული ჯარისკაცები ასე არ შვრებოდნენ ფრონტზე?!

გუცა. ა?! მე შენ გაჩვენებენ!.. ჰაუპტვახტში—ორი კვირით!.. თოფი მხარზე! კრუგომ!.. ექიმის დაძახებამდ ნაბიჯით იარ!!! (გაისმის ბუკი, მარში, ალიო ასრულებს—დადის ირგვლივ) ერთი! ორი! რაზ! დვა!...

თინა. (იცინის), ოი, მეტი აღარ შემიძლიან!..

გუცა. (მხოლოდ ახლა შეხედა. გაკვირვება. მივა). ა? ჰმ! ეს რა პატარა სესტრიცაა?! (შეჰლიმებს).

თინა. (ამაყად შეჰხედავს—მერე წაუმღერს) დიდი ხარ და ახმახი,
პატარა ვარ,— ჩახმახი!..

გუცა. რაიო?!

ალიო. (რა კართან მივა—მობრუნდება — დაცინვით) მაგრამ... ბატონო ლეიტენანტო! ექიმი ლეო რომ არა აქ ახლა?—სხვაა..

გუცა. ა?.. ჰმ!., (ერცხვება, თავის კატუნი). აგრე ნუ მეძახით, თორემ ვინმე გაიგებს და, მართალი ეგონება... ბატონები ახლა აღარაა. ყველა ამხანაგი მოქალაქენი ვართ, არა? ჰო, და... მე რა, გლეხი... აი, შეხედე ჩემ ხელებს... მარა, შენ—პიონერი? ა? მიხარია... ყოჩაღ!.. იყავ მზად! ა? ასე ვგონებ, არა?! (ნაძალადევი ღიმილი. ამათ ეცინებათ. ჯდება) ა? ჰმ! მაშ მეორე ექიმიც დანიშნეს?! ალბად ცანცარა თან თუ წაიყვანა, და...

ვანო. (გამოდის. ექიმურად. თვალებზე მავთულის სათვალეები. ნახშირით ულვაშ დახატული. გაბერილი. „ტრუბკით“. ათვალიერებს ყველას) რა ამბავია? ა?..

ალიო. თქვენთანაა, ავადმყოფი... (გუცას) აი ესაა ახალი ექიმი! (ყურში) ახლა გამოამწესეს ჯანსახკომიდან. გერმანიაში გაათავა... ყველა ავადმყოფობას არჩენს... მაგრამ სასტიკია... არ უყვარს სიტყვის შებრუნება...

გუცა. (უკვე ადგა) ა? ჰმ! იმ გერმანელთა გაზრდამ არ გამითეთრეს თვალები იმში?! (მოწიწებით) ბატონო, ექიმო...

ვანო. ა?! (ბრაზი) ბატონები სადაა?! ამხანაგოს ვერ იტყვი?!.

გუცა. დიაღ... (ლაქუცი) ბატონო... თფუ! ამხანაგო ბატონო... თუ შეიძლება შემოვალ და...

ალიო (დაბლა) შემოსული არა ხართ?! (ეცინება).

გუცა. ა? ჰმ! იქნება მართლა შემოველ უკვე?! (თვალიერება. კართან დადგება) მე კი მეგონა, ჯერ კიბეზეც არა ვარ მეთქი, და...

ვანო. რა გინდა? (ჯდება. ვითომ პაპიროსის წევა, ახველებს).

გუცა. აბა, ექიმთან რაზე მოვლენ? (ნაძალადევი ღიმილი).

ვანო. (შეუბღვერს) ჰო, აბა... რა? ა? (სინჯავს)

გუცა. დიაღ... მეგონა— ლეო აქაა...

ვანო. ის მორჩა თავის ყავლს... ახლა ჩემი დეჟურნობაა... რა გტკივა?

გუცა. დიაღ... ისა სწამლობდა ჩემს ცოლსა, და მე მინდოდა ახლაც.... ა?

ვანო. ისა თუ, ექიმბაში მართა?!

გუცა. დიაღ... არა... ჰმ? თქვენც იცნობთ მართას?!—რა განთქმულია?! ისე... უჩემოდ მოეყვანათ.... თუ არ დამზარდებით, და, სოფელში... ა? შიშნაკრავიაო, და...

ვანო. ვის ნაკრავიაო?!

გუცა. ა?—და, აი მეც...

ვანო. ჰო, რაზე დაგეცა მეხი?
რა გტკივა, რად მოხველი?!
(ტრუბკით ათვალიერებს).

გუცა. მეხი კი არა... ფეხი.
თავი, გული, მუცელი... (აჩვენებს).

ვანო. რაო?!

გუცა. ნერვების აშლა, და...

ვანო. ნიორების აშლა?!—იქნება ხახვების —ა?

ალიო. (გუცას ყურში) საზღვარ - გარეთ გაიზრდა და ქართული აღარ ესმის...

გუცა. ა? (ვანოს) დიაღ... მინდოდა (ვოლი... კურორტი... არჩენსო იქაური ჰავაო, და... მოენატრა...

ვანო. კურორტი?!—ლუდიელ ლოკასაც მოენატრა, იმასაც არჩენდა, მაგრამ ახლა, აი ხვიშტი!..

გუცა. ხიშტი?! (შიში. ღიმილი, ლაქუცი).

ვანო. ა?! ჰო... აბა... (გასინჯვა სურს) მაგრამ ჯერ გვარი, სახელი და მამის... შეავსეთ ანკეტა: სოციალური მდგომარეობა; სად დაიბადეთ—რად... რევოლიუციამდე რას აკეთებდი? ან ახლა?—რად!.. (ჯდება) მემარჯვენე თუ „მემარცხენე?“—რად...

გუცა. იქითაც, აქეთაც... გვარი? ჩაფიანი...

ვანო. მაცა... გყოფნის ჩაფიანი ღვინო?—ან თუ არა—რად... ჯერ არ დამითავებია... რადა გაქვს ეგ გვარი—რომ არ გქონებოდა—რა გექნებოდა? ან რა ნომერი? რა გერქმეოდა? რომ არ დაბადებულიყავი—ვინ რას დაკარგავდა? ეროვნება, გემოვნება და ვინ მოგცა ნება?რას ჭამდი?ან ახლა რას ჭამ? რა მიზანი? თუ უმიზნოდ? ან რად?! რომ არ გესვა-გეჭამა—რა მოგივიდოდა? ღარიბი ხარ თუ...

გუცა. დიაღ, ღარიბი... თითქმის მოჯამაგირე... (ხელს აჩვენებს) აი კოჟრები..,

ვანო. ა?! (შეუბღვერს).

გუცა. ასე ვთქვათ...

ვანო. კარგი, ასე ვთქვათ... თინა, ჩასწერე... (ის სწერს, ჩუმი სიცილი) შენ ალიო... (ჩუმად) თვალი გეჭიროს, ექიმმა არ მოგვისწროს.

ალიო. კარგი. (გარედ იყურება).

ვანო. ჰო... თუ ბობოლა კულაკი—მუშტაძე? და თუ არა—რად? არტელის წევრი, თუ არა და—რად? ალიო, მოუტა საწერ-კალამი, და...

გუცა. (ლაქუცი) თქვენ იმდენი კითხვები მომაყარეთ, რომ თითქმის არ შემიძლია წერა... და...

ვანო. ა?! როგორ! სოფელში სკოლა არაა?! კლასი...—ლიკვიდაცია ვერ გიყვეს მთლიან კოლექტივიზაციის საფუძველზე?! ა? თინა, შენ დასწერე... მერე

სამი ჯვარი დაასმევინე... ჰო... კიდევ—რა?... პარტიული, უპარტიო, პროფკავშირის წევრი, კომკავშირელი თუ პიონერი, და—რად? მარქსის კაპიტალი იცი?—ძია ლენინის გაგეგება რამე?! ა? პარტია...

გუცა. პარტია?! ჰმ! (ღიმილი, ნაძალადევათ) მე კვარტისტი ვარ!

ვანო. რაიო?!—არტისტი? რომელ თეატრში თამაშობ? რა როლებს—ამპლუა?

გუცა. არა, პამპულა კი არა, არამედ...

ვანო. ჰოპ! სტოპ! ალე!—დაიწყე: სქესი? მამაკაცი ხარ, თუ დედაკაცი?

გუცა. (თავს ითვალიერებს) რა ვიცი, მე მგონია მამაკაცი უნდა ვიყო, და... (ღიმილი).

ვანო. საეჭვოა.,. თინა, დასწერე... მაშ კულაკი?

გუცა. ო, არა... (შიში).

ვანო. რად?!

ალიო. (განგებ. ღიმილი) ექიმო, უფრო ტუპიაკი უნდა იყოს.

ვანო. ა?!

გუცა. დიაღ.... ასე რომ..:

ვანო. ა? (შეუბღვერს—მაგიდაზე მუშტს დაჰკრავს, სათვალეებს ისწორებს).

ალიო. (გუცას, ყურში) არ გითხარით რომ სიტყვის შებრუნება არ...

გუცა. ჰმ!..

ვანო. წამლები და იარაღი მზადაა?

თინა. დიაღ... ამხანაგო მოქალაქე ექიმო—კიდევ რა წამოიღო მოვამზადო?

ვანო. ა? ჰმ! (ფიქრობს) მუსრგადა სი ბოში? აინ გლას ვასერ... დონემუა-ბლანენუარ... ფინცი-ქუნცი, უნცი, გრამტრამ.... კირ-ქირ... ფორმალინ—სტრიხნინ.... ნატრო-კალი-ჰკალი. ლატინ—აქვს ტვინ?! პარლე ვუ ფრანსე,—ნარიცხით ავსე.... პილიული-აბები—ახალი ამბები?! ცოცხ-აცოცხ, უტილნედლეულ-წყლულ.... პოლიტ-საუბარწამალ უუბარ... ამხანაგ-პიონერ ბანაკ-კავალერია მსუბუქ,—ადინდი ბუქს! იჩენდი უნარს-ვიი ლა კომუნა! იუნგ-შტურმ! (მუშტი) სტარტ! ფინიშ!!! (ჩუმი სიცილი. გუცა იბნევა).

თინა. გონიადი იანოს?

ვანო. იამოს!..

ალიო. ვიიიტალ, ტიუი-დუბ?

ვანო. ეგეცააა... ხე! ხე!—ბუხ!!!

გუცა. (ალიოს, დაბლა) ეს რა,—ევროპიულ ენებში ქართულიც ურევია?

ალიო. აბა რა, არ იცით. რომ ახლა იქ ქართული ენა მიიღეს?!

გუცა. ა?! (უხარია).

ვანო. ა კი არა, აბა ახლა ჩამოყაჰე, და... (ოთოლზე ანიშნებს. იმზადება).

გუცა. როგორ, ლარიბებისაგანაც იღებთ? ა? (იღებს).

ვანო. იცით ვისგანაც... აბა..

გუცა. (აძლევს) კი მარა... ჯერ გასინჯვა არა?

ვანო. მე გაუსინჯავადაც გატყობ, რომ დამბალი ხარ... და, იცი რად არ იხრწნები?

გუცა. რად?

ვანო. რატომ, და... სპირტით. ღვინით რომ ხარ გაჟღენთილი... მალი გაიხადე, თორემ კონსულზე უნდა წავიდე, (დაბლა) თინა, აი ის თუთი, ჩვენი ბანაკის გასაშვებიერებელ ფონდში. (აძლევს).

თინა. ა? (ღიმილი).

გუცა. რომელ სახელმწიფოს კონსულია?

ვანო. ეს სახელმწიფოებრივი საიდუმლოებაა და ყვითლა ჯაშუშმა კი არ უნდა იცოდეს... ექიმების იარეკა ვიკრიბებით—ერთი მკვდარი უნდა გავაცოცხლოთ...

გუცა. ა? (წყენა).

ვანო. მალე! რა პირი დაგიღია დოლლაპიასავით?!

ალიო. (გუცას—ყურში) კონსილიუმზე მიდის, და ხომ იცით ქართული ნაკლებად ესმის...

გუცა. (იხდის. აქეთ იქით იყურება) კი, მარა ხურდა არ?

ვანო. ხურდა რა, ხურმა კი არაა, რომ ვივა ჰროთ. ექიმს რასაც მისცემ, ხურდა არ უნდა იკადრო...

გუცა. ჩერვონეცია, და...

ვანო. ო, რა ბეცია! მე ყველა მუშტრებისაგან ასე ვიღებ....

გუცა. მუშტარი თუ პაციენტი?

ვანო. ვინ აფიციანტი?!—რა, აქ რესტორანი კი არაა!.. (შეუბღვერს).

გუცა. არა, სხვა ექიმები უფრო ნაკლებში..

ვანო. ექიმები კი არა,—შენა ხარ ნაკლებში!

გუცა. ნაკლებად მსინჯავენ-მეთქი და..

ვანო. ნაკლებად რომაა-ის ექიმბაშებია, დიდხანს გაწვალებენ ალბად და მერე ხელად გაგათავებ.

გუცა. ა? როგორ თუ გამათავებ?! (შიში, ადგება).

ვანო. მალი-მეთქი! რას ეძებ?—მაგ თვალებს რად აცეცებ?!

გუცა. მართლა არ მომკლათ აქა!

ვანო. ნუ ხარ ენა ლაქლაქა!—(ბრაზი).

ალიო. (გუცას, ყურში) ხომ გითხარით, სიტყვას ნუ...

გუცა. არა... მკვდარის გაცოცხლებაც გამოიგონეს-მეთქი (ნაძალადევი ღიმილი).

ალიო. ამბობენ, და...

ვანო. მარა, არ ვიცი შენზედ იმოქმედებს ის ახალი საშუალება? ნაკლები იმედია... (ხელს უსინჯავს) ჰმ! აბა სადაა—კოჟრები მაქვსო?!

გუცა. დიაღ აი აქ, არტერია....

ვანო. არტელია?! აბა სადაა აქ? რა სულ ის გიჩხირება თვალში?! მალე მითხარი შენი ალსარება, ცოდვები... რა გტკივა....

გუცა. (ნაძალადევი ღიმილი) ალსარება?!—რა, ჯერ ხომ არ ვკვდები, და...

ვანო. არ კვდები და, მოკვდები! (ცალკე) მაცა, სულ ძმარს გადენ ცხვირიდან! (მას) აბა ეს შოშაბანდებიც მოიხსენი... (სათვალეებს ხსნის).

გუცა. (გაკვირვება) ეს რა, თვალების ექიმიც?!

ვანო. აბა რა გგონია,—იმიტომ ვიღებ ყველაზე მეტს...

გუცა. განა რა სპეციალისტი ხართ, რომ...

ვანო. სოციალისტი კი არა, კომუნისტი ვარ. სოციალისტიცა ხარ და ფაშისტიც! (შეუბღვერს).

გუცა. არა, შინაგანი თუ...

ვანო. შინაგანიცა და გარეში საქმეთაცა... ორივე პორტფელი მე მაბარია... ჰმ! ეს რა, თვალები სილოსის ორმოს გიგავს?! ფეთხუმო! წირპლებით სავსე.... აბა, თინა, ლიაპისი მოამზადე თვალებზე...

თინა. მზადაა! (ღიმილი. მოაქვს).

ვანო. ალიო, მოიტა ეგ ჩოთქი და გამოუხვიტე ის ნაგავი თვალებიდან.

ალიო. ეხლავე: (იატაკის საგვილი მოაქვს).

გუცა. ა?!. (შიში. ადგება) აი აქ, ცხვირსახოცი...

ვანო. (ხელსა ჰკრავს) დაიგდე მანდ! გამეპრანჭე! ალე! ნეკზე არ მიკბინო! (თეხს გაუწევდის).

გუცა. ჰმ! (ალიოს შეხედავს, ის ჩუმად ანიშნებს—გაჩუმდიო).

ვანო. გამოყავი ეგ საშგლე ენა! (მოსწევს; „ტრუბკით" სინჯავს. თერმომეტრს უდგავს).

გუცა. ვაი, ნუ მომგლიჯე!...

ვანო. მალჩატ და ბოლში ნიჩავო!... ჰეტა, ტა!.. დელო პლოხათაა..: აპერაცია უნდა გიქნა.., აბა, დანა!...

თინა. ინებეთ!.. (მოაქვს).

გუცა. რათა?! (შიში).

ვანო. თავი რომ გიქცევს ქვაფი! ... ხედავ—დეზინტერია გაგჩენია. აბა, ნახე რამდენი ჭორის ბასილები დაცოცავენ... ერთი მიტროს კოპი მოიტათ და ჩაახედეთ!..

ალიო. ალბად მიკროსკოპი, არა? (ფეჩის „ტრუბა" მოაქვს).

ვანო. სულ ერთია, ლათინურად ასე ვეძახით... აი, ამას ნაკლები კოპი აქვს?! (ცხვირზე თითს მიუწკაპუნებს გუცას) აბა, ჩაახედე თავის ენაზე თორემ ბეცია და... (ალიოს უნდა „ტრუბაში" ჩაახედოს—არ იცის როგორ თითონ იხედება).

გუცა. (ალიოს-ვანოზე) ახ, კაკოი ონ ნახალ!

ალიო. (ჩუმად) ჯერ ბევრს გაიგებ ახალს!

გუცა. ენის დეზინტერია ვის გაუგია?! ა?

ვანო. ხმა! ბევრი გესმის! მე ვარ ექიმი თუ შენ?! ჰმ! ამან კი არ იცის, რომ ახლა შტეიხანმა...

ალიო. (ყურში) შტეინახმა....

ვანო. ისე... განგებ... (ღიმილი) ჰო, რომ ენაზე აღმოაჩინა კოხის ჩხირები და თუ არ მოიჭრას—ტვინის აპარატზე გადავლენ და დაღრღნიან?!

თინა. ა? (ეცინება) კოხმა ხომ ჭლექი...

ვანო. (სინჯავს) ვით უძლებდი ამდენ სენს? დამპალს რაღა მოგარჩენს?!

გუცა. ჰმ! (ღელავს).

ალიო. იქნება სანატორიუმი მოუხდეს?!

ვანო. ა? კრემატორიუმი?! სჯობია... ვრადუს 1000 ცელს, და, რა სიკვდილი მოუქნევს ცელს—დაწვა!.. დამარხვა არა... თორემ ბაცილები კიდევ დიდხანს ცოცხლობენ მიწაში და ავრცელებენ სენს.

თინა. (სიცილით—ალიოს) ხუმრობაში, ვანოს ზოგიერთი რამ მართლაც უსწავლია მედიცინის!

ალიო. რა ეშმაკია! (პაუზა).

ვანო. პირში მკვდარი კატის სუნი?! ჯაგრათი და ფხვნილით ვერ იწმინდე კბილები?! საქაჩავი!..

ალიო. აი... (სარწყავი რეზინა და საქაჩავი მოაქვს).

გუცა. ა? ჰმ... (ლუღლუღებს).

ვანო. ტვინზე ცივი ტილოს კომპრესი, თორემ საკოლმეურნეო სიცხემ დაჰკრა და კულაკური ბოდვა აუტყდა... (თინას სველი ტილო მოაქვს—შუბლზე ადებს).

ლელა. (შემოდის—მხიარულად) ო, ცელქებო?! თქვენც აქა ხართ?! სადა ლეო?

თინა. ა, ლელა?!

ალიო. სუ!.. (ჩუმად) ვანო ვითომ ექიმია, და...

ლელა. რა?

ალიო. თქვენისებურ კულაკ გუცას სწამლობს...

ლელა. ა? ო, თქვენ რა გითხრათ!.. (ვანოზე) ერთი ამას უყურეთ რას გავს?! (გუცაზე) მაგას რა ჭირი მოარჩენს! ისეთი სენი აქვს, რომ... მისპე კოლექტივიზაცია, და მორჩება.

ვანო. (მოიხედავს). ღიმილი, თვალით ნიშნება) მანამდე არაფერი ჭამოს!..

ლელა. ექიმისათვის უნდა ვვეთხოვა სანიტსაუბრების ჩატარება სოფლად და..

ვანო. (გადალაპარაკება) მალე უნდა მოვიდეს, ჯანმრთელობის განყოფილებაშია...

ლელა. მიხას უნდა ენახა. გზად დავცილდით, მე აბრეშუმის ქარხანაში შევუხვიე და არ ვიცი სადაა...

ალიო. მიხა წელან რაიაღმასკომის წინ იყო.

ვანო. (მივა. ღიმილი) მიხა?! ჰმ! რა, ხომ არაა, ა?..

ლელა. ა?! (ეცინება) ოო, შე!...

გუცა ა? ნაცნობი ხმა?! (ლელასაკენ მობრუნება სურს.).

**სეზმან ერთაწმინდელი**

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა



პიონერი ანძაზე

# გაავრცელოთ
## ჟურ.
# „პიონერი“

## ვავრცელებთ და ვიწვევთ

გორის პიონერთა ორგანიზაციის გამოწვევით ზესტაფონის და წითელ ქალაქის პიონერთა ორგანიზაცია იწერს 1.000—1.000 ცალ „პიონერს“ და ამავე მიზნით იწვევს ტფილისის ქალაქის და სამტრედიის რაიონების ნ.-პ. ორგანიზაციებს.

●

ზესტაფონის პიონერთა ორგანიზაცია იწერს 500 ცალს „ოქტომბრელს“ და ამავე მიზნით იწვევს სამტრედიის რაიონის ნ.-პ. ორგანიზაციას.

●

წითელი ქალაქის პიონერთა ორგანიზაცია იწერს 200 ცალ „ოქტომბრელს“ და იწვევს ამავე მიზნით ქალაქის რაიონის ორგანიზაციას.

●

**ქ. ზუგდიდის 10 წლედის, 4 წლედში არსებულმა ნ.-პ. მე-3 კოლექტივმა დაადგინა, გაავრცელოს ჟურნალი „პიონერი“ და „ოქტომბრელი“. 100 ცალი და ამავე მიზნით იწვევს ნ.-პ. მე-7 კოლექტივს.**

**ძაძამიძე ნორა, ცხაკაია ნორა.**



მანქანის შეკეთებაზე.

რედაქტორი: სარედ. ქციო კოლეგია.

მთავლიტი № 1682 სტამბა „კოლექტივი“ შეკვეთა № 3476 ტირაჟი 7000